პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების. წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გაიხსნა საფრანგეთის ყოფ. ჯარისკაცთა რევოლიუციონური კავშირის ყრილობა.
— რეაქციონური ორგანიზაციების აღლუმი ვენაში.
— თეთრგვარდიელის ხულიგნური გამოსვლა პარიზის საბჭ. საელჩოში.
— საკომ შესწყვიტა შიმშილობა.
— ვენის „როტე ფანე“-ს კონფისკაცია.
— ირლანდიის პარლამენტმა უარჰყო მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია.
— გერმანელ ავიატორების გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე დებოდ დასრულდა.

საქართველოს [illegible]

ხუთშაბათი, 18 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 186 (1931)

უხანისა და ნანკინის გაერთიანება

ჩინეთიდან ტელეგრაფს მოაქვს ცნობები უხანისა და ნანკინის გაერთიანების შესახებ. როგორც სჩანს უკვე მიღწეულია შეთანხმება მათი ძალების გაერთიანების გარშემო, ხოლო მისი გატარება ცხოვრებაში არის დროისა და ამა თუ იმ ფორმალური მხარის შესრულების საკითხი.

რას წარმოადგენენ კლასობრივი თვალსაზრისით უხანისა და ნანკინის მთავრობები? მოვიგონოთ მათი ახლო წარსული ისტორია.

ჩან-კაი-შის მიერ აპრილში მოწყობილ გადატრიალებამდე, უხანსა და ნანკინს შორის, „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ გომინდანისა და მათ მთავრობებს შორის არ ყოფილა განხეთქილება. გომინდანი იყო მთლიანი და მთავრობაც, „კანტონის მთავრობად“ წოდებული, იყო მთლიანი.

ეს მთავრობა ემყარებოდა ოთხი კლასის ბლოკს. ამ ბლოკში შედიოდენ მუშები, გლეხები და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, რომლებიც საერთო ფრონტით გამოდიოდენ იმპერიალიზმისა და ჩინეთის ფეოდალური ხროვის წინააღმდეგ. ბლოკის შიგნით ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სწარმოებდა ყრუ ბრძოლა ჰეგემონიისათვის. მბრძანებელი და მმართველი მწვერვალები დარჩენილი იყო ბურჟუაზიის ხელში, რამდენადაც მას ჯერ კიდევ შესწევდა ნაციონალურ-რევოლიუციონური ბრძოლის წარმოების უნარი.

ჩან-კაი-შის გადატრიალება ნიშნავდა კლასობრივ ძალების პირდაპირ განხეთქილებას ერთიან ნაციონალურ ფრონტზე. ბურჟუაზიის იმ ნაწილმა, რომელიც გამსჭვალული იყო სიძულვილის და შიშის გრძნობით მასიური მოძრაობის მიმართ, აშკარად უღალატა რევოლიუციას და თავისი მოღალატეობის გზა მოჰფინა სიკვდილით დასჯილ მუშებისა და გლეხების გვამებით და გლეხური აჯანყებების უსასტიკესი ჩახშობით. ბურჟუაზიის ექსტრემისტული ფრთა. ჩან-კაი-შის მეთაურობით, სწრაფად მოსწყდა რევოლიუციონურ მასებს.

უხანში მუშებთან და გლეხებთან დარჩა ჩან-კაი-შის ექსტრემიზმის შედეგებით შეშინებული, ბურჟუაზიის უფრო რადიკალურ-დემოკრატიული ჯგუფი. უხანის მთავრობამ ჩან-კაი-ში გამოაცხადა მოღალატედ და გამცემლად. ფინ-იუი-სიანი სათავეში ჩაუდგა ჩან-კაი-შის საწინააღმდეგო სამხედრო ლაშქრობას, ლაშქრობას რომლისთვისაც, ჩინეთის ყველა მემარცხენე რევოლიუციონური ელემენტები მზად იყვენ მხარი დაეჭირათ.

მაგრამ, ცოტა ხნის დაგვიანებით, რაღაც სამი თვის შემდეგ, უხანის მთავრობაც გაჰყვა ჩან-კაი-შის გზას. მანაც ხელი მიჰყო მუშებისა და გლეხების დახვრეტას, გლეხური აჯანყებების ჩაქრობას იარაღით და კომუნისტების განდევნას გომინდანიდან.

ამ პოლიტიკამ, რომელმაც ჩამოაშორა უხანის მთავრობას მუშები, გლეხები და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის რევოლიუციონური ელემენტები, გამოიწვია ნანჩანში ახალი აჯანყება უხანის წინააღმდეგ. ამ აჯანყებას ჰქონდა მემარცხენე ხასიათი და მას ხელმძღვანელობდენ ჩინელი კომუნისტები, რომლებსაც მეთაურობდენ გენერლები ხო-ლუნი და ე-ტინი, სუნ-იატ-სენის ქვრივთან— სუნ-ცზი-ლინთან ერთად.

ამნაირად სულ მოკლე ხანში ჩინეთში შეიქმნა ოთხი სამხედრო ბანაკი: პეკინი, ნანკინი, უხანი და ნანჩანი. მაგრამ სინამდვილეში, პოლიტიკურად ეს ოთხი ბანაკი წარმოადგენდა სამ ბანაკს: არავითარი სერიოზული განსხვავება აღარ არსებობდა ნანკინსა და უხანს შორის იმ დღიდან, რაც ფინ- იუი-სიანმა და ვან-ტინ-ვეიმ ხელი მიჰყვეს კომუნისტების მუშების და გლეხების დახვრეტას უხანში, ჩან-კაი-შისა და ლი-ტი-სინის მაგალითის მიხედვით შანხაისა, ნანკინსა და კანტონში.

ორივე ეს სამხედრო ბანაკი ჩამოყალიბდა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ერთ პოლიტიკურ ბანაკად. მოსალოდნელი იყო მათი. გაერთიანება და ამ გაერთიანებას დღე-დღეზე მოელოდენ კიდეც.

ამ გაერთიანებამ არ ჩაიარა ცნობილ „ჩინურ ცერემონიების“ გარეშე, რომლებსაც ჩინეთის ბურჟუაზია, ისევე როგორც ჩინეთის ფეოდალები, ასე უხვად სწირავენ თავის პოლიტიკურ ბელადებისა და გენერლებს შორის. „გაერთიანების ინტერესებს“ ხელმძღვანელობს უხანისათვის ყველაზე უფრო საძულველი ფიგურა, „თეთრ“ მრისხანე ჩან-კაი-ში, რომელიც შემდეგ გადადგა.

ამ ჯალათის „უკანასკნელი“ დეკლარაცია, რომელიც აღსავსეა მხეცური სიძულვილით კომუნისტების მიმართ, არ არის მოკლებული ერთგვარ ისტორიულ ინტერესს. სუნ-იატ-სენის ეს მეტად საეჭვო „მოწაფე“ აღიარებს, რომ სუნ-იატ-სენს ის არ ეთანხმებოდა კომუნისტებთან თანამშრომლობის საკითხში და, თუმცა უნაყოფოდ, მაგრამ მაინც არწმუნებდა მას, რომ გაეწყვიტა კავშირი კომუნისტებთან. ამის შემდეგ ჩან-კაი-შის ჰყოფნის გამბედაობა დაიფიცოს „სუნ-იატ-სენის პრინციპები“, სუნ-იატ-სენის, რომლის ერთი ძირითადი აღთქმათაგანს როგორც ვიცით, შეიცავს მეგობრობის შენარჩუნებას საბჭოთა კავშირთან და მის მომხრე—კომუნისტებთან.

ეს პრეტენდენტი (რომელიც მალე გადაიქცევა „ყოფილად“) „ჩინეთის ნაპოლეონობაზე“ უაღრესი სასოებით ოცნებობს „ზეცაში“ შეხვედრის შესახებ თავის „მასწავლებელ“ სუნ-იატ-სენთან. „ზეცაში შეხვედრას“ ის, რასაკვირველია, ვერ მოესწრება. მაგრამ, რომ კიდეც არსებობდეს ბუნებაში ასეთი შეხვედრები, გვგონია, რომ „პრინციპისაგან“ ასეთი თავისებურ დაცვისათვის ამ „მოწაფეს“ მოხვდება თავის „მასწავლებელ“ სუნ-იატ-სენისაგან.

ნამდვილად სერიოზულად და დიდი ხნით გადადგება ჩან - კაი - ში თუ, მოისვენებს რა თავის „სამშობლოში“, განსაცდელის ჟამს კვლავ გამოვა პოლიტიკურ სარბიელზე და ითამაშებს დიდ როლს,—ეს გარემოება ნაკლებ იმოქმედებს ეხლა გაერთიანებული ბურჟუაზიული ბანაკის პოლიტიკურ ფიზიონომიასა და მოქმედებაზე.

პოლიტიკურად საქმე ამნაირადაა: უხანმა დაუთმო ნანკინს თავისი პოზიციები. უხანი მივიდა ნანკინთან და არა პირიქით. ამიტომ ჩან-კაი-შის გადადგომას შეუძლია დააკმაყოფილოს უხანელ გენერლების პირადი თავმოყვარეობა ითამაშებს და პოლიტიკური „სატისფაქციის“ როლს, და შეუმსუბუქოს მათი შერიგება ნანკინთან, მაგრამ ის მაინც ვერ შესცვლის ძირითად პოლიტიკურ ფაქტს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უხანი მთლიანად და სავსებით დაადგა ნანკინის გზას. წავიდა ჩან-კაი-ში, მაგრამ დარჩება „ჩან-კაი-შიზმი“, სულ ერთია თუ ვინ გაატარებს მას,—იქნება ეს ფინ-იუი-სიანი თუ სხვა ვინმე,—ვინაიდან „ჩანკაიშიზმი“ არის უხეში ძალადობა მუშებსა, გლეხებსა და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაზე. „ჩანკაიშიზმი“ არის გზა, რომელსაც დაადგა ჩინეთის ბურჟუაზია რევოლიუციონური მოძრაობის შიშით, და რომელსაც ვერ გადაუხვევს ისე, თუ მუშებსა და გლეხებს არ ჩააბარა ძალაუფლება. ჩინეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია სხვანაირად მოქცევა იმიტომ, რომ ის წინააღმდეგია ნაციონალური რევოლიუციის ბოლომდე მიყვანისა, რომ ის წინააღმდეგია რევოლიუციონური აგრარული გადატრიალების, უცხოელ იმპერიალისტების კუთვნილ წარმოებების ექსპროპრიაციისა ჩინეთში. მუშები და გლეხები მოითხოვენ ამ ზომებს. ჩინეთის ბურჟუაზია კი ამ ზომებში ხედავს საფრთხეს მისი საკუთრებისათვის, მისი კლასობრივი არსებობისათვის. მუშები და გლეხები ამ ზომებში ხედავენ უდიდეს და აუცილებელ ნაბიჯს თავის განთავისუფლებისაკენ. კლასიურმა წინააღმდეგობებმა იმდენად აშკარად იჩინეს თავი ოდესღაც „მთლიან ნაციონალურ“ ფრონტზე, რომ ისინი ჩინეთის ბურჟუაზიას აუცილებლად დააყენებენ „ჩანკაიშიზმის“ გზაზე, რომ კიდეც სულ მთლად გადაიკარგოს პირველი ბურჟუაზიული ჯალათი — ჩან-კაი-ში. ჩან-კაი-შიმ შეასრულა თავისი საქმე: მან გაკაფა წარუშლელი სისხლიანი გზა, რომლითაც წავლენ მისი მემკვიდრენი ბრძოლაში რევოლიუციისა და ხალხის წინააღმდეგ.

უხანელები გადამდგარ ჩან-კაი-შის როგორც სჩანს ბრალად სდებენ არამარტო მის „უდისციპლინობას“ არამედ იმ დამარცხებებსაც, რომელნიც უკანასკნელ ხანში იგემა ჩან-კაი-შიმ ჩრდილოელებისაგან, და აგრეთვე იმ მოლაპარაკებებს, რომლებსაც ის აწარმოებდა ჩრდილოელ ფეოდალ - იმპერიალისტებთან. მაგრამ შეიცვლება რამე იმით, რომ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ფინ-იუი-სიანი და მისი მომხრენი „ითამაშებენ როლს“? უხანისა და ნანკინის არმიების გაერთიანება და მათ შორის ომის შეწყვეტა მხოლოდ რამოდენიმედ დაამშვიდებს მათ. მაგრამ გაქრება თუ არა ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც წაართვეს სამხედრო ძლიერება ჩან-კაი-შის და ყოფილ „კანტონის არმიას“, აგემეს მათ დამარცხება ფეოდალებისაგან და აიძულეს დაეწყოთ მოლაპარაკება ამ უკანასკნელთან.

ეს მიზეზები გამოიწვია რევოლიუციონურ მასებთან კავშირის გაწყვეტის პოლიტიკამ, კომუნისტების სიკვდილით დასჯის პოლიტიკამ, პოლიტიკამ გლეხთა აჯანყებების დახშობისა, მუშათა დემონსტრაციების დახვრეტისა და პროფესიონალური მოძრაობის დარბევისა. რანაირადაც არ უნდა ეცადოს ჩან-კაი-ში თავის დეკლარაციაში საკუთარი დამარცხება გადააბრალოს „კომუნისტებს“, სინამდვილეში ერთი რამ მაინც ცხადია: ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს მას, როგორც არმიაში, ისე ზურგში არ ჰყავდა კომუნისტებზე და ამ კომუნისტების მიმდევარ მუშებსა და გლეხებზე უფრო პატიოსანი და თავგანწირული მებრძოლნი ნაციონალური რევოლიუციის გამარჯვებისათვის. განა შეიძლება ისტორიიდან იმ ფაქტის ამოშლა, რომ შანხაის აღებაში სამხრეთის არმია უნდა უმადლოდეს იმ შანხაელ მუშების გმირულ აჯანყებას მოწინააღმდეგის ზურგში, რომლებიც რამდენიმე კვირის შემდეგ წამებულნი და დახვრეტილი იქნენ ჩან-კაი-შის ბრძანებით.

მუშურ-გლეხური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკით ჩინეთის ბურჟუაზიის ბელადები და სტრატეგები იმზადებენ ახალ სამხედრო დამარცხებებს ფეოდალებისაგან, ეს დამარცხებები და მეორეს მხრივ, რევოლიუციის იერიში სამხრეთ - ჩინეთის მიდამოებიდან აუცილებლივ აიძულებენ ჩან-კაი-შის მემკვიდრეებს პოლიტიკურად შეურიგდენ (თუ არ დანებდენ) და ჩამოაგდონ ზავი ფეოდალებთან და იმპერიალისტებთან.

ასეთია ჩინეთის ბურჟუაზიის აუცილებელი გზა. რამდენადაც მას შესწევდა ძალა დაეწყო რევოლიუციონური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმდენად უძლური აღმოჩნდა განეგრძო და ბოლომდე მიეყვანა ის. თუ არ ივლის მუშებთან და გლეხებთან ერთად, ის ადრე თუ გვიან გადავა მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მებრძოლ მემამულეებისა და იმპერიალისტების ბანაკში.

უხანის და ნანკინის გაერთიანებით ხდება ჩინეთის ბურჟუაზიის კლასიურ ძალთა კონსოლიდაცია და შემჭიდროვება. კონსოლიდაცია ბურჟუაზიის, რომელმაც უღალატა რევოლიუციის ინტერესებს. ამაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი: ჩინეთის მუშათა და გლეხთა ძალების შემჭიდროვება და კონსოლიდაცია. საჭიროა რევოლიუციის ახალ ფართო აღტკინების მომზადება შეუკვეცავი ლოზუნგებით რევოლიუციონურ აგრარულ გადატრიალებისა და ჩინეთიდან იმპერიალისტების გაძევების შესახებ; გლეხურ და პროფესიონალურ მოძრაობის ორგანიზაცია და განვითარება; მუშათა და გლეხთა მასების მხრივ ყოველმხრივ ხელის შეწყობა ახალ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის სამხრეთ ჩინეთში და ნანჩანში.

ჩინეთის დიდი ნაციონალური რევოლიუცია ბოლომდე იქნება მიყვანილი მუშებისა და გლეხების მიერ; მიუხედავათ მათ გამცემ ბურჟუაზიისა, გააფთრებულ კლასიურ ბრძოლით. ამის საწინდარია ის, რომ რევოლიუციის არც ერთი მსხვილი ობიექტიური ამოცანა გადაჭრილი არ არის. ასეთ პირობებში საუკუნოებრივ ძილიდან გამოღვიძებული, მძლავრად ამოძრავებული მრავალმილიონიანი მასები კიდევ არაერთხელ უჩვენებენ იმპერიალისტურ და ფეოდალურ მსოფლიოს, თუ რას წარმოადგენს დიდ კოლონიალურ რევოლიუციის გამანადგურებელი ძალა.

დეე, დროებით იზეიმონ „მომაკვდავ ბურჟუაზიის ქოფაკებმა და ღორებმა“, რომელთაც ახარებს ჩინელ დიქტატორთა თითოეული გალაშქრება მუშების და გლეხების წინააღმდეგ. ისინი კიდევ დაინახავენ და გაიგებენ, თუ რას წარმოადგენს რევოლიუციონური მუშურ-გლეხური ჩინეთი.

„პრავდა“.

მოსკოვი, 17 აგვისტო.

ჩან-კაი-ში აღიარებს თავის დანაშაულს განმანთავისუფ. მოძრაობის წინაშე

ნანკინის ჯარების მთავარ-სარდლად დანიშნულია ლი-ჩუნ-ჟენი. — მდგომარეობა ფრონტზე

შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილებამ განაახლა მოქმედება

თვით მთავრობამ აღიარა, რომ ბანკისადმი წარდგენილი ბრალდებები უსაფუძვლოა და საქმე მოსპო

გაზ. „ჯორნალე დ'იტალია“ მოელის საბჭ. კავშირის ცნობას ამერიკის მიერ

ყოფ. სოც.-დემ. ვეისის ყალბი დოკუმენტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ჩან-კაი-შის გადადგომის შემდეგ

ჩან-კაი-შის დეკლარაცია

შანხაი, 16 აგვისტო. ჩან-კაი-შიმ გადადგომის გამო გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც მოყვანილია თავისი გადაწყვეტილების მოტივები.

დეკლარაცია შეიცავს ჩან-კაი-შის მთელი წარსული მოღვაწეობის მიმოხილვას და უმთავრესად წარმოადგენს გალაშქრებას კომუნისტების წინააღმდეგ. ჩან-კაი-ში სხვათა შორის აცხადებს:

„ჩემი სურვილი შემდეგში მდგომარეობს: **1. ორივე ფრაქციის წევრებმა უარი უნდა სთქვან უთანხმოებაზე და ურთიერთისადმი ეჭვის ატმოსფერაზე. უხანელი ამხანაგები უნდა ჩავიდენ ნანკინში, აიღონ ხელში პარტიის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა მისი მომავლისათვის. თუ მე მთვლიან განხეთქილების მიზეზად, მე მზად ვარ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო გომინდანის გულისათვის.** 2. სამხედრო სამსახურში მყოფი ამხანაგები დაუყოვნებლივ უნდა წავიდენ ჩრდილოეთისაკენ, თავი მოუყარონ თავიანთ ძალებს და დაიწყონ შეტევა პეკინზე. მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიფოთ იმისათვის, რომ აღვადგინოთ დაკარგული მდგომარეობა. **ყოველგვარი კონფლიქტი ჩვენს პარტიაში დაასუსტებს ჩვენს პოზიციას და გააძლიერებს** მილიტარისტებს და კომუნისტებს, გაახანგრძლივებს მათ არსებობას. 3. მე ვიმედოვნებ, რომ ხუნანის, ხუბეის და ცზიან-სის პროვინციების ხელისუფლება ჩაატარებს პარტიის საფუძვლიანად გაწმენდას. მე მწამს, რომ უხანელი ამხანაგების კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ ტარდება გულწრფელად, მაგრამ ხალხის გაუგონარი ტანჯვა მოითხოვს, რათა უხანმა მოგვცეს დაპირება, რომ მიიღებს ყოველგვარ ზომებს და არ დაიშურებს არავითარ ძალ-ღონეს იმისათვის, რომ არ დაუშვას კომუნისტების მოღვაწეობის განახლება იმ რაიონებში, სადაც კომუნისტები დროებით ბატონობდენ. მე არ ვიცი სხვაგვარი საშუალება მდგომარეობის გადასარჩენად, გარდა მესამე პუნქტში აღნიშნული მოსაზრებისა. თუ ერი გაერთიანდება—იმპერიალიზმი დაეცემა. ვკისრულობ დანაშაულს ყოველივე მომხდარის გამო, მოვალედ ვსთვლი თავს გადავდგე და ადგილი დაუთმო უფრო უნარიან და პატივცემულ ხელმძღვანელებს. როგორც წევრი გომინდანისა, დავეხმარები პარტიას, და როგორც მოქალაქე ჩინეთისა, დავეხმარები ჩვენს ქვეყანას (ადს).

ჩან-კაი-ში გაემგზავრა ნინბოში

ლონდონი, 16 აგვისტო. „დეილი მეილი“ აქვეყნებს თავის შანხაელ კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ,რომ ჩან-კაი-ში შანხაიდან გაემგზავრა ნინბოში.

„გენერალი ჩან-კაი-ში—სწერს კორესპონდენტი—14 აგვისტოს გამოცხადდა გემზე 500 ჯარისკაცის თანხლებით, რომლებსაც ჰქონდათ მრავალი ტყვიის მფრქვეველი“ (ადს).

ჩან-კაი-შის გზით

შანხაი, 16 აგვისტო. ჩან-კაი-შის შემდეგ გადადგენ ნანკინის მთავრობის თვალსაჩინო მოღვაწენი: **ხუ-ხან-მინი** და სხვები, რომლებმაც თავისი გდადგომა აცნობეს დეპეშით ფინ-იუი-სიანს, რომელიც იწვევდა მათ კონფერენციაზე ნანკინში, ნანკინის და უხანის შორის შეთანხმების მისაღწევად. ხუ-ხან-მინის და მის მომხრეების დეპეშაში ნათქვამია, რომ გომინდანის უხანის და ნანკინის ფრაქციების კონფერენცია აუცილებელია, მაგრამ დეპეშის ავტორები მთლიანობის განსახორციელებლად უფრო სასურველად სცნობენ, რომ არ დაესწრონ პირადათ ამ კონფერენციას, გაჰყვენ ჩან-კაი-შის მაგალითს და ამით უზრუნველყონ კონფერენციის მიზნების მიღწევა.

სიკვდილით დასჯა

პეკინი, 16 აგვისტო. პრესის ცნობით სიკვდილით დასაჯეს გოლუნი და სამი სხვა, რომლებსაც დააბრალეს ფინ-იუი-სიანის სასარგებლოდ ჯაშუშური მუშაობა ტიან-ძინში (ადს).

კატასტროფიული მდგომარეობა ფრონტზე

შანხაი, 16 აგვისტო. უცხოელების წრეები ავრცელებენ ხმებს ფრონტის კატასტროფიული მდგომარეობის შესახებ და დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ჩრდილოელები დაიკავებენ ნანკინს და შანხაის (ადს).

სასამართლოს დადგენილება შორეულ აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილების შესახებ

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინეთის სასამართლომ გამოაქვეყნა დადგენილება შორეულ აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილების გაჩხრეკის საქმეზე. სასამართლოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ მთავრობის კომისიამ, რომელმაც მოახდინა ბანკის რევიზია, ვერ აღმოაჩინა იმის საბუთები, რომ ბანკი „წარმოადგენდა კომუნისტების საგენტოს და ფინანსიურ დახმარებას უწევდა მათ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში“.

სასამართლომ დაადგინა საქმე შესწყვიტოს და მოხსნას ბანკს ბეჭდები. (ადს)

ნანკინის არმიის ახალი მთავარსარდალი

შანხაი, 16 აგვისტო. ნანკინის არმიის მთავარ - სარდლად ჩან-კაი-შის მაგიერ დანიშნულია ლი-ჩუნ-ჟენი.

„პარტიის წმენდა კომუნისტებისაგან“

ხანკოუ, 16 აგვისტო. გამოქვეყნდა შემადგენლობა რევოლიუციონური კომიტეტისა, რომელმაც ნანჩანში ახალი ნაციონალური მთავრობა გამოაცხადა. ამასთანავე ერთად გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომლებიც გამორიცხული არიან გომინდანიდან 8 აგვისტოს პარტიის კომუნისტებისაგან „გაწმენდასთან“ დაკავშირებით.

გამოცხადებულია რევოლიუციონური კომიტეტის წევრთა სია გომინდანიდან გამორიცხულთა აღნიშვნით; **გამორიცხულთა შორის არიან სუნ-იატ-სენის ქვრივი — სუნ-ცზინ ლინი, უხანის მთავრობის მიწადმოქმედების ყოფილი მინისტრი ტან-პინ-სიანი, ჩან-კაი-შის საწინააღმდეგო სამხედრო ექსპედიციის მთავარსარდალი ჩან-ფა-გუეი და სხვ.**, სულ 32 კაცი. ყველა ესენი გომინდანის ცეკას წევრები იყვენ.

იუწყებიან, რომ გომინდანის ცეკადან გამორიცხულთა მაგიერ დანიშნულია ახალი პირები იმ მიზნით, რომ ცეკას პლენუმის მოწვევის დროს ქვორუმში იყოს. (ადს)

მერყევი დუბანი

შანხაი, 16 აგვისტო. უცხოეთის გაზეთების ცნობით, ანხუეის პროვინციის ყოფილი დუბანი, რომელიც წინად ნანკინის მთავრობის მხარეზე გადავიდა, ეხლა სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს შეუერთდა.

სამხედრო ტრიბუნალის გაუქმება

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინური გაზეთები იუწყებიან სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის გაუქმების შესახებ შანხაიში ანტი-კომუნისტური კამპანიის დამთავრების გამო. (ადს).

ნანკინის ჯარების უკან დახევა

შანხაი, 16 აგვისტო. უცხოეთის წყაროებიდან იუწყებიან, რომ ნანკინის ჯარებმა უკან დაიხიეს ჩუ-ჩჟოუსაკენ, 30 კილომეტრის დაშორებით პუკოუდან. (ადს).

უხანისა და ნანკინის ბელადების თათბირი

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ უხანის მთავრობის წევრი ვან-ცზინ-ვეი, ტან-ენ-კაი, სუნ-ფუ, ტან-შენ-ჩი და ჩან-ფა-გუეი გაემგზავრენ ციუცზიანში (ცზიან-სის პროვინცია), სადაც მიწვეული არიან აგრეთვე ბაი-ცზუნ-ჩი, ლი-ჩუნ-ჟენი და ხო-ინ-ჩინი.

ჩინური გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ უხანისა და ნანკინის ბელადების მომავალ თათბირს. (ადს).

დაპატიმრებანი შანხაიში

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინურ გაზეთების ცნობებით, კანტონის ხელისუფლებამ თითქოს აღმოაჩინა „კომუნისტურ ტერორისტულ რაზმის შტაბი. გაზეთების სიტყვით, დაპატიმრებულია რაზმის ცხრა წევრი, ერთი დაპატიმრებულთაგანი ვითომ გამოტყდა, რომ მან მოახდინა თავდასხმა კანტონის დიქტატორ ლიტი-სინზე. (ადს).

სემიონოვი იაპონელებთან

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინურ გაზეთების ცნობით, ატამანი სემიონოვი გაემგზავრა პეკინიდან იაპონელების თანხლებით. პეკინში ყოფნის დროს, სემიონოვი არა ერთხელ ხვდებოდა იაპონიის საელჩოს წევრებს. (ადს).

ირლანდიის პარლამენტში

კოსგრევის მოულოდნელი გამარჯვება

ლონდონი, 16 აგვისტო. რეიტერის სააგენტო დუბლინიდან იუწყება, რომ ირლანდიის პარლამენტმა 72 ხმის უმრავლესობით 71 ხმის წინააღმდეგ უარჰყო მუშათა პარტიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია კოსგრევის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. რეზოლიუციის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება აიხსნება იმით, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ მთავრობას მისცა ხმა. (ადს).

მარკოვიჩის გაქცევა

ვენა, 16 აგვისტო. ხმებია, რომ ზაგრების ციხიდან თავისი ძმის დახმარებით გაქცეულა ჩერნოგორიელი რევოლიუციონერი ქალი **მარკოვიჩი**. პოლიცია დაეძებს მას. (ადს).

როტე ფანეს კონფისკაცია

ვენა, 16 აგვისტო. პოლიციამ კონფისკაცია უყო ავსტრიის კომპარტიის ორგანოს „როტე ფანეს“. კონფისკაციის მიზეზია „როტე ფანეს“ წერილი, რომელშიც ის ავსტრიის მთავრობას სახავს კონტრ - რევოლიუციის ორგანიზატორად და მოითხოვს მუშათა კლასის შეიარაღებას, ფაშისტურ ორგანიზაციების დაშლას და ზეიპელის მთავრობის დამხობას. (ადს).

ახალი ყალბი საბუთი

ვენა, 16 აგვისტო. პოლიციასთან დაახლოვებული გაზეთი „დერ ტურმ“-ი, რომელიც ეკუთვნის ყოფილ სოციალ-დემოკრატ ვეისს, აქვეყნებს „საიდუმლო დოკუმენტს“, რომელიც ვითომ აღმოაჩინა ინგლისის პოლიციამ „არკოსზე“ თავდასხმის დროს. დოკუმენტის ტექსტში ნათქვამია: „ვენა. 25 დეკემბერი. 1926 წელი. საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელს ლონდონში. საიდუმლოდ. ასლი დანართთან ერთად (ფრიდრიხ ადლერი) მიიღო. უკვე ვაცნობე მოსკოვში ჩემი თათბირის შესახებ ბაუერთან, რენერთან, დანებერგთან, რომ თქვენ საშუალება გექნეთ მიაწოდოთ დოქტორ ადლერს ინფორმაცია თათბირის მსვლელობის შესახებ, გაცნობებთ შემდეგს: ამა თვის 20-ში 4 საათზე ჩემსა და ამხანაგ ბაუერსა, რენერსა და დანებერგს შორის შესდგა თათბირი. ბაუერისათვის ადლერის წერილის გადაცემის დროს ვაცნობე მას, რომ მე მოსკოვმა დამავალა გამეგო ავსტრიის სოციალ დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთაგან, რომ როგორ ფიქრობენ მოიქცენ ისინი, თუ ბურჟუაზია, რომელიც უკანასკნელ წლებში გამალებით იარაღდება მუშათა კლასის წინააღმდეგ, მუსოლინისთან და ხორტისთან ერთად გამოუცხადებს ომს ავსტრიის პროლეტარიატს. ბაუერმა დამავალა მეცნობებია მოსკოვისათვის შემდეგი: „ჩვენ, ავსტრიელი სოციალ - დემოკრატები, სრულებითაც არ ვამცირებთ იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება მუშათა კლასს ავსტრიის ბურჟუაზიის მხრივ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ვიცავთ მუშათა კლასის ინტერესებს, როდესაც ამჟამად უარს ვაცხადებთ მოსკოვთან კავშირზე.

მე, ბაუერი, ვიქნები უბედნიერესი ადამიანი, როდესაც პოლიტიკური მდგომარეობა შესაძლებელს გახდის თანამშრომლობას ჩვენ — სოციალ - დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის. მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა მოთმინება, ჩვენ, უსათუოდ ჩამოვიხსნით ნიღაბს, როდესაც კი ამის საშუალებას მოგვცემს დრო. მოუფიქრებელ ნაბიჯებს შეუძლია კატასტროფის გამოწვევა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ შეთანხმებულად. კარგი იქნებოდა, რომ საბჭოთა მთავრობა რეგულიარულად გვაწვდიდეს ცნობებს ავსტრიის რესპუბლიკის მოსალოდნელ საფრთხის შესახებ. ავსტრიის პროლეტარიატი საკმაოდ არის შეიარაღებული, რომ გაუსწორდეს ბურჟუაზიას. ის არ დაიხევდა უკან გადამწყვეტ გამოსვლის წინაშე, რომ არ ჰქონოდა იმის შიში, რომ იტალია და უნგრეთი მოახდენენ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას. ამხ. ადლერი უახლოეს დროში წარუდგენს საბჭოთა მთავრობას მთელ რიგ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ შემდგომი მუშაობა. ჩვენ ვიცით, თუ რით ვართ დავალებული მოსკოვისაგან. მაგრამ ჯერ-ჯერობით იძულებული ვართ გამოვიდეთ ცალ-ცალკე, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება. ყველაფერს გაუწყებთ ცნობად. საბჭოთა კავშირის ვენის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე კოციუბინსკი“. (ადს)

ყალბი საბუთი — ვეისის „ნახელავი“

ვენა, 16 აგვისტო. გაზეთ „დერ-ტურმ“-ის მიერ ახალ ანტისაბჭოთა ყალბ საბუთის გამოქვეყნების გამო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო „არბაიტერ ცაიტუნგ“-ი აცხადებს, რომ ბულვარულ გაზეთების „დი ფრაიხაიტ“-ის და „დერ ტურმ“-ის მეპატრონე, ყოფილი სოციალ - დემოკრატი, ცნობილი შანტაჟისტი ალექსანდრე ვეისი რეგულიარულად ღებულობს საიდუმლო ცნობებს პოლიციის სამმართველოდან და საშუალება აქვს გაეცნოს პოლიციის ფარულ მოხსენებებს. გაზეთები „დი ფრაიხაიტ“-ი და „დერ ტურმ“-ი რეგულიარულად ღებულობენ სუბსიდიებს პოლიციის საიდუმლო ფონდიდან და უფასოდ იგზავნებიან პოლიციის ყველა უბნებში.

ვენის პოლიციის სამმართველომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ მან სასამართლოს გადასცა „არბაიტერ ცაიტუნგ“-ის რედაქცია იმის გამო, რომ ხსენებულმა გაზეთმა უარი განაცხადა გამოექვეყნებია პოლიციის სამმართველოს მიერ გამოგზავნილი უარყოფა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის განცხადება

ვენა, 16 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვენის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითმა განყოფილებამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ გაზეთ „დერ-ტურმ“-ში დაბეჭდილი დოკუმენტი ყალბია. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა აღნიშნავს, რომ კოციუბინსკი, რომელსაც ვითომ ხელი უწერია „დოკუმენტზე“, ავსტრიიდან გაემგზავრა უკვე 1926 წლ. 2 ნოემბერს; ყალბი საბუთის შინაარსი აშკარა ჭორს წარმოადგენს. (ადს)

„არბაიტერ ცაიტუნგ“-ის განცხადება

ვენა, 16 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო „არბაიტერ-ცაიტუნგ“-ი აცხადებს, ყველა იმ სოციალ - დემოკრატების სახელით, რომელთა გვარები მოხსენებულია ყალბ საბუთებში, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს შანტაჟისტური ტიპის ჟურნალისტ ვეისის ნამოქმედარს. ვეისს სურდა შეექმნა ზინოვიევის „ავსტრიის წერილი“. (ადს)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

სპარსეთის და საბჭოთა კავში რის ხელშეკრულების გარშემო

თეირანი, 16 აგვისტო. გაზეთი „ირანი“ სწერს: „ალი გოლი ხან ანსარი მთავრობის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში იუწყება, რომ **საბჭოთა მთავრობამ მას დიდი დახმარება გაუწია სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების სასურველათ დამთავრების საქმეში და მოლაპარაკების დროს აღმოცენებულ უთანხმოების მოწესრიგებაში.** ანსარი გამოსთქვამს იმედს, რომ **უახლოეს დღეებში მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება.**

თავის საპასუხო დეპეშაში სპარსეთის პრემიერმა გაუგზავნა ანსარის ინსტრუქციები მოლაპარაკების დამთავრების შესახებ“. (ადს).

ოსმალეთ - საბჭოთა კავშირის დაახლოება

ოდესა, 17 აგვისტო. ოსმალეთიდან დაბრუნდა მწერალი **ბორის პილნიაკი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ოსმალეთში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, მისი ხელოვნებისა, თეატრისა და მხატვრობისადმი. პილნიაკის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, საბჭოთა საელჩოში გამართულ ბანკეტზე განხილულ იქნა საკითხი ოსმალეთ-საბჭოთა კულტურული დაახლოვების საზოგადოების მოწყობის შესახებ. საზოგადოების მოწყობის ინიციატორებად ოსმალეთის მხრით იქნებიან საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი - კორესპონდენტი პროფესორი **კუპრლიუ**, პარლამენტის რამდენიმე წევრი და მთელი რიგი მწერლები და კომპოზიტორები. (ადს)

შეერთებული შტატების მთავრობა უარს ამბობს

საკოსა და ვანცეტის საქმეში „ჩარევაზე“

შეერთებული შტატების „განმარტება“.

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. შეერთებული შტატების მისიამ ბუენოსაირესში (არგენტინა), გამოაქვეყნა ცნობა საკოსა და ვანცეტის საქმის შესახებ. მისიის განმარტებით ცნობა გამოქვეყნებულია იმ მიზნით, რომ „გარკვეულობა იქნეს შეტანილი აღნიშნული საქმის შესახებ საზოგადოებრივ აზრის მსჯელობაში“. ცნობაში ნათქვამია, რომ **საკოს და ვანცეტის საქმე შეიდს მასაჩუზეტის სასამართლოს ინსტანციების კომპეტენციაში და შეერთებული შტატების ფედერალურ მთავრობას არ შეუძლია ჩაერიოს საქმის გარჩევაში.**

ფიქრობენ, რომ შეერთებული შტატების მისიები სხვა ქვეყნებშიაც გადასდგამენ მსგავს ნაბიჯებს, რომ შეასუსტონ ის შთაბეჭდილება რომელიც შეიქმნა ამ საქმის გამო. (ადს(.

ყუმბარის აფეთქება

ნიუ - იორკი, 16 აგვისტო. ნაფიც მსაჯულ მაჩარდის (იგი ერთ-ერთი ნაფიც - მსაჯულია, რომელიც საკოსა და ვანცეტის ასამართლებდა), სახლში გასკდა ყუმბარა. სახლი დაზიანდა. ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ქონია.

ყუმბარის აფეთქება მორიგი პროვოკაციას წარმოადგენს. (ადს).

საკომ შესწყვიტა შიმშილობა

ნიუ - იორკი, 16 აგვისტო. ცოლის და მეგობრების თხოვნით, რომლებსაც შეეშინდათ შიმშილობის ტრაგიკულად დაბოლოვებისა, **საკომ 17 ივლისის შემდეგ პირველად მიიღო საჭმელი.** (ადს).

საქმის გადასინჯვისათვის

ნიუ - იორკი, 16 აგვისტო. 16 აგვისტოს მასაჩუზეტის შტატის უზენაეს სასამართლოში გაირჩა საკოსა და ვანცეტის დამცველთა საჩივარი, რომელნიც შუამდგომლობდენ საქმის გადასინჯვას იმის გამო, რომ მოსამართლე ტეიერი პირველ ინსტანციაში საქმის გარჩევის დროს არ იჩენდა მიუდგომლობას ბრალდებულთა მიმართ. ფიქრობენ, რომ **სასამართლოს გადაწყვეტილება ამ უახლოეს ხანებში იქნება გამოტანილი, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენი 22 აგვისტოს იქნას მოყვანილი სისრულეში.**

„უორკერს პოსტი“ და საკოსა და ვანცეტის დაცვის კომიტეტი ბოსტონში მოუწოდებს ორგანიზაციებს, რომ 18 აგვისტოს საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყონ მთელ მსოფლიოში და 22 აგვისტო გამოაცხადონ საერთაშორისო საპროტესტო გაფიცვის დღედ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გემების ქარხნის მუშათა გაფიცვა

ვენა, 16 აგვისტო. გემების საალმშენებლო ქარხნის მეპატრონემ სადგურ ბრაილეში (რუმინეთის ნავთსადგური) უარი განაცხადა კოლექტიურ ხელშეკრულებაზე იმ მიზნით, რომ დაუკლოს სამუშაო ხელფასს და მუშების ნაწილი შესცვალოს უცხოელებით. **ამის საპასუხოდ გემების საალმშენებლო ქარხნების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.** (ადს).

ვენის პოლიცია

ვენა, 17 აგვისტო. „არბაიტერ ცაიტუნგ“-ი და „როტე ფანე“ ყოველდღე იუწყებიან დაპატიმრებათა შესახებ, რომელსაც ახდენს ვენის პოლიცია ივლისის დღეებთან დაკავშირებით; პოლიცია საშინლად უხეშად და სასტიკად ეპყრობა დაპატიმრებულთ, მათ შორის ქალებსაც. (ადს).

მე-15 არმიის დაშლა

ხანკოუ, 17 აგვისტო. უხანის მთავრობამ გასცა ბრძანება მე-15 არმიის სარდალ გენერალ ლიუ ცზო-ლუნის დაპატიმრების შესახებ. ლიუ-ცზო-ლუნს წარუდგინეს ბრალდება მე-15 არმიის სარდლის თანაშემწის და პოლიტ განყოფილების უფროსის უკანონოდ სიკვდილით დასჯის შესახებ. ლიუ ცზო-ლუნი მოხსნილია არმიის სარდლის თანამდებობიდან და გადაეცა სამხედრო-საველე სასამართლოს. მთავრობამ დაშალა მე-15 არმია. (ადს).

მუშათა პარტიის „წმენდა“

ლონდონი, 17 აგვისტო. მუშათა პარტიის აღმასკომმა გამორიცხა პარტიიდან მასწავლებელთა კავშირი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პარტიიდან რიცხავენ მთელ პროფკავშირს. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მასწავლებელთა კავშირის უარი თავის შემადგენლობიდან კომუნისტების გარიცხვის შესახებ და კავშირის დიდი გავლენა და ორგანიზაციულობა. (ადს).

ნავთის ახალი შადრევანი.

ბაქო, 17 აგვისტო. სურახანაში, მესამე სარეწავზე, ჭაბურღილ № 67-დან ამოხეთქა ნავთის შადრევანმა. შადრევანის დებეტი უდრის 1.000 ტონას დღე-ღამეში. ჭაბურღილი № 67 ძველია და ამჟამად ძველ მოედანზე დაიკავა პირველი ადგილი. (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო შეთანხმება

პარიზი, 17 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 17 აგვისტოს ხელი მოაწერეს საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო შეთანხმებას. ორივე ქვეყანა აძლევს ერთმანეთს განსაკუთრებულ უპირატესობის უფლებას ექსპორტის თითქმის ყველა საგნების მიმართ. (ადს).

ემიგრანტების მოთავსება საკონცენტრაციო ბანაკში

ვარშავა, 17 აგვისტო. გაზეთ „გლოს პრავდი“-ს ცნობით დანცინგის ქალაქის ხელისუფლებამ გადასწყვიტა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსოს პოლონეთიდან გაძევებული რუსი ემიგრანტები. დანცინგის ემიგრანტულმა წრეებმა შუამდგომლობა აღძრეს დანცინგის სენატის წინაშე ამ დადგენილების გაუქმების შესახებ.

მღელვარება მუშებს შორის

ვენა, 17 აგვისტო. ქალაქის ელექტრონის სადგურის მუშებს შორის დიდი მღელვარებაა სადგურზე მუშების დაპატიმრების გამო. მუშა-კომუნისტებმა გამოუშვეს ლიტოგრაფზე დაბეჭდილი ფურცელი, რომელშიაც მოუწოდებენ მუშებს გამოსვლისაკენ დაპატიმრებულთა დასაცავად. იმ მუშებს, რომლებიც ამ ფურცელს ავრცელებენ, აპატიმრებენ. ვენის გაზეთ „როტე ფანე“-ს გუშინდელ ნომერს, რომელშიაც დაბეჭდილი იყო წერილი მუშების დაპატიმრების გამო, კონფისკაცია უყვეს. დღეს „როტე ფანე“-მ გუშინდელი ნომერი გამოუშვა დღევანდელ ნომრის დამატების სახით, მაგრამ ნომერში ცენზურის მიერ ბევრი რამ არის გამოტოვებული. (ადს).

ინგლისელ ჯარების პროკლამაცია

შანხაი, 17 აგვისტო. ინგლისურ გაზეთების ცნობით შანხაიში მცხოვრებ ბევრ გავლენიანმა და მდიდარ უცხოელებმა მიიღეს ფოსტით „შანხაის დაცვის კორპუსის რევოლიუციონურ ჯარისკაცთა კომიტეტის“ პროკლამაცია (კორპუსი შესდგება ინგლისელ ჯარისკაცებისაგან); პროკლამაცია დათარიღებულია 1-ლ აგვისტოთი და სათაურად აქვს: „ძირს ტერორი შანხაიში! ძირს მუშათა დაპატიმრება, წამება და სიკვდილით დასჯა“! (ადს)

ტუროვის მკვლელთა საქმე

მოსკოვი, 17 აგვისტო. საგუბერნიო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ამხ. ტუროვის მკვლელთა საქმეზე. ორ ბრალდებულს მიესაჯა დახვრეტა, დანარჩენებს თავისუფლების აღკვეთა 10 წლიდან 6 თვემდე. (ადს)

მიწისძვრა ნამანგანში

ნამანგანი, 17 აგვისტო. მიწისქვეშა ბიძგები განუწყვეტლად გრძელდება. 17 აგვისტოს შუადღემდე ჩაწერილია 150-მდე ბიძგი. კიდევ დაინგრა 110-მდე სახლი ძველ ქალაქში და მახლობელ კიშლაკებში, ქალაქის მთელი მოსახლეობა განაგრძობს ქუჩაში ცხოვრებას. (ადს)

მიწისძვრა სამარქანდში

სამარქანდი, 17 აგვისტო. 16 აგვისტოს ღამის 8 საათზე და 4 წუთზე შემჩნეულ იქნა ძლიერი ბიძგი, რომელმაც გამოიწვია ახალი ნგრევა. არის რამოდენიმე დაჭრილი. (ადს)

საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობა

სტოკჰოლმი, 16 აგვისტო. საერთაშორისო კოოპერატიულმა ყრილობამ ხმის უმრავლესობით მოიწონა საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის აღმასკომის მოხსენება, რომელიც ჰგმობს „საბჭოთა კოოპერატორების პროპაგანდის მეთოდებს, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგებიან ალიანსის წესდებას“. მიღებული რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ალიანსის აღმასკომმა გადასწყვიტა დაიცვას კოოპერატიულ მოძრაობის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები ყოველ სხვა ორგანიზაციებისაგან სხვადასხვა ქვეყნებში.

საკითხში ალიანსის წესდების შეცვლის შესახებ განსაკუთრებით გაცხოველებული კამათი გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის წინადადებამ ალიანსის ყრილობაზე რუსულ ენის მეოთხე სავალდებულო ენად ცნობის შესახებ და ალიანსის ცეკაში საბჭოთა კოოპერატივების 14 წარმომადგენლის დაშვების შესახებ.

კამათში გამოსულმა **მეშჩერიაკოვმა** (საბჭოთა კავშირი) აღნიშნა, რომ უკვე სამი წელიწადია იდება რუსულ ენის სავალდებულოდ ცნობის საკითხი. მეშჩერიაკოვმა ხაზი გაუსვა საბჭოთა კოოპერატიულ მოძრაობის მნიშვნელობას ალიანსის შიგნით და განაცხადა, რომ საბჭოთა კოოპერატივების ხელმძღვანელი ორგანოები შესდგებიან მუშებისა და გლეხებისაგან, რომელთაც არ იციან უცხო ენები.

შარლ ჟიდი საფრანგეთის დელეგაციის სახელით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წინადადების დასაცავად.

პრივატმა (შვეიცარია) შეიტანა წინადადება, რომ ალიანსის ყრილობებზე სავალდებულოდ ჩაითვალოს ესპერანტო.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება რუსულ ენის სავალდებულოდ ცნობის შესახებ უარყოფილია 430 ხმით 199-ის წინააღმდეგ.

სერვიმ (ბელგია) წამოაყენა კომპრომისული წინადადება, მაგრამ ყრილობის პრეზიდიუმმა ამ წინადადებას კენჭი აღარ უყარა და არ დართო პირველ კენჭის ყრაზე თავშეკავებულთა ხმების დათვლის ნება, მიუხედავად იმისა, რომ **იმ დელეგატების რიცხვი, რომლებმაც თავი შეიკავეს კენჭის ყრიდან და იყვენ კომპრომისულ გადაწყვეტილების მიღების მომხრე, აღემატებოდა 150 კაცს.**

ალიანსის ცეკაში საბჭოთა კოოპერატივების წარმომადგენლობის საკითხის შესახებ წინადადება შეიტანა **ჩეხო - სლოვაკიის დელეგაციამ, რომელიც პრინციპიალურად ემხრობა იმას, რომ ალიანსის ცეკაში დაშვებულ იქნას თითოეულ სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა კავშირის, 14 წარმომადგენელი, რაც პრაქტიკულად მოასწავებს ინგლისის, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის, არსებულ წარმომადგენლობის გაფართოებას.**

კისინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს ჩეხო - სლოვაკიის დელეგაციის წინადადებას, ვინაიდან საბჭოთა დელეგაცია არ სცდილობს თავის თვის მექანიკურ უმრავლესობის მოპოებას, არამედ სურს უზრუნველჰყოს ცალკე ქვეყნების კოოპერატიულ მოძრაობის სათანადო წარმომადგენლობის შესაძლებლობა.

გერმანელი დელეგატები ხელახლა გამოვიდენ მკაცრი სიტყვებით კომუნისტების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია ენერგიული წინააღმდეგობა საბჭოთა დელეგაციის მხრივ. ალიანსის ცეკაში ცალკე ქვეყნების წარმომადგენლობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადადებულია 18 აგვისტოსათვის. 16 აგვისტოს შესდგება ცალკე ქვეყნების კოოპერატიულ გაერთიანებათა კონფერენცია კოოპერატიულ მოძრაობის პროპაგანდის საკითხების განსახილველად. **ამ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაცია წარმოადგენს ძლიერ ჯგუფს.** (ადს).

ყოფ. ჯარისკაცთა კონგრესი

პარიზი, 16 აგვისტო. 14 აგვისტოს კლიშში (უბანი პარიზის მახლობლად) გაიხსნა ყოფილი ფრონტელების რევოლიუციონური ასოციაციის კონგრესი. ასოციაციის თავმჯდომარემ **ბარბიუსმა** წაიკითხა საბჭოთა სექციის დეპეშა, რომელსაც დიდის ენტუზიაზმით შეხვდენ.

კონგრესმა საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთში დაშვებულ არ იქნა მსოფლიო ომში ყოფილ მონაწილეთა დელეგაცია საბჭოთა მოქალაქეთაგან. (ადს).

პარიზი, 16 აგვისტო. ომის ყოფილ მონაწილეთა საფრანგეთის რევოლიუციონურ ასოციაციის ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობს პარიზში, სიტყვით გამოვიდა **რიხტერი**, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალისტები საბოტაჟს უწევენ ომის ყოფილ მონაწილეთა საერთაშორისო გაერთიანების მუშაობას, რისთვისაც აბრკოლებენ გაერთიანებაში საბჭოთა ინვალიდების შესვლას.

ყრილობაზე გამოსულ ჟირომსკის, რომელიც შეესალმა ყრილობას გერმანიის წითელ ფრონტელების სახელით, დამსწრენი შეხვდენ მქუხარე ტაშით. შემდეგ გამოვიდენ რემდასის, საფრანგეთის კომპარტიის, კომკავშირის და აგრეთვე, ანტიფაშისტურ გვარდიის მომწყობ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. (ადს)

აჯანყება პორტუგალიაში

პარიზი, 16 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, გადატრიალების ცდას პორტუგალიაში მონარქისტული ხასიათი ქონდა. აჯანყება ალბად ჩაქრობილია. აჯანყების უმთავრესი მონაწილენი დაპატიმრებული არიან.

მთავრობამ განაცხადა, რომ დამნაშავეებს სიკვდილით არ დასჯიან და მხოლოდ გადაასახლებენ. (ადს).

ფაშისტების დემონსტრაცია

ვენა, 16 აგვისტო. 14 აგვისტოს ვენის მთავარ ქუჩებში მოწყობილ იქნა ახალგაზრდათა სასპორტო კლერიკალური ორგანიზაციების კონგრესის მონაწილეთა აღლუმი. აღლუმი რეაქციონური კლერიკალური ორგანიზაციების პირველი დემონსტრაციაა. აღლუმი ჩატარდა ფაშისტური ლოზუნგებით. დემონსტრაციას იცავდა პოლიცია, რომელიც გადაცმული იყო საალლუმო ფორმაში. (ადს).

ხის დამმუშავებელთა უნიტ. ფედერაციის ყრილობა

პარიზი, 16 აგვისტო. გაიხსნა საფრანგეთის ხის დამმუშავებელთა ფედერაციის ყრილობა. ფედერაციაში შედის 20.000 კაცი. ყრილობაზე სტუმრად ესწრება სამი ინგლისელი დელეგატი და ერთი ბელგიელი, ხის დამმუშავებებთა საერთაშორისო ფედერაციამ (რეფორმისტულმა), რომელსაც გაეგზავნა მიპატიჟება, უარი განაცხადა დელეგატის გაგზავნაზე.

ყრილობაზე **გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ხისდამმუშავებელთა კავშირის ცეკას მისასალმებელი წერილი, რომელშიაც ახსნილია ის მიზეზები, რომელთა გამო საბჭოთა ხისდამმუშავებლებმა ვერ გაგზავნეს ყრილობაზე თავისი წარმომადგენელი.**

გოსიპმა, რომელიც გამოვიდა ინგლისის პროფკავშირთა მოძრაობის უმცირესობის სახელით, გააკრიტიკა ამსტერდამის ინტერნაციონალის რეაქციონური ხელმძღვანელები და აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის დაცვა ინგლისის იმპერიალიზმისაგან.

ნიკოლისმა, რომელიც გამოვიდა ინგლისის ხისდამმუშავებელთა კავშირის უმცირესობის სახელით, გააკრიტიკა პროფმოძრაობის აპოლიტიკურობის მომხრეთა არგუმენტები; ის ამტკიცებდა, რომ საჭიროა პროფკავშირთა პოლიტიკური გამოსვლები.

დე-ვალერა, რომელიც გამოვიდა ბელგიის ხის დამმუშავებელთა კავშირის უმცირესობის მემარცხენე მოძრაობის სახელით, თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა ბელგიის რეფორმისტული პროფმოძრაობის დაშლის შესახებ. (ადს).

ამხანაგი რიკოვი ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ

სიტყვა მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე*)

მოსკოვი, 17 აგვისტო. მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვის მეორე ნაწილში ამხ. რიკოვი შეეხო ოპოზიციის საკითხს. მომხსენებელმა სთქვა:

„ოპოზიცია მოითხოვდა, რომ ყრილობის დღის წესრიგში დაგვესვა საკითხი ჩვენ მიერ განვლილი ათი წლის შედეგების შესახებ, სპეციალური პუნქტი მთლიანობის შესახებ და პუნქტი საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივების შესახებ. ჩვენ უარვყავით ოპოზიციის წინადადება, ვინაიდან ჩვენი დღის წესრიგით ამოიწურება ეს საკითხები და გარდა ამისა დასმულია სპეციალური საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ. ჩვენ უარვყავით აგრეთვე ოპოზიციის წინადადება, რომ დანიშნულიყო ვადა დისკუსიისათვის ყრილობის წინ. პარტიის მეათე ყრილობის გადაწყვეტილებებით და წესდების მიხედვით ყრილობის დღის წესრიგი გამოქვეყნებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 ნახ. თვისა ყრილობამდე. ოპოზიციამ მოითხოვა, რომ დისკუსია უფრო ადრე დაგვეწყო. ჩვენ ეს წინადადება უარვყავით, ვინაიდან მიზანშეწონილად არ ვსთვლით, რომ პარტიის დისკუსიის ციებ-ცხელებაში ჩავაგდოთ მთელ რიგ თვეების განმავლობაში. ოპოზიციას აქვს უფლება წარმოადგინოს კონტრთეზისები. ჩვენ ვალდებული ვართ დავბეჭდოთ ეს თეზისები. გამოვსცეთ სადისკუსიო ფურცელი და გავაკეთოთ ყოველივე ის, რასაც მოითხოვს პარტიის წესდება და გადაწყვეტილებები. იმას, ვისაც ლეგალურ ფარგლებში სურს განიხილოს პარტიის ხაზი, ჩვენ მივსცემთ ამის სრულ შესაძლებლობას".

შემდეგ ამხ. რიკოვი აღნიშნავს: ფორმალური მიზეზს იმისა, თუ გაერთიანებულ პლენუმის დღის წესრიგში რატომ იქნა დასმული საკითხი ტროცკისა და ზინოვიევის შესახებ, ყველასათვის ცნობილია ისევე, როგორც ამ საკითხის არსებითი მხარე. ამხ. რიკოვი იძლევა ოპოზიციონური გამოსვლების ქრონოლოგიურ ცნობას საპეტიციო კამპანიამდე.

„ოპოზიციამ,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—თავისი სამი თვის საპეტიციო კამპანიის განმავლობაში შეაგროვა ათას ხუთასამდე ხელმოწერა. თუ პეტიცია არის ოპოზიციონური ბელადების პეტიცია, მაშინ ეს ხელისმოწერა ძალიან ბევრია, მაგრამ თუ ეს არის პარტიის ყველა წევრების დაკითხვა, მაშინ ძალიან ცოტაა, ამჟამად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი განცხადებებისა იმის შესახებ, რომ უარს ამბობენ ამ პეტიციის ქვეშ ხელის მოწერაზე, ვინაიდან ის ამხანაგები, რომლებმაც ხელი მოაწერეს პეტიციას, შეცდომაში იყვენ შეყვანილი და ხშირად არ იცოდენ, თუ რას აწერდენ ხელს. რას ნიშნავს საპეტიციო კამპანია? ეს ნიშნავს იმას, რომ ოპოზიცია პარტიის შიგნით კამპანიის დაწყების გზით სცდილობდა შეეგროვებია და დაერაზმა პოლიტიკური ჯგუფები, შეეკავშირებია ისინი ამ პეტიციის პლატფორმაზე და ზეგავლენა მოეხდინა ცეკას და პარტიის მთელ პოლიტიკაზე. ამავე დროს ოპოზიციამ მოაწყო ბროშურებისა და სხვა მასალების არალეგალურად ბეჭდვა. ამასთან ერთად დაამყარა კავშირი კომინტერნისა და კომუნისტური პარტიის შემადგენლობიდან გამორიცხულ რენეგატთა ჯგუფებთან, რომლიდანაც ოპოზიცია იმიჯნებოდა თავის განცხადებაში 16 ოქტომბრის თარიღით. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ოპოზიციამ უკანასკნელი პლენუმის წინ მოახდინა ახალი ცდა არა მარტო ჩამოეყალიბებია თავისი ფრაქცია, არამედ დაემყარებია კავშირი კომინტერნიდან გამორიცხულ ელემენტებთან. ის გზა, რომელზედაც ოპოზიცია შესდგა, არის მეორე პარტიის დაარსების გზა.

სავსებით უდავოა, რომ ზინოვიევი, კამენევი და სხ. ისეთივე ტროცკისტები გახდენ, როგორც თვითონ ტროცკი. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ოპოზიციის გაუბედავი გამიჯვნა მისი „მემარცხენე" ჯგუფისაგან (საპრონოვი, სმირნოვი). მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ოპოზიციამ ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის სახით, მიუხედავად პლენუმის მონაწილეთა დაჟინებითი მოთხოვნილებისა, რომ გამიჯნულიყო „ხუთმეტის" პლატფორმისაგან, ამის შესახებ კრინტიც კი არ დასძრა პლენუმზე".

ამხ. რიკოვი შეეხო რა რამდენიმე სიტყვით „ხუთმეტის დოკუმენტს" (სმირნოვ-საპრონოვი), რომელიც ცეკაში იქნა შეტანილი და მოიყვანა რა ამ დოკუმენტიდან რამდენიმე ციტატა, განაცხადა:

„მე განზრახვა არ მაქვს ამ კრებაზე გავაკრიტიკო ციტატების მთელი თაიგული, რომლის ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა „სურნელება" მყისვე გეცემათ ცხვირში. ამ უსაფუძვლო ბრალდებებში სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, წითელი არმიის, „ზეკლასიურ" სახელმწიფოს, „კულაკური დემოკრატიის" და სხ. შესახებ,—ისევე ცოტაა სიმართლე, როგორც ბევრია მასში მუშათა კლასისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის საწინააღმდეგო ძველი გაცვეთილი ლაყბობა, რომლითაც ბლსავსეა მენშევიკური კალმოსნების ჩვეულებრივი „მეცნიერული" და არამეცნიერული „დასაბუთებანი".

შემდეგ ამხ. რიკოვი შეჩერდა რა საკითხზე „ტერმიდორიანობისა" და სხვა ბრალდებათა შესახებ, რომელთაც ოპოზიცია აყენებს პარტიის წინააღმდეგ, განაცხადა:

„მე მგონია, რომ ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებთ ოპოზიციის პლატფორმაში, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ტროცკიზმი, რომელიც არაერთხელ იქნა დაგმობილი ჩვენი პარტიისა და კომინტერნის მიერ და რომლის მავნებლობის შესახებ ჯერ კიდევ ამ ახლო წარსულში ძალიან ბევრს და დაბეჯითებით სწერდენ ზინოვიევი და კამენევი,—ეს ტროცკიზმი მთელი ოპოზიციის გაბატონებული იდეოლოგია გახდა. ამ იდეოლოგიის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობა მთელ თავის მასაში უცხო და მტრული დარჩება სოციალისტური აღმშენებლობისადმი, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის პირობები სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად ტეხნიკური, ეკონომიური, კულტურული და სხვა ჩამორჩენილობათა გამო და რომ ჩვენ არ გვაქვს ისეთი ძალა, რომ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ვადით უზრუნველვყოთ პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე, რომელსაც უმნიშვნელო ხვედრითი წონა აქვს ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ახასიათებს წვრილბურჟუაზიული სოფლური სტიქია. აქედან გამომდინარეობს მტკიცება სახელმწიფო ხელისუფლების კლასიური გადაგვარების აუცილებლობის შესახებ. აქედან გამომდინარეობს რწმენის უქონლობა დიქტატურის სიმტკიცისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. ტროცკიზმი ამჟამად არის განმაზოგადოებელი იდეოლოგიაა ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ ყველა მიმდინარეობათა და მიმართულებათა.

ომის საფრთხესთან დაკავშირებით ოპოზიციამ წამოისროლა კლემანსოს ლოზუნგი, როგორც ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის უზრუნველყოფის მეთოდი და წამოაყენა პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლის მოთხოვნილება. აქედან გასაგები უნდა იყოს ყველა იმ საკითხების დასმა, რომლებითაც აჭრელებულია მათი წერილები და სიტყვები ომის შესახებ: რა მიზნები ექნება ომს, ვისი ინტერესებისათვის იქნება წარმოებული იგი და სხვ. ჩვენ საქმე გვაქვს „პირობითი თავდაცვის" ტაქტიკასთან, საქმე გვაქვს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ პირდაპირ თავდასხმასთან, თვით ქუჩაში აშკარა გამოსვლამდე. ომის საფრთხის გამოყენება სხვა პარტიების გამოსვლისათვის გამოკრთის მაგალითად, ზინოვიევის ასეთ ფრაზაში: „დამოკიდებულება „ოპოზიციისადმი" ამჟამად არის მთავარი საკითხი. ამ საკითხს იხილავს ამჟამად მთელი „დიდი" ბურჟუაზიული პრესა (იხ. ლოიდ-ჯორჯის ახალი წერილი), რომ ჩვენ (ოპოზიციას) „დეზორგანიზაცია შეგვაქვს ზურგში", „სპეკულიაციას ვეწევით დაბრკოლებებზე", ეს არ სწამს არც ჩემბერლენს და არც მაკდონალდს. მაგრამ რომ იერიშები ოპოზიციის მიმართ ასუსტებს ჩვენს პარტიას—ეს მათ იციან. აქედან ისინი გამოიყვანდენ თავის დასკვნებს და დააჩქარებდენ თავდასხმას".

ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ თუ ჩვენ უფრო გადაჭრით ვაწარმოებთ ბრძოლას პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ, პარტიის მიმართ ცილისწამებისა და ყველა ამ მოქმედებათა წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც მე ვლაპარაკობ, ამით ჩვენ თურმე დავაჩქარებთ ბურჟუაზიული სახელმწიფოების თავდასხმას. შემდეგ იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ:



„ომის ვადა, ამგვარად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვითონ ჩვენგან, ჩვენი დარაზმულობისა და მთლიანობისაგან, სიმტკიცისა და წინდახედულობისაგან".

ეს იმას შემდეგ, როცა მას განზრახული აქვს ტერმინი ომის „შესაძლებლობა" გადაასწოროს „აუცილებლობად.

ასეთია მთავარი მომენტები იმ პრინციპიალური პოლიტიკური ხაზისა, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა უკანასკნელ ხანებში. ცხადია, რომ ამით არ ამოიწურება ყველა იმ საკითხთა რიგი, რომელთა შესახებაც ოპოზიცია სცდილობდა თავს დასხმოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ოპოზიციის იდეური გაკოტრება განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა იმაში, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა ეკონომიურად დაესაბუთებია თავისი პლატფორმა ტერმიდორისა და გადაგვარების შესახებ".

ამხ. რიკოვი შეეხო რა პლენუმის გადაწყვეტილებას ოპოზიციის შესახებ, განაცხადა:

„ცეკას პრეზიდიუმის რეზოლიუცია, რომელიც წარდგენილ იქნა გაერთიანებულ პლენუმზე, განხილული იყო მრავალ პარტიულ კრებებზე და მე არ ვიცი არც ერთი წინადადება, შემოტანილი ამ რეზოლიუციის შესარბილებლად. არ არის არც ერთი ორგანიზაცია, რომელსაც გაელაშქროს ტროცკისა და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის წინააღმდეგ. ამასთან ერთად მე გაცნობილი ვარ პარტიული კრებების გადაწყვეტილებებს, რომელნიც ამ ზომას არ სცნობენ საკმაოდ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ცეკა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი დაკმაყოფილდება მხოლოდ სასტიკი საყვედურით და ტროცკი და ზინოვიევი დასტოვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში".

შემდეგ ამხ. რიკოვმა განმარტა რა პლენუმის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა პარტიის მთლიანობის თვალსაზრისით, ხაზი გაუსვა მას, რომ საკითხი ზინოვიევისა და ტროცკის ცეკადან გამორიცხვის შესახებ არ არის მხოლოდ საკითხი ამა თუ იმ პირის ყოფნისა პარტიის ცეკაში.

„მე მგონია,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—რომ ამ შემთხვევაში საკითხი მდგომარეობდა არა მარტო იმაში, თუ ვინ უნდა გამოგვერიცხა და საიდან გამოგვერიცხა. ამ საკითხს უეჭველია დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმზე ჩვენ შეგვეძლო ან მოგვეწყო დემონსტრაცია ოპოზიციის განადგურების სასარგებლოდ და მის წინააღმდეგ გაგვეძლიერებია არა მარტო პოლიტიკური, არამედ საორგანიზაციო ბრძოლა (ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვა ცეკას შემადგენლობიდან იქნებოდა სწორედ ამგვარი დემონსტრაცია ცეკას მხრივ) ან პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისა და ოპოზიციონერების სკავშირო კომპარტიიდან გამოთიშვის თავიდან აცილების მიზნით მოგვეხდინა ახალი ცდა იმისა, რომ ოპოზიცია ჩაგვეყენებინა პარტიული კანონიერების ფარგლებში იმ საფუძველზე, რომ ისინი ხელს აიღებდენ უხეშ ცილის წამებაზე (ტერმიდორი) და პარტიაში დაუშვებელ განცხადებებზე (კლემანსოს თეზისი) და მოქმედებებზე (ფრაქციის მოწოდება და კავშირი კომინტერნიდან გამორიცხულ მასალოვთან და სხ.).

ამხ. ორჯონიკიძის წინადადებაზე ზინოვიევმა თავის პირველ სიტყვაში არ მოგვცა ნათელი და პირდაპირი პასუხი და წამოაყენა თავისი კონტრპირობები. კომისიამ, რომელიც რედაქციას უკეთებდა რეზოლიუციას ტროცკისა და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის შესახებ, ოპოზიციას მოსთხოვა სწორი წერილობითი პასუხი: იღებენ თუ არა ისინი ჩვენს პირობებს. კომისიამ ოპოზიციას მოსთხოვა მათი განცხადების ტექსტი, რომელიც ბოლოს და ბოლოს წარდგენილ იქნა კომისიაში. გაზეთებში არ არის დაბეჭდილი ამ განცხადების უკანასკნელი ნაწილი, რომელშიაც ოპოზიცია გაერთიანებულ პლენუმს უდგენდა თავის მოთხოვნილებებს დაეგმო მოსკოვის კომიტეტის აგიტპროპის ბროშურა „ომი და ომის საფრთხე", რომელიღაც წერილი ივანოვო-ვოზნესენსკის გაზეთში და წერილი „ლენინგრადის პრავდა"-ში, შეეწყვიტა პარტიიდან გამორიცხვა და რეპრესიები ოპოზიციონერების მიმართ, დაებრუნებია პარტიაში გამორიცხულები და უზრუნველეყო ყრილობის ისეთი მომზადება, რომელიც ორი თვის განმავლობაში მისცემდა თეზისებისა და კონტრთეზისების გამოქვეყნებისა და ყრილობის წინ დისკუსიის დაწყების შესაძლებლობას და სხ.

ცეკას პლენუმმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ პარტიის გაერთიანებული პლენუმის სახით შეუძლია დაუსვას პირობები ოპოზიციას, მაგრამ ცეკას არც ერთი წევრი, თუნდაც „ტერმიდორიანელი" (სიცილი) არ მოითმენს, რომ ოპოზიციამ წამოაყენოს თავისი პირობები. გსურთ—იმუშავეთ, არ გსურთ—ნუ იმუშავებთ; ჩვენ არ შეგვიძლია დავდგეთ ოპოზიციასთან შეთანხმებისა და კოალიციის თვალსაზრისზე. მაშინ ოპოზიციამ გვიპასუხა, რომ იგი გვიდგენს არა პირობებს, არამედ სურვილებს (სიცილი), რომელნიც სურს გამოაქვეყნოს პრესაში და რომელნიც განცხადებასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთელს.

თვით პლენუმზე დასმულ კითხვაზე: თანახმა არის თუ არა ოპოზიცია „სურვილების" მესამე ფურცელი გამოჰყოს თავისი დეკლარაციის დანარჩენ ნაწილისაგან, დაურთოს ეს ფურცელი სტენოგრამას და გადასცეს განსახილველად პოლიტბიუროს ან ცენტრ. საკონტრ. კომისიას, მან უარყოფითი პასუხი გასცა. მაშინ პლენუმმა დაადგინა მიიღოს ცნობად ოპოზიციის განცხადება და პრესაში გამოაქვეყნოს მხოლოდ ის, რაც წაიკითხეთ „პრავდა"-ში. მე ამ შემთხვევებს იმიტომ გიამბობთ, რომ გიჩვენოთ, თუ როგორ დათმობებზე მიდიოდა პლენუმი ამ არაჩვეულებრივად მწვავე წუთებში, რათა უზრუნველეყო პარტიის მთლიანობა.

უკანასკნელი პლენუმის მთელი მუშაობა პარტიას და მუშათა კლასს ნათლად უჩვენებს ოპოზიციის გამთიშავ მოღვაწეობას, რის გამოც უკანასკნელმა პლენუმმა განიხილა აგრეთვე შინაპარტიული ცხოვრების მოვლენები, რომელნიც სრულიად გაუგონარია პარტიის ისტორიაში.

ჩვენ დავთანხმდით მოგვეხსნა დღის წესრიგიდან საკითხი ტროცკის და ზინოვიევის ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ და მიგვეღო მათი განცხადება მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად არაა საკმაო. ოპოზიციის განცხადება ყოველ პუნქტში შეიცავს ისეთ შენიშვნებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ოპოზიციას კვლავ, პირველ შესაძლებლობისთანავე სურს დაესხას თავს პარტიას და ცენტრალურ კომიტეტს.

პარტიამ უდიდესი ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური, თუ როგორ შეასრულებს ოპოზიცია თავის დაპირებებს. ერთხელ პარტია ოკვე იყო მოტყუებული. ეს მეორეჯერ აღარ უნდა დაუშვას პარტიამ და ახალი მოტყუების შემთხვევაში ოპოზიციის მხრით, საჭირო იქნება უფრო გადამჭრელი ზომების მიღება. მაშინ უკვე, მე მგონია, შეუძლებელი იქნება საერთო მუშაობა ოპოზიციასთან ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო მის ერთ ნაწილთან კი—ჩვენი პარტიის რიგებშიაც. (ტაში).

ჩვენ კიდევ ერთხელ ვსცადეთ აშკარად მთელი პარტიისა და ქვეყნის წინაშე ჩაგვეყენებია ოპოზიცია პარტიული ლეგალობის ფარგლებში. თავის განცხადებაში ოპოზიციამ უარყო ბოროტ ცილისწამებათა და მტკიცებათა დიდი ნაწილი, როგორიც მაგალითად, „გადაგვარებისა" და „ტერმიდორიანობის" შესახებ, რომელთა სიმართლე არ შეიძლება სწამდეს არც ერთ ოპოზიციონერს. პარტიის მთლიანობის საკითხის არაჩვეულებრივად დიდი მნიშვნელობის გამო, გაერთიანებულმა პლენუმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ პარტია სრულ შესაძლებლობას აძლევს ოპოზიციონერებს შედგენ ლეგალობის გზაზე და ხელი აიღონ ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ადრე თუ გვიან უფსკრულში გადაჩეხავს ტროცკისა და ზინოვიევს. მათი მოქმედებიდან სჩანს, რომ უარყვეს რა სრულიად უმაგალითო და უსაფუძვლო ბრალდებები პარტიის მიმართ, ისინი სავსებით არ სტოვებენ საზიანო და პარტიის მიერ დაგმობილ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელიც ფრთებს ასხამდა მათ პარტიის ცეკასთან ბრძოლაში. ეს გარემოება პარტიას ავალებს მოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე და ყოველნაირად შეუწყოს ხელი მათ დაშალონ ფრაქციები და უკუაგდონ თავიანთი შეცდომები. ამ მიზნისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა ყველა უჯრედებში და ყველა ორგანიზაციებში ამ ოპოზიციის იდეოლოგიური მხილება, რათა ტროცკიზმმა არ შესცვალოს ლენინის მოძღვრება. (მქუხარე ტაში). მეორე მხრით,—იმ გადაწყვეტილების შესრულება, რომელიც ჩვენ გამოვხატეთ მე-10 პარტიულ ყრილობის დადგენილებიდან ამოღებულ ციტატებში ყოველგვარ ფრაქციული მუშაობის შეწყვეტისა და ყველა ფრაქციული ჯგუფების დაშლის შესახებ.

ყველა, ვინც ამას არ შეასრულებს, გარიცხული უნდა იქნეს პარტიის რიგებიდან".

(მოსკოვის აქტივის კრება ფეხზე ადგომით მქუხარე ოვაციებს უმართავს ამხ. რიკოვს).

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 184. მეორე ნაწილი მივიღეთ დაგვიანებით.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

მოსკოვი—პარიზი—მოსკოვი

მოსკოვი, 17 აგვისტო. სვერდლოვის მოედნიდან 16 აგვისტოს დაიწყო მოტო-გადარბენა მოსკოვი-პარიზი-მოსკოვი. (ადს)

გერმანელი სპორტსმენები მოსკოვში

მოსკოვი, 17 აგვისტო. გერმანიიდან მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის სპორტსმენების კავშირის მძიმე ჯომარდების ნაკრები გუნდი. გუნდი შესდგება 11 მოჭიდავესაგან. რომელთაც მეთაურობს ხაუსტგალტორი. 19 აგვისტოს გერმანელ ჯომარდების გუნდი შეეჯიბრება მოსკოვის ნაკრებ გუნდს ფრანგულ ჭიდაობაში. (ადს)

წითელ მეთაურთა გამოშვება

კიევი, 17 აგვისტო. მოხდა 500 მეთაურის გამოშვება, რომლებმაც დაასრულეს ამხ. კამენევის სახელობის სკოლა.

კურსდამთავრებულთა შორის 136 მუშაა და 356 გლეხი, მათგან 93 პროც. მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში.

საარმიო სასპორტო შეჯიბრი

მოსკოვი, 17 აგვისტო. 14 აგვისტოს მოხდა ყველა არმიების სასპორტო შეჯიბრის საზეიმო გახსნა. შეჯიბრი დაიწყო აღლუმით, რომელიც მიიღო სამხედრო საზღვაო სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. **კამენევმა**. (ადს)

კავშირი იაკუტიასთან

მოსკოვი, 17 აგვისტო. გემმა „კოლიმა"-მ დაასრულა თავისი რეისი ვლადივოსტოკიდან ლენის შესართავამდე, რითაც გადასჭრა იაკუტიასა და ვლადივოსტოკს შორის ზღვით ეკონომიური კავშირის გაბმის უძნელესი ამოცანა. ცურვა გაგრძელდა თვენახევარი.

ექსპედიციაში მონაწილე თვითმფრინავები, რომლებიც გადაფრინდენ ვრანგელის კუნძულებზე, დაბრუნდენ იაკუტსკში, სადაც მათ ენტუზიაზმით შეხვდა მოსახლეობა. (ადს)

ა.-კ. ფედერაციაში

ა ზ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი

უმუშევრობის მოძრაობა

განჯა, 16 აგვისტო. პირველ ივლისისათვის შრომის ბირჟაში ჩაწერილი იყო 3.376 უმუშევარი. ივლისის განმავლობაში აღრიცხვაზე იქნა აყვანილ 848 კაცი. სამუშაოდ გაიგზავნა 569 კაცი. (ადს)

ს ო მ ხ ე თ ი

ნიაღვრების შედეგები

ერევანი, 17 აგვისტო. „არმენტორგის" და კოოპერატივის ყველა საწყობები წყლით დაიფარა. ერევნის ჩრდილოეთით 60 კილომეტრის მანძილზე წყალმა დაანგრია მდ. ზანგას ხიდი.

ერევნიდან დილიჟანში გაემგზავრენ სომხეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ახტიანი და შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ამხ. მელიქ-ოსეპიანი. დილიჟანში პროდუქტების ნაკლებობის გამო სომხეთის სახ. კომ. საბჭომ თბილისიდან გამოითხოვა სურსათ-სანოვაგე. (ადს).

ქარიშხალი ერევანში

ერევანი, 17 აგვისტო. 16 აგვისტოს 18 საათზე ერევანზე გადაიარა ქარიშხალმა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი. ქარიშხალმა მთელ რიგ სახლებს ახადა რკინის სახურავი, ევრ ადგილებში ძირიანად მოთხრილია ხეები. (ად).

ყურძნის დამზადება

ერევანი, 17 აგვისტო. სომხეთის „პლოდოვინსოიუზი" შეუდგა სესხის გაცემას ყურძნის დასამზადებლად. თითეულ ფუთ ყურძენზე გაცემულ იქნება ათ-ათი შაური. გეგმის მიხედვით უნდა დამზადდეს 250.000 ფუთი ყურძენი ნაცვლად 130.000 ფუთისა, რომელიც შარშან იყო დამზადებული. დასამზადებელ ყურძნის საბოლოო ფასი დადგენილ იქნება ეკონომიურ საბჭოს მიერ.

ყურძნის მოსავალი სომხეთში საშუალოა. (ადს)

გლეხთა სანიმუშო სახლების აგება

ბერიუსი, 17 აგვისტო. სოფ. ბაზარ-ჩაიში დაწყებულია 25 სანიმუშო სახლის აგება იი გლეხ-მალაკანებისათვის, რომლებიც სომხეთიდან გაიქცენ დაშნაკელების ბატონობის დროს და ეხლა დაბრუნდენ სამშობლოში. (ადს)

„ორიენტაციის საკითხის შესახებ"

ერევანი, 17 აგვისტო. „ხორურდაინ აიასტანი" მოწინავეში „ორიენტაციის საკითხის შესახებ" სწერს, რომ შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობამ გამოაცოცხლა საბჭოთა კავშირის მტრები საზღვარგარეთ. დაშნაკელები აღფრთოვანებული არიან ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლით და სხვათა შორის აყენებენ საკითხს „სომხეთის ხალხის ორიენტაციის შესახებ". თავიანთ ორგანოში ისინი იმ აზრს ატარებენ, რომ ორიენტაციის საკითხი მათთვის არის „სომხეთის ხალხის არსებობის უზრუნველყოფა, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროსაც", მაგრამ ეს სიყალბეა, სინამდვილეში მათი ორიანტაცია გასაგებია. ისინი დიდებას უძღვნიან იმპერიალისტურ ინგლისს და ფაშისტურ იტალიას, რომელნიც ემზადებიან ოსმალეთის ხრონნულ უმცირესობათა განსათავისუფლებლად". იმ პარტიას, რომელიც ოცნებობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე, შეუძლებელია ჰქონდეს სხვა რამე ორიენტაცია გარდა კონტრრევოლიუციონურ-იმპერიალისტურისა. თუ დაშნაკელები ამას აშკარად არ აცხადებენ, ეს მხოლოდ იმ შიშით, რომ ასეთი აღიარების შემდეგ მათ ზურგს აქცევენ სომხური კოლონიების შრომელი მასები. სომხეთის მუშებმა და გლეხებმა დიდი ხანია გამოარკვიეს თავის ორიენტაცია, როცა თავისი ქვეყნის ბედი დაუკავშირეს საბჭოთა კავშირს, ამ ორიენტაციას თანდათან ითვისებენ აგრეთვე სომხური კოლონიების შრომელი ნაწილიც. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

ბურჟუაზიის „მორალი" და „მართლმსაჯულება" ჰინდენბურგის რესპუბლიკაში

კოლომაკის საქმე, რომელიც დღესაც აღელვებს გერმანიის საზოგადოებრივ აზრს, წარმოადგენს გერმანიაში ამჟამად არსებული „მართლმსაჯულების" საუკეთესო ილუსტრაციას.

საქმის შინაარსი მეტად მარტივია. ბრემენის ნავთსადგურში ცხოვრობდა მეჩექმე კოლომაკის ოჯახი. ცხოვრობდენ საშინელ გაჭირვებაში და რომ თავისი მშიერი ბიუჯეტი შეევსოთ, ზოგჯერ თავის ბინაში ღამის გასათევათ უშვებდენ კერძო პირებს. ერთი ასეთი შემთხვევითი მდგმური აღმოჩნდა ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილი როსკიპი — ქალი. როცა ის დააკავეს იძულებითი სამკურნალოდ, მან პოლიციას განუცხადა, რომ ასეთივე სენით არის დაავადმყოფებული მისი ბინის პატრონის 15 წლის ქალიშვილი ლიზბეტა კოლომაკ.

პოლიციის კომისარს ბევრი არ უფიქრია ამაზე, მან შეიპყრო ლ. კოლომაკ და გაგზავნა საავადყოფოში პოლიციის ექიმი, რომელიც დაეყრდნო კომისარის „დიაგნოზს", სალვარსანის ისეთი დოზებით გაუმასპინძლდა საწყალ ბავშს, რომ ლიზბეტა კოლომაკ მოკვდა „მკურნალობისაგან".

შვილის დაღუპვაზე დედამ უპასუხა იმით, რომ დასწერა წიგნი ლიზბეტას დღიურების საზით, დედის გრძნობამ და მწუხარებამ ძალები შემატეს მეჩექმის ცოლს, წიგნს გამოუჩნდა გამომცემლები და მან იხილა სინათლე.

მაშინ ბრემენის „რჩეული საზოგადოება" აღშფოთდა: ვინ? — ვილაც მეჩექმის დედაკაცი ბედავს ბრალდებების წაყენებას პოლიციისა და ექიმისათვის, რომლებიც იცავდენ ბურჟუაზიული ოჯახების ჯანმრთელობასა და „მორალს?" და ისიც ვისთვის?—ვილაც გოგოსთვის რომელიც ალბათ გარყვნილი იყო?

განა შეიძლებოდა ამის მოთმენა მონარქისტ ჰინდენბურგის რესპუბლიკაში?!

მიღებულ იქნა „შესაფერი ზომები".

ადგილობრივი „საზოგადოების" გავლენიანი წარმომადგენლების და პოლიციის მოთხოვნით გამომცემლებმა ხელი აიღეს წიგნის გავრცელებაზე. მეჩექმე კოლომაკის ცოლი კი პასუხისგებაში მისცეს. გერმანიაში არსებობს პრესის „თავისუფლება" და საბრალო ქალის წინააღმდეგ ვერ აღძრავდენ საქმეს წიგნის გამოქვეყნებისათვის. სამაგიეროთ მის წინააღმდეგ შეთითხნეს უფრო საშიში ბრალდება.

იმავე როსკიპმა — ქალმა, რომელმაც დაასენა ლიზბეტა კოლომაკ, „აჩვენა" გამომძიებელს, რომ ლიზბეტას დედა ეხმარებოდა მას „კლიენტების" მოძებნაში.

შეადგინეს საბრალმდებლო აქტი და მეჩექმეს ცოლი დაავჯინეს საბრალმდებლო სკამზე. სასამართლოში როსკიპი დედაკაცი სრულიად დაიბნა ჩვენებაში. აშკარა იყო, რომ მისი „ჩვენება" წინასწარ იყო ნაკარნახევი პოლიციის მიერ, მაგრამ საჭირო იყო „მორალის" დაცვა და სასამართლომ ბრალდება „დამტკიცებულად" სცნო — ლიზბეტას დედას მიუსაჯეს 8 თვის ციხე „მაჭანკლობისათვის".

განაჩენმა აღაშფოთა გერმანიის საზოგადოებრივობის მოწინავე წრეები. პრესის ნაწილი განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ცრუ-მოწმე როსკიპი-ქალი სასამართლოში გამოდიოდა ინიციალებით „გ. ვ.", რომ მისთვის „თავმოყვარეობა" არ შეელახათ. დაღუპულ ლიზბეტა კოლომაკს [illegible] და პროკურორი [illegible] ტალახში სვრიდენ, რაც [illegible]

მაგრამ აღმაშფოთებელია არა მარტო კოლომაკის პროცესი, არამედ მთელი სისტემა გერმანიის „მართლმსაჯულებისა", რომლის ყოველდღიური პრაქტიკის ილუსტრაციას წარმოადგენს დაღუპულ 15 წლის ბავშვს აღშფოთებული დედის სამარცხვინო პროცესი.

გერმანიის რესპუბლიკაში მთლიანად და სავსებით დარჩა ძველი, მონარქისტული იუსტიცია. იქ არსებობს ორი სასამართლო: ერთი მონარქისტებისათვის, შავრაზმელებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც კარგათ არის ჩაცმული და ჯიბე სავსე აქვს; მეორე იმათთვის, ვისაც გერმანიის რევოლიუციამ არაფერი მისცა, ვინც წელში გაუმართავად დღიან-ღამიან მუშაობს, ვინც ებრძვის ჰინდენბურგის რესპუბლიკას.

გერმანელი კომუნისტები ფაქტიურად კანონს გარეშე არიან გამოცხადებული ჰინდენბურგის რესპუბლიკაში, რომლის მთავარი დასაყრდენს მენშევიკები წარმოადგენენ. მცირე მიზეზიც კი საკმაოა, რომ კომუნისტმა ციხეში ამოჰყოს თავი „არსებული წესწყობილების დამხობის ცდისათვის". მონარქისტ - კალმოსნებისათვის, რომლებიც ყოველდღე ტალახში სვრიან ჰინდენბურგის რესპუბლიკას და მის მოღვაწეებს, სასჯელის სახით დაწესებულია ჯარიმა... ათი კრონა (4 მანეთი).

მას შემდეგ, რაც მენშ.-ბის მორიგი მოღალატეობის წყალობით, რესპუბლიკანური წყობილების საფუძვლების „დაცვა" გერმანიაში მიენდო ვილჰელმის ყურმოჭრილ მსახურს შავრაზმელ გენერალ ჰინდენბურგს, ყველა მონარქისტული წრეები წელში გაიმართენ. ბურჟუაზიული კლასობრივი იუსტიცია. რომელიც მანამდე ლელვის ფურცლით ფარავდა თავის სიტიტვლეს, ამის შემდეგ სრულიად მოიხსნა ნიღაბი, განვითარდა და გაიფურჩქნა.

იგი კვლავ, ისე როგორც ვილჰელმის სანეტარო ბატონობის დროს, დადგა ბურჟუაზიული ზნეობისა და ბატონობის სადარაჯოზე.

მონარქისტი იუნიგენსი, რომელიც დაიჭირეს ათასგვარ ბოროტმოქმედებაში, გამართლებულია, რადგან მისი დასჯა სახელს გაუტეხდა მონარქისტულ წრეებს, მეჩექმე კოლომაკის ცოლს კი 8 თვით ციხეში ამოაყოფინეს თავი.

მკვლელი — ხუცესი შნორი არც კი მჯდარა საბრალმდებლო სკამზე (საქმე მოსპეს გამოძიების პროცესში, რადგამ სასამართლომ არ მოისურვა სახელის გატეხა ეკლესიისათვის და როცა ჟურნალისტებმა მოაგონეს საზოგადოებას, რომ მისმა კოლეგამ ხუცესმა ბერლახმა ბავარიაში სიკვდილით დასჯევინა 12 მუშა, რომლებსაც მისთვის არაფერი დაუშავებიათ, ეს ჟურნალისტები პასუხისგებაში მისცეს „ეკლესიის ავტორიტეტის შელახვისათვის".

ბანკის დირექტორი, რომელიც თავს ირთობდა მცირე - წლოვანთა გახრწნით, თავისუფლად სეირნობს, ზეინკალი კი, რომელმაც უბიძგა მემამულის ცოლს, რადგან უკანასკნელმა სილა გააწნა მას, პასუხისგებაში მისცეს „გაუპატიურებას ცდისათვის".

ასეთია ბურჟუაზიული მართლმსაჯულება.

ვ. ზ.

აღმოსავლეთში

ინდოეთის კასტის გარეშე გლეხების მდგომარეობა

ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ზრდა რევოლიუციონურ გავლენას ახდენს ინდოეთის მონურ მდგომარეობაში მყოფ გლეხობაზე. ფაბრიკა - ქარხნები, სადაც ყოველი მხრიდან თავს იყრის უმიწწყლო გლეხობა, სასიკვდილო ლახვარს სცემენ კასტურ. (კასტას უწოდებენ პრივილეგიურ უმთავრეს შემთხვევებში ერთმანეთთან წარმოშობით დაკავშირებულ ჯგუფს. კასტებათ დაყოფა — ფეოდალური წყობილების დამახასიათებელი თვისებაა. მოგვები, მეომრები, ვაჭრები — ცალკე კასტას შეადგენენ) სისტემას, რომელიც გლეხობის ყვლეფის უსაშინელეს ფორმას წარმოადგენს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება გლეხობა რომელიც ეკუთვნის „უმდაბლეს" — კასტის გარეშე მყოფ რასას—„პანჩამს".

„პანჩამები" ცხოვრობენ ინდოეთის სამხრეთ-პროვინციებში, მათი რიცხვი აღწევს 60 მილიონამდე. ინდოეთის ფეოდალებმა, რომლებმაც, შექმნეს კასტების საუკუნოებრივი ტრადიცია, არა მარტო დაიმონეს სამხრეთ- პროვინციების მრავალმილიონიანი გლეხობა, არამედ აგრეთვე მიიყვანა ის უსიტყვოთ და განკიცხული მონების მდგომარეობამდი, რომელთა შეხებაც კი სამარცხვინოთ ითვლება კასტების წევრებისათვის.

ამ გლეხობის სოციალური მდგომარეობა დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგან მათ შეინარჩუნეს დამონებული ადამიანის პირველყოფილი ფორმები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „პანჩამის" შეხებაც კი კასტის წევრის „სიწმინდის" „შერყვნათ" ითვლება. თუ საჭმელს „პანჩამის" ლანდი დაეცა, ის უკვე აღარ იჭმევა. „პანჩამებს" აკრძალული აქვთ სიარული ბრამინების სოფლებში, რადგან მათ „შერყვნა მოაქვთ". ამიტომ კასტის გარეშე გლეხებმა ამ სოფლებს შორი გზიდან უნდა შემოუარონ. როდესაც გვალვების დროს „პანჩამების" ჭები ამოშრება, მათ არა აქვთ უფლება ისარგებლონ მეზობელ სოფლების ჭებით და წყურვილით მომაკვდავებმა უნდა უცადონ, სანამ მათ არ შეიბრალებენ და წყალს არ მისცემენ. „პანჩამის" მკვდრებიც კი საშიშათ ითვლებიან კასტების „სიწმინდისათვის" და მათ მარხავენ სადმე გზის პირას, რადგან მკვდარ „პანჩამის" გადატანა კასტებათ დაყოფილ სოფლების მინდვრებზე სასტიკად აკრძალულია.

„პანჩამის" მონურ სოციალისტურ მდგომარეობას ღრმა ეკონომიური ფესვები აქვს. მცირერიცხოვან მთიელ ტომების გამოკლებით, კასტის გარეშე გლეხები მოკლებული არიან მიწის საკუთრებას და წარმოადგენენ მემამულეების მონას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ექსპლოატაციის ყველაზე უსაშინელეს ფორმას წარმოადგენს „ზემინდარი" — მემამულეების და კულაკების მიწების აღება იჯარით. ვინაიდან „პანჩამები" სოციალურად „განკიცხულებად" ითვლებიან, მათ არა აქვთ უფლება გადაიარონ მიწის ერთი ნაჭერიდან მეორეზე და ამრიგად ისინი სიკვდილამდი მიმაგრებული არიან იმ მიწის ნაჭერზე, რომელიც მათ იჯარით აიღეს, თუგინდ ეს მიწის ნაჭერი გამოფიტული იყოს, მოსავალს არ იძლეოდეს და მისი საიჯარო ქირა მოიჯარადრე „პანჩამის" შესაძლებლობას აღემატებოდეს.

მაგრამ უკანასკნელი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეარყიეს არსებული მონობის ინსტიტუტი. ოქტომბრის რევოლიუციის ქარმა, რომელმაც გაალეიძა ინდოეთის მრავალათეულ მილიონიანი გლეხობა ,მიაღწია კასტების გარეშე გლეხობამდისაც. ჩუმი მღელვარება შესცვალა 1919 წლის დიდმა აჯანყებამ, რომელიც სისხლის ზღვაში ჩააქრეს. უკანასკნელ ხანებში, როგორც ინდოეთის გაზეთები იუწყებიან, გლეხთა მოძრაობა კვლავ ფართოვდება.

კასტის გარეშე გლეხობა ჯერ-ჯერობით მოითხოვს, რომ მათზე გავრცელდეს ის უმნიშვნელო მიწის რეფორმა, რომელიც მიღწეულ იქნა 1920 წ. 30.000 კაცის სიცოცხლის ფასად. სამხრეთელი მემამულეები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ამ რეფორმის განხორციელებას, უფრო მეტი, მემამულეები ცდილობენ შეზღუდონ გლეხობის ემიგრაცია, რომ ამით შეინარჩუნონ იაფი მუშა-ხელი.

მაგრამ კასტის გარეშე გლეხობის აგრარული მოძრაობა ისეთ საშიშ ფორმებს იღებს, რომ მას ყურადღება მიაქცია ინგლისის ხელისუფლებამაც,რომელიც ყოველთვის ფეოდალებს უწყობს ხელს.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ, ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ საჭიროა ზოგიერთი დათმობა კასტის გარეშე გლეხობისათვის.რადგან „ზოგიერთ ელემენტებს ხელიდან ეცლება მოძრაობის ხელმძღვანელობაო".

ჯ. რ.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1927 წ. ივნისში

(საქ. სახელ. საგეგმო კომისიის ეკონ.-სტატ. სექციის მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობისათვის აღმ. საქართველოში ცვალებადი ამინდია; ივნისის პირველი ნახევარის მშრალი ამინდის შემდეგ, რომელმაც უარყოფით იმოქმედა ნათესებზე, მეორე ნახევარში წვიმები იწყება და ნათესების მდგომარეობას გაუმჯობესება ემჩნევა. დას. საქართველოში ამინდი საერთოდ ხელშემწყობა სოფლის მეურნეობისათვის.

აღსანიშნავია ივნისის განმავლობაში მოსული სეტყვა (ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, შორაპნის მაზრებში და სამხრეთ - ოსეთში) და ნიაღვრები (დუშეთის მაზრაში, აფხაზეთში), მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წინასწარი ცნობით, სეტყვისაგან მიყენებული ზარალი მარტო თელავის მაზრაში 1,6 მილ. მან. უდრის; ზოგიერთ თემში დაზარალებული ნათესების არე 25 პროც. უდრის, ხოლო ვენახის 40 პროც.

პურეულის ნათესების მდგომარეობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნათ დაბალი ნიშნით ხასიათდება, იმ დროს, როდესაც ა.-წ. წინა თვესთან შედარებით შემოდგომის ნათესების მდგომარეობა უარესდება, ხოლო გაზაფხულის — უმჯობესდება. ცალ-ცალკე პურეულის მდგომარეობა შემდეგი ნიშნით ხასიათდება: ხორბალი შემოდგომის — 2,7 ნიშნით და გაზაფხულის 2,8-ით, ქერი შემოდგომის 2,8 ნიშ. და გაზაფხულის 2,9, სიმინდი — 3,3 ნიშ.

ბამბის ნათესების მდგომარეობა 3,2 ნიშნით ხასიათდება, იგი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წინა თვეში, ან შარშან ივლისის დამდეგს. ბამბის მთესავთათვის ავანსების გაცემა კვლავ გრძელდება (1 ივლისისათვის სულ გაცემულია 1219 ათ. მან.): მათთვის შემოტანილი ხორბლის ხარისხი კვლავ დაუკმაყოფილებელია.

თამბაქოს ნათესების მდგომარეობა თუმცა გაუმჯობესდა, მაგრამ შარშანდელზე მაინც დაბალი ნიშანი გვაქვს (2,7 წინააღმდეგ 3 ნიშნის).

ვენახების მდგომარეობა უცვლელია — საშუალო, შარშანდელთან შედარებით კი 0,5 ნიშნით ნაკლები. შაბიამანის ნაკლებობა, რაიც მაისში აღვნიშნეთ, კვლავ ძალაში რჩება.

ხილის ბაღების 2,7 ნიშანი გვაქვს; მათი მდგომარეობა საკმაოდ დაბალია შარშანდელთან შედარებით (გვქონდა 3,6 ნიშანი).

ციტრუსების მდგომარეობა უცვლელია, 3 ნიშნით ხასიათდება.

ჩაის პლანტაციებსაც საშუალო მდგომარეობა ახასიათებს; ივნისის პირველ რიცხვებში დაწყებული ჩაის ფოთლის მეორე კრეფა ნორმალურათ მიმდინარეობს. საანგარიშო თვეში სა[illegible] საზოგ. დოება „საქართველოს ჩაი"-ს ქარხნებში შემოსული არის საკუთარ და კერძო მეურნეობათაგან 1907 ათ. კილოგრამი ჩაის ფოთოლი, — 18,8 პროც. მეტი, ვიდრე წ. წ. ივნისში.

აბრეშუმის პარკის მოსავლის შემცირების [illegible], რომელიც მაისში აღვნიშნეთ— „საქართველოს აბრეშუმი" ადასტურებს, რასაც იგი უამინდობით ხსნის. ივნისის მეორე ნახევარში დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება, ჯერ - ჯერობით სულ შეძენილია 26 ათ. ფუთი, შარშან ამ დროს კი 66,5 ათ. ფუთი პარკი იყო შესყიდული.

საქონლის ეპიზოოტია შენელებულია; მიწად - მოქმედების სახ. კომ. ცნობებით მისგან სულ დაიღუპა 213 სული სხვილფეხა საქონელი და 119 სული წვრილფეხა საქონელი.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

ჩვენში მომქმედ მსხვილ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ დამზადებული სას.-სამ. ნაწარმოების საერთო ღირებულება (1,7 მილ. მან.) წინა თვის დონეზე რჩება.

დამზადების მთავარი საგნები არის აბრეშუმის პარკი, მატყლი და ჩაის ფოთოლი.

აბრეშუმის პარკი, როგორც აღვნიშნეთ, 26,3 ათ. ფ. რაოდენობით არის დამზადებული, რაც წ. წ. ივნისის დამზადების 39,5 პროც. შეადგენს და დამზადების გეგმის 17,5 პროც-ს. აბრეშუმის პარკის შესყიდვის მთავარ სეზონს თუმცა ივლისი წარმოადგენს და დამზადების გეგმის შესრულებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ წრეულს აბრეშუმის პარკის მოსავალი ნაკლები უნდა იყვეს, უნდა ვიფიქროთ, რომ დამზადების წლიური გეგმა ვერ შესრულდება. **ჩაის ფოთლის** დამზადება, /როგორც აღვნიშნეთ, წარმატებით მიმდინარეობს, — წლიური გეგმა 50,8 პროც. არის შესრულებული. **მატყლი** დამზადებულია 14,7 ათ. ფ. რაოდენობით, საკმაოდ მეტი, ვიდრე მაისში, ან წ. წ. ივნისში. მატყლი ოქტომბრიდან სულ დამზადებულია 79,1 ათ. ფ. მატყლი, ე. ი. 75,3 პროც. წლიური გეგმის. **თამბაქოს დამზადების** სეზონი დამთავრებულია. დამზადების გეგმა თუმცა საერთოდ წარმატებით შესრულდა, მაგრამ ლაგოდეხის თამბაქოს გასაღების საკითხი (55 ათ. ფ.) ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა; შინა - ვაჭრობის კომისარიატის ვარაუდით, გლეხობის ხელში უნდა რჩებოდეს სულ 10—15 ათ. ფ. გაუსაღებელი თამბაქო. **დაფნის ფოთლის** დამზადების გეგმა თუმცა გადაჭარბებით შესრულდა (+ 3,1 პროც.), მაგრამ მიწოდება კვლავ საკმაოდ მაღალია მცირე მოთხოვნილების პირობებში. მოთხოვნილების სიმცირე ნაწილობრივ გადაზიდვის ფრახტის სიმაღლითაც უნდა აიხსნას. **ღვინის ბაზარზე** დეპრესია კვლავ გრძელდება; შემოდგომიდან სულ დამზადებულია 235,7 ათ. ვედრო ღვინო, ანუ 31,9 პროც. დამზადების გეგმის. ღვინის ფასები საკმაოდ შემცირდა, რამაც მოსალოდნელია ხელი შეუწყოს გასაღების გამოცოცხლებას. **სპირტეულზე** მოთხოვნილება გაძლიერდა, ფასები მატულობს (31 კაპეიკიდან 38 კაპ. გრადუსი). ერთი სამად იზრდება. **წვრილი ტყავის** დამზადება, ხოლო სეზონთან დაკავშირებით — ორი მესამედით ეცემა მსხვილი ტყავის შესყიდვა. **ჯაგარის და ბეწვეულის** დამზადება გრძელდება; ჯაგარის დამზადების გეგმა ჯერ-ჯერობით 14 პროც. მეტათ შესრულდა, ხოლო ბეწვეულის 24,7 პროც ით ნაკლებ.

მრეწველობა

მრეწველობის შვიდ მთავარ დარგში (შავიქვა, ქვანახშირი, თამბაქო, ტყავი და ფეხსაცმელი, საპონი, სპირტი და ხე-ტყის ქარხნები), მუშათა რიცხვის 15,7 პროც. ზრდის პირობებში, გაცდენათა მნიშვნელოვანი გაძლიერების გამო, ნამუშევარ კაც - დღეთა რიცხვი მცირე მატებას იძლევა (+ 1,7 პროც.). რაც შეეხება პროდუქციას — იგიც უმნიშვნელოდ იზრდება (+ 0,7 პროც.) — გამომუშავების 1 პროც-ით შემცირების პირობებში.

წ. წ. ივნისთან შედარებით მუშა - ხელი 20,5 პროც-ით იზრდება, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი 11,6 პროც-ით, პროდუქცია 1913 წ. ფასებში 13,4 პროც-ით მატულობს და თანამედროვე ფასებში კი მხოლოდ 0,2 პროც-ით. პროდუქციის თანამედროვე ფასებში ასეთი მცირეოდენი ზრდა უმთავრესად ფასების დაკლებით უნდა აიხსნას. ერთ კაც-დღის გამომუშავება (1913 წ. ფასებში) 1,7 პროც. მატულობს. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ მაჩვენებელთა ზრდა წინა თვესთან შედარებით შავიქვის მრეწველობის ხარჯზე ხდება და თუ მხოლოდ ს. მ. უ. ს. წარმოებათ ავიღებთ, აქ წარმოების მნიშვნელოვანი შეკუმშვა გვაქვს, რაც უმთავრესად სეზონურ პირობებს უნდა დაუკავშირდეს. 1926 წ. ივნისთან შედარებით პროდუქციის ზრდა (1913 წ. ფასებში) 7,3 პროც. უდრის და გამოწვეულია მხოლოდ გამომუშავების გადიდებით. პროდუქციის რეალიზაცია წინა თვის მიმართ 5 პროც. იზრდება, ხოლო 1927 წ. ივნისთან შედარებით 1,7 პროც-ით ნაკლებია.

შავიქვის მრეწველობაში ახალი მიღწევები გვაქვს და საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები წ. წ. ივნისთან შედარებით. მიმდინარე წელს ივნისი პირველი თვე არის, როდესაც შავიქვის მრეწველობა შარშანდელ შესაფერის თვეებს სჭარბობს; შარშანდელთან შედარებით მუშა-ხელი 36,9 პროც-ით მატულობს, მადნის ამოღება + 40,2 პროც. და მისი ექსპორტი-კი საკმაოდ მაღალ დონეზე სდგას — 72 ათ. ტონს აღემატება.

ქვანახშირის მრეწველობას შემცირების ტენდენცია ახასიათებს, თუმცა გასული წლის ივნისთან შედარებით მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს — მუშა-ხელი 33,3 პროც. იზრდება ქვანახშირის ამოღება 15 პროც-ით და რეალიზაცია 13 პროც-ით; მხოლოდ შრომის ნაყოფიერება იძლევა შემცირებას, რაც დაკავშირებულია გასული წლის ხანძრით გამოწვეულ დაბრკოლებებთან და კარიერაზე მუშაობის გართულებასთან. ამის გამო პროფკავშირების მიერ დასმულია საკითხი გამომუშავების ნორმის შემცირების შესახებ.

თამბაქოს მრეწველობაში საგრძნობი შეკუმშვა გვაქვს; მუშათა რიცხვი თუმცა ნაკლებ მცირდება, მაგრამ გაცდენათა გაძლიერების გამო, (ერთი ქარხნის მუშაობის შე[illegible] დაკავშირებით) მიუხედავათ შრომის ნაყოფიერების ზრდისა (+ 4 პროც. შრომის ერთეულში), საერთო პროდუქცია 23,5 პროც-ით ეცემა (შრომის ერთეული) წინა თვესთან შედარებით. რაც შეეხება რეალიზაციას, თუმცა იგი საერთოდ წინა თვის დონეზე რჩება, მაგრამ საქართველოს გარეთ კვლავ კლებულობს. შარშანდელ ივნისთან შედარებით, გამომუშავების ზრდის გამო, თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია ნატურალურ ერთეულებში მატებას იძლევა (თანამედროვე ფასებით-კი შემცირება გვაქვს), მუშათა რიცხვის და გასაღების შემცირების პირობებში. თამბაქოს ნაწარმოების გასაღების კრიზისის დაძლევის მიზნით—ტრესტის მიერ მოწესრიგებულია ურთიერთობა კოოპერაციასთან და თამბაქოს მოვაჭრე არტელთან, გამომუშავებულია მასიური მოხმარების ნაწარმი და მოწყობილია ვოიაჟორთა აპარატი.

ტყავის მრეწველობაში შარშანდელ ივნისთან შედარებით, გამომუშავების დიდი ზრდის გამო (+ 81,3 პროც.). ჩაბმულ მუშა - ხელის შემცირების პირობებში, პროდუქცია 19,4 პროც. იზრდება (მსხვილ ტყავზე გადაყვანით), ხოლო უფრო ძლიერ მატულობს მისი რეალიზაცია (+ 35,1 პროც.).

საპნის წარმოებაში პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს (40,7 პროც.), შეჩერებულ ქარხნის ამუშავების და გამომუშავების გაძლიერების გამო, რეალიზაციის მცირედი მატების პირობებში, რაც ძველ ნაწარმების მარაგის სიმცირით უნდა აიხსნას. შარშანდელ ივნისთან შედარებით პროდუქცია 6,8 პროც-ით მატულობს გამომუშავების გაძლიერების გამო, იმ დროს, როდესაც მუშა - ხელი 17 პროც-ით შემცირდა.

შ რ ო მ ა

თბილისში **უმუშევართა რიცხვი** სტაბილურია მატების ტენდენციით; პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვი კვლავ კლებულობს, ხოლო არა პროფკავშირთა წევრ უმუშევართა რიცხვი 2,7 პროც-ით იზრდება. თუ არა საამშენებლო სეზონის განვითარება, სოფლად მინდვრის სამუშაოთა ზრდა და შვებულებებში წასულ მუშაკთა ნაწილობრივ უმუშევართა ცვლით შეცვლა, საანგარიშო თვეს უმუშევრობის ახალი ზრდა უნდა მოეცა. ამით უნდა იქნას ახსნილი, რომ თბილისის საშუამავლო ბიუროში უმუშევართა ჩაწერა მხოლოდ 2,9 პროც-ით მატულობს და მათი სამუშაოზე გაგზავნა-კი 33,4 პროც-ით იზრდება.

რაც შეეხება მუშების თვიურ ხელფასს—მაისთან შედარებით ნომინალით იგი 2,7 პროც-ით იზრდება, ხოლო რეალით, საბიუჯეტო შენაწყობის გაიაფების გამო, უფრო მეტად მატულობს + 3,9 პროც. მუშის ნომინალური ხელფასის მატება — დღიური ხელფასის ზრდით არის გამოწვეული (+ 3,7 პროც.) წინააღმდეგ ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის 4,2 პროც-ით შემცირების.

ტვირთ - ბრუნვა

რკ.-გზების ტვირთ-ბრუნვა შემცირებას იძლევა (1 პროც-ით), მიღების დაკლების გამო, წინააღმდეგ ადგილობრივ დატვირთვის 3 პროც-ით გადიდების. შარშანდელი ივნისის მიმართ საერთო ტვირთ - ბრუნვის ზრდა 25,4 პროც-ს უდრის.

საანგარიშო თვეში მაისთან შედარებით დატვირთვის ზრდა თითქმის საერთო ხასიათს ატარებს ყველა მთავარი საქონლის ჯგუფებისათვის და განსაკუთრებით-კი დიდ მატებას გვაძლევს ხე-ტყე (+78,12) პროც. საამშენებლო სეზონთან დაკავშირებით, შეშა (+ 24,1 პროც.). ზამთრის მარაგის დაგროვებასთან დაკავშირებით; ქვანახშირი (+ 20,4 პროც.) მისი ამოღების გაძლიერების გამო.

ნავთსადგურების ტვირთ - ბრუნვას, წინა თვეში აღნიშნული ზრდის შემდეგ, შემცირება ახასიათებს საზღვარგარეთელ ნაოსნობის შეკუმშვის გამო, რაც ნავთეულის და შავიქვის ექსპორტის შემცირებით აიხსნება, წინააღმდეგ კაბოტაჟური ნაოსნობის მნიშვნელოვანი ზრდისა (+ 54,3 პროც.). შარშანდელ ივნისთან შედარებით აქ მნიშვნელოვან ზრდასთან გვაქვს საქმე; გაგზავნა 29,2 პროც-ით მატულობს, მიღება — 36,7 პროც., ხოლო მთელი ტვირთბრუნვა 29,7 პროც-ით.

ალებ - მიცემობა

ჩვენი საგარეო ვაჭრობა შემცირებას იძლევა. როგორც გატანაში (— 6,5 პროც.), ისე შემოტანაში (— 7,3 პროც.); საერთო ბრუნვა თანამედროვე შეფასებაში 10,8 მილ. მან. უდრის; უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4,4 მილ. მან. შეადგენს. **მთავარ ხაიმპორტო საგნებში** შემცირებას იძლევა — შაქარი, ნავთეული და მანუფაქტური საქონელი, იზრდება ფართლეულის და საამშენებლო მასალის იმპორტი, ხოლო სტაბილურია ფქვილეულის მიღება. ექსპორტი, გარდა ღვინის. რომლის გაზიდვა 9,8 პროც. იზრდება, საერთო შემცირებას გვიჩვენებს.

გეგმიანი შემოტანის შემცირებასთან ერთად გეგმა 10,3 პროც-ით ნაკლებ სრულდება, რაც უნდა დაუკმაყოფილებლად ჩაითვალოს. თოთხმეტი საგნიდან რვა საგნის შემოტანის გეგმა არ შესრულდა და მათ შორის — ქსოვილის და ლითონის, ე. ი. ისეთი საგნების, რომელზედაც ნაკლებობაა შემჩნეული.

საბირჟო ვაჭრობას, წინა თვეებში აღნიშნული შემცირების ნაცვლად მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებს (+ 21 პროც.), რაც გამოწვეულია სამრეწველო საგნებით ვაჭრობის გაძლიერებით (+ 39,3 პროც.) წინააღმდეგ სას.-სამ. საგნებით ვაჭრობის შემცირებისა (— 16,2 პრ.). როგორც ყიდვაში, ისე გაყიდვაში — კოოპერაციის და კერძო კლიენტურის მონაწილეობის ზრდა ხდება სახელმწიფო ორგანოთა როლის შემცირების ხარჯზე. შარშანდელ ივნისთან შედარებით საბირჟო ვაჭრობის ბრუნვა კვლავ დაბალ დონეზე რჩება. რაც შეეხება **სახელმწიფო ორგანიზაციათა ბითუმ** ვაჭრობას, აქაც ზრდა გვაქვს (+ 2,9 პროც.) უმთავრესად ს. მ. უ. ს. ტრესტების ვაჭრობის გაძლიერების ზეგავლენით (+ 7 პროც.). **კოოპერაციის ხაზზე** წინა თვეებში აღნიშნული შეკუმშვა — გამოცოცხლებით იცვლება, რაც საერთო ხასიათს ატარებს როგორც ცენტრში (ცეკავშირი), ისე პერიფერიაში — ქალაქად თუ სოფლად. ვაჭრობის მომავალ გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სავაჭრო ქსელის სამზადისი — საქონლის შესყიდვის მხრივ, რაც თუმცა საკმაოდ მაღალ პროც-ში იხატება (სოფლად 12,2 და ქალაქად 14), მაგრამ საქონლის მარაგი მაინც კლებულობს. ამავე დროს აღსანიშნავია ცენტ. სავაჭრო ორგანიზაციათა საქონლის მარაგის მნიშვნელოვანი შეკუმშვა (ქსოვილთა სინდიკატის — 40,6 პროც., შაქრის ტრესტის — 12,7 პროც., ქსოვილის ვაჭრობის — 16 პროც. და სხვა), რაც მომავლისათვის მიწოდება - მოთხოვნის შორის გაცილებით გაღრმავების საშიშროებას წარმოადგენს. ვაჭრობის ანგარიშის გასწორების პირობებს მნიშვნელოვანი გაუარესება ახასიათებს (აქ გვაქვს ზრდა ნაღდზე ვაჭრობის + 14 პროც. და შემცირება — სესხზე ვაჭრობის —6 პროც.); რასაც ადგილი აქვს უმთავრესად ქსოვილზე და ლითონზე, ე. ი. იმ საგნებზე, რომელზედაც ნაკლებობაა ჩვენს ბაზარზე.

საანგარიშო თვის სავაჭრო კონიუნქტურის გამოცოცხლება სეზონური ხასიათის არის და დაკავშირებულია, როგორც საამშენებლო პერიოდთან, ისე აბრეშუმის პარკის რეალიზაციასთან და ბამბის მთესავთათვის ავანსების დარიგებასთან, მატყლის დამზადების ნორმალური მსვლელობის და სამუშაოს ხელფასის ზრდის პირობებში.

ძველებურად დაჭიმული მდგომარეობაა პურის ბაზარზე; შეზღუდულია მისი გაცემა კერძო ვაჭრებზე და პროვინციაზე; ძველებურათ ნაკლებობაა ბრინჯზე, მზესუმზირას ზეთზე; ხორცეულის და ჩაის ბაზრის მომარაგება ძლიერდება; ზოგიერთ ქსოვილ'ზე კვლავ დიდი ნაკლებობაა, მოთხოვნილება-კი ძლიერი; ლითონზე ძლიერი მოთხოვნილება კვლავ გრძელდება მიწოდების სიმცირის პირობებში (სახურავ თუნუქზე, რკინის კოჭებზე, ხარისხოვან რკინაზე, ფერად ლითონზე); სიმცირეა რუსულ ხრომზე და საზღვარგარეთულ ტყავზე.

საქონლის ფასები და ინდექსები

საქართველოს ქალაქებში კერძო ბაზარზე, როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასების საერთო დონე ახალ შემცირებას იძლევა; საბითუმო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 2,2 პროც. კლებულობს, ხოლო საცალო ფასების ინდექსი 1,3 პროც-ით. საქონლის საერთო ფასების დონის შემცირება სას.-სამ. საგნების ფასების ახალი დაკლებით ხდება, იმ დროს, როდესაც სამრეწველო საგნების ფასების სუბ-ინდექსი სტაბილურია. შარშანდელ ივნისთან შედარებით საქონლის ფასების საერთო დონის დაკლება ქალაქად საცალო ფასებისათვის 3,4 პროც. უდრის, ხოლო საბითუმო ფასებისათვის — 3,9 პროც. კოოპერატიულ ფასების ინდექსი უცვლელია, ხოლო თბილისში 0,6 პრო. იზრდება სას.-სამ. ფასების ზრდის ზეგავლენით.

სეზონურ პირობებთან დაკავშირებით პურეულის ფასების მატება კვლავ გრძელდება; განსაკუთრებით ძლიერ იზრდება სიმინდის ფასი, რომელიც სოფლად 17 პროც. მატულობს, ხოლო ქალაქად 3,8 პროც-ით. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სახურავი თუნუქის და მზესუმზირას ზეთის ფასების მატება სოფლად (14,6 და 3,8 პროც. სათანადოთ), რაც დაკავშირებულია ბაზარზე შემჩნეულ მათ ნაკლებობასთან. დანარჩენი საგნების ფასები საერთოდ სტაბილურია შემცირების ტენდენციით.

კრედიტი

თექვსმეტ უმთავრეს საკრედიტო დაწესებულებათა მაჩვენებლებთაგან — სესხი, სალარო და ბალანსი მატებას იძლევა, ხოლო ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების ნაშთის შემცირებას. შარშანდელი ივნისთან შედარებით სესხი 44,5 პროც-ით მატულობს, ბალანსი 35,5 პრ., ანაბართა ნაშთი 7,5 პროც. და სალარო 1,3 პროც.

სესხის მატება თუმცა საერთოა, მაგრამ იგი უფრო ინტენსიურია საკავშირო და ფედერატიულ კლიენტურისათვის, ვიდრე საქართველოს და ამ.-კავ. სხვა რესპუბლიკებისათვის. საქართველოს კლიენტურიდან სესხი ყველაზე მეტად საკრედიტო დაწესებულებათ გაუდიდდათ (+ 31 პროც.) და შემდეგ-კი მრეწველობას და სოფლის მეურნეობას. კერძო კლიენტურას სესხი კვლავ უმცირდება. ანაბართა ნაშთის ყველაზე დიდ მატებას კოოპერაცია იძლევა.

ფინანსები

საქართველოში მომქმედ ფინსახკომის სალაროებში შემოსულია 3,9 მილ. მან., ხოლო გაცემულია 3,4 მილ. მან.. შემოსავალი 81,6 პროც-ით არის გაზრდილი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარკების აკრეფვის გაძლიერების, აგრეთვე სახელმწიფო ქონებიდან და ვაჭრობა-მრეწველობიდან შემოსული თანხების მნიშვნელოვანი ზრდის გამო. რაც შეეხება გასავალს —იგი 14,8 პროც. მცირეა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ფონდებით გაცემულ თანხების შემცირების ზეგავლენით.

შარშანდელ ივნისთან შედარებით შემოსავალი 85,3 პროც-ით გაიზარდა, ხოლო გასავალი 33,7 პროც-ით მატულობს.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. **შემოდგომის ნათესების მდგომარეობა** უარესდება, ხოლო გაზაფხულის — უმჯობესდება; შარშანდელთან შედარებით მათი მდგომარეობა საკმაოდ დაბალი ნიშნით ხასიათდება. ბამბის და თამბაქოს ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესებულია წინა თვესთან შედარებით; შარშანდელთან შედარებით-კი ბამბის მდგომარეობა უკეთესია, ხოლო თამბაქოსი— მცირე. ვენახების და ხილის ბაღების მდგომარეობა უარესდება, და შარშანდელთან შედარებით საკმაოდ დაბალი ნიშნით ხასიათდება. ჩაის კრეფა ნორმალურათ მიმდინარეობს. აბრეშუმის პარკის მოსავლის პირი საკმაოდ გაუარესებულია.

2. **სოფლის ნაწარმოების დამზადება** საერთოდ ძველ დონეზე რჩება. მატყლის და მწვანე ჩაის დამზადება ნორმალურათ მიმდინარეობს; აბრეშუმის პარკის შესყიდვა დაწყებულია; შარშანდელთან შედარებით იგი მცირე რაოდენობით არის შესყიდული და მოსავლის შემცირებასთან დაკავშირებით დამზადების გეგმა ვერ უნდა შესრულდეს. გაძლიერდა მოთხოვნილება სპირტეულზე. დანარჩენი ნაწარმოების დამზადება ძველ პირობებში ვითარდება.

3. **მრეწველობის მდგომარეობის** საერთო მაჩვენებლები ახალ ზრდას იძლევიან, შავიქვის მრეწველობის განვითარების გამო, იმ დროს, როდესაც ს. მ. უ. ს. წარმოებათ მნიშვნელოვანი შეკუმშვა ახასიათებს — უმთავრესად სეზონურ პირობებთან დაკავშირებით. შარშანდელ ივნისთან შედარებით ს. მ. უ. ს. წამოწყებებში იზრდება: მუშა-ხელი 2,6 პრო., პროდუქცია 7,3 პროც-ით (1913 წ. ფასებით) და ერთ კაც-დღის გამომუშავება 7,6 პროც-ით, 1,7 პროც-ით მცირდება პროდუქციის რეალიზაცია.

4. თბილისში **უმუშევართა რიცხვი** სტაბილურია მატების ტენდენციით არა პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვის ზრდის გამო. მუშის თვიური ხელფასი 2,7 პროც-ით იზრდება ნომინალით, ხოლო უფრო მეტად რეალით— საბიუჯეტო შენაწყობის გაიაფების გამო.

5. რკ.-გზების **ტვირთ-ბრუნვა** მიღების შემცირების გამო — 1 პროც. კლებულობს წინააღმდეგ ადგილობრივი დატვირთვის გაძლიერების. შემცირებას იძლევა აგრეთვე ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვა ნავთეულის და შავიქვის ექსპორტის შემცირების გამო.

6. **ჩვენი საგარეო ვაჭრობას** შემცირება ახასიათებს, როგორც **იმპორტში**, ისე ექსპორტში; საერთო ბრუნვა 10,8 მილ. მან. უდრის, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4,4 მილ. მან. შეადგენს. **გეგმიანი შემოტანა** კლებულობს; შემოტანის საერთო გეგმა 10,3 პროც-ით ნაკლებ სრულდება. **გეგმის** შეუსრულებლობის განსაკუთრებით მაღალი პროც. გვაქვს ქსოვილისათვის და ლითონისათვის, ე. ი. იმ საგნებისათვის, რომელზედაც დიდი ნაკლებობაა შემჩნეული.

7. **საბირჟო ვაჭრობას** მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებს სამრეწველო საგნებით ვაჭრობის გაძლიერების გამო, წინააღმდეგ სას.-სამეურნეო საგნებით ვაჭრობის შემცირების. ზრდა გვაქვს აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ხაზზე. ყურადღებას იქცევს სავაჭრო ორგანიზაციათა ხელში მყოფი საქონლის მარაგის შემცირება, რომელიც საერთო ხასიათს ატარებს, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში, რაც მიწოდება - მოთხოვნის სწორაწონობის დაზღვევის გაღრმავებაში საშიშროებას იწვევს.

9. ძველებურად **დაჭიმული მდგომარეობაა პურის ბაზარზე**; ნაკლებობაა ბრინჯზე და მზესუმზირას ზეთზე. **ხორცეულის და ჩაის ბაზრის** მომარაგება უმჯობესდება. ზოგიერთ ქსოვილზე და ლითონზე კვლავ დიდი ნაკლებობაა; სიმცირეა რუსულ ხრომზე და საზღვარგარეთულ ტყავზე.

10. **საქონლის ფასების დონე** ქალაქად, როგორც ბითუმი, ისე საცალო ვაჭრობაში კლებას იძლევა სას.-სამ. საგნების ფასების დაკლების გამო. სამრეწველო საგნების ფასები სტაბილურია. კოოპერატიული ვაჭრობის ინდექსი უცვლელია. სეზონურ პირობებთან და მიწოდების სიმცირესთან დაკავშირებით პურეულის ფასები კვლავ იზრდება და განსაკუთრებით ძლიერ მატულობს სიმინდის ფასი, სოფლის ფასების საგრძნობი ზრდა გვაქვს აგრეთვე სახურავ თუნუქზე და მზესუმზირის ზეთზე, რაც გამოწვეულია მათი ნაკლებობით.

11. **კრედიტის დარგში** ყველა მაჩვენებლები იზრდება, გარდა ანაბარის ნაშთის შემცირების. ფინსახკომის სალაროებში შემოსული თანხა საგრძნობ მატულობს პირდაპირი ხარკების და აქციზის აკრეფვის გაძლიერების გამო. რაც შეეხება გასავალს — იგი 14,8 პროც. კლებულობს ადმინისტრატიულ - სამეურნეო და ფონდებით გაცემული თანხების შემცირების ზეგავლენით.

პარტიული ცხოვრება

რა გვიჩვენა საანგარიშო კამპანიამ

მაზრის თემკომებს უჯრედების მუშაობის საანგარიშო კამპანიის შედეგების შესაჯამებლად თბილისის კომიტეტმა დაუგზავნა სქემა-კითხვები.

წარმოდგენილი მასალების ღირსების დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი: იმ კითხვაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტუჯრედი ა. ლ. კ. კ. უჯრედის მუშაობაზე,—პატარა თონეთის უჯრედი (მანგლისის თემი) იძლევა პასუხს: „შეძლების დაგვარად ყოველთვის ხელმძღვანელობს", სართიჭალის თემის 6 უჯრედი და მასთან მთელი რიგი სხვა უჯრედებისა მუშაობის რომელიმე დარგის დასახასიათებლად უპასუხებს: „მომქირნებით": „დამაკმაყოფილებელია", „სუსტია", ან „კარგია".

გასაგებია, რომ ასეთი მასალების მიხედვით შეუძლებელია კამპანიის შედეგების სწორად ჩამოსხვა.

მიუხედავათ ამისა, არსებული მასალების მიხედვით, მაინც შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნები გამოვიტანოთ უკანასკნელ საანგარიშო კამპანიიდან.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ კამპანიის ჩატარებისათვის მოსამზადებელ მუშაობის გაუთვალისწინებლობას. თემკომებს უნდა ეზრუნათ, რომ კამპანიის მნიშვნელობაში გარკვეულიყო უჯრედების მდივნები.

სამწუხაროდ, ბევრმა თემკომმა ამას გვერდი აუხვია და „კამპანიურად" დაიწყო კამპანიის ჩატარება.

მაგალითად, თონეთის თემკომმა თბილ. კომიტ. ცირკულარის შესახებ დაადგინა: „გამოსაყენებლადო". სხვა თემკომები მხოლოდ ნიშნავდენ უჯრედების სხდომის დღეებს და ირჩევდენ თავიანთ წარმომადგენლებს ამ სხდომებზე: ამ უკანასკნელების დასწრება კი ბევრად არ დაეხმარება უჯრედების სხდომების შინაარსიანობას.

ზოგიერთი (ერწო. ნორიო, საგარეჯო) თემკომი კი ენერგიულად შეუდგა კამპანიის ჩატარებას. მაგალითად, დიდ-ლილოს (ნორიო) უჯრედის სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) უჯრედის მდივნის მოხსენება, 2) ა. ლ. კ. კ. თანამოხსენება, 3) პარტიის ამოცანა სოფლად, 4) თ. კ. რეზოლიუციის განხილვა პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ, 5) გლეხობის აქტივის წამოყენება საპასუხისმგებლო სამუშაოზე და 6). სამოქალაქო და სამხედრო უჯრედების კავშირი.

ასეთი საკითხების შერჩევაც კი დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ზოგიერთი უჯრედები ამასაც ვერ ახერხებენ, სხდომაზე სვამდენ მარტო თითო-ოროლა საკითხებს (ჩვეულებრივ უჯრედის მდივნის მოხსენება) და 30-40 წუთში ყველაფერი მოთავებული იყო.

ყველაზე მეტად საგულისხმოა შემდეგი მიღწევა: კრებებს ესწრებოდა უჯრედის შემადგენლობის 52-დან 100 პროც.-მდე, საშუალოთ—73.2 პროც., რაც მინდვრის მუშაობის პირობებში, სავსებით დამაკმაყოფილებელია, და რაც ადასტურებს იმას, რომ პარტ-მასას ინტერესებს პარტიულ საკითხების გაშუქება და პარტიულ მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

უჯრედის შინა-პარტიულ მუშაობაში შემჩნეულ იქნა მრავალი დეფექტები. მაგალითად, უგეგმო მუშაობა სოფ. დურნუკის და ასურეთკალონის უჯრედებში (ასურეთის თემი), სხდომების არარეგულიარულად მოწვევა (სოფ. ენაგეთის უჯრედში 6 თვის განმავლობაში მხოლოდ 3-4 სხდომა იყო), კრებებზე დაუსწრებლობა, საწევრო გადასახადების შეუტანლობა და პარტ-ეთიკის დარღვევა (კომუნისტების მიერ ქორწილში და ქელეხებში სიარული, ბავშვების მონათვლა, რასაც ადგილი ჰქონდა ერწოს თემში), პარტ-მოვალეობათა არა თანაბარი განაწილების გამო ისედაც მცირე აქტივის ზედმეტად დატვირთვა და სხვა.

კომკავშირელთა შორის არ არის მთლად ამოფხვრილი ლოთობა, დებოში, უდისციპლინობა და თავამვებულებაც კი (ა. ლ. კ. კ. თბილ. კომიტეტის ინსტრუქტორის სცემეს), რაც აიხსნება პარტიის მტკიცე იდეურ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უქონლობით.

შ. პატარაია.

„პასივისა" და „აქტივის" შესახებ

უჯრედის წევრთა შორის ჩვენ ყოველთვის ვარჩევთ ორ ჯგუფს—აქტიურ და ეგრედ წოდებულ პასიურს. ძალიან იშვიათად თუ დაფიქრდება ბიურო ასეთ მდგომარეობის გამოსწორებაზე. მისი მუშაობა უმთავრესად მიმდინარე საქმეების მოგვარებას უნდება. რაც შეეხება ბრძოლას პარტიის წევრთა უმოქმედობის წინააღმდეგ. ეს საკითხი, როგორც ცალკე ამოცანა, უჯრედის მუშაობაში ხშირად არ სჩანს.

რა უშლის ხელს პასიურობის წინააღმდეგ ბრძოლას ან, უკეთ რომ ვსთქვათ, რა უწყობს ხელს უჯრედის წევრთა უმოქმედობას. ესაა პარტიულ მუშაობის არა რაციონალურად განაწილება. თითქმის საყოველთაო მოვლენაა წარმოადგენს ის არანორმალური ჩვეულება, რომ მთელი პარტმუშაობა უჯრედში აწევს აქტივს. ამაზე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ მდგომარეობას ეს იმდენად არ შველის. უჯრედის ხელმძღვანელები მაინც არჩევენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლას და ყოველ საჭიროების დროს მხოლოდ რამდენიმე აქტიურ პირებს მიმართავენ.

ნამდვილად კი ეგრედ წოდებულ პასიურ წევრთა შორის ძალიან ბევრი მოიპოვება ისეთები, რომელთაც შესწევთ ძალა პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად. საჭიროა მხოლოდ მათი ცოდნის უნარისა და მიდრეკილების გაგება და ამის შესაფერისად რაიმე პარტიული მუშაობის დაკისრება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას მოითხოვს ჩვენგან პარტიული წესდება. არ არსებობს კომუნისტი პარტიის წევრი—რაიმე პარტიულ დავალების გარეშე, ასეთია ჩვენი პარტიის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი. უჯრედებმა ეს მტკიცეთ უნდა დაიმახსოვრონ.

გარდა ამისა საჭიროა ბოლო მოეღოს „შტატიან" მომხსენებლების ინსტიტუტს უჯრედებში, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგების ერთსა და იმავე ჯგუფს უხდება ყოველთვის მოხსენებებით გამოსვლა ყველა საკითხებზე. აქაც შეიძლებოდა მოვალეობის დანაწილება, თუ კი ბიურო გარჯას არ დაიზარებს.

საზოგადოთ საჭიროა უჯრედებში პრაქტიკულად დაისვას საკითხი პასიურობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს უნდა იქნას შეტანილი ერთ-ერთ მთავარ მუხლად უჯრედის სამუშაო გეგმაში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პარტიის წესდება მტკიცეთ იქნას გატარებული ქვედა საფეხურის ორგანიზაციების მიერ. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა სამრეწველო ცენტრების ორგანიზაციები.

დ. გ—ი.

თემკომო გაიღვიძე!

(ფახულანი, ზუგდიდის მაზრა)

კარგა ხანია, რაც ჩვენს თემში არსებობს პიონერთა ორგანიზაცია, სადაც ირიცხება ასამდე ნორჩი პიონერები.

პირველ ხანებში პიონერთა კოლექტივზე ფახულანის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ხელმძღვანელობა გვარიანი იყო. სწარმოებდა ტანვარჯიში, სხვადასხვა მეცადინეობა პოლიტ-აღზრდის სფეროში და სხვა. პიონერები აქტიურობას იჩენდენ ყოველგვარ საინტერესო საკითხისადმი. იზრდებოდა პიონერთა რიგები ულარიბესი გლეხის შვილების ხარჯზე. მაგრამ კარგათ დაწყებული საქმე ფახულანის კომკავშირის უჯრედმა ასევე კარგათ ვერ დაასრულა. უხელმძღვანელობით პაწაითა კოლექტივი იშლება და იფანტება.

თემკომს მუჯლუგუნი ესაჭიროება აგრეთვე უჯრედს მეტი ხელის განძრევა ჭირდება ამ დარგში.

ხერ.

მუშათა ცხოვრება

პურის შესახებ

ამხ. კ—ს საყურადღებოდ (გორი)

გუშინ ჩვენი გაზეთის მუშათა განყოფილებაში დაიბეჭდა ამხ. კ—ს კორესპონდენცია, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ ქ. გორში პურის კრიზისია და კითხულობდა, თუ რაშია საქმე. ამის შესახებ ჩვენ უნდა განვმარტოთ, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მართლაც ჰქონდა ადგილი პურის ნაკლებობას, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა უკვე დაძლეულია.

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებული იყო საუბარი ა.-კ. ვაჭრობის სახკომთან ამხ. **ბეკზადიანთან,** რომელმაც განაცხადა, რომ პურის კრიზისის მიზეზია ჩრდილოეთ-კავკასიაში პურის გადმოსაზიდი ტრანსპორტის ნაკლებობა და ქიურდამირის რაიონში წყალდიდობა და ნიაღვარი, რამაც საგრძნობლად დააზიანა რკინიგზა—ამან დააბრკოლა პურის შემოზიდვა ამიერკავკასიაში.

„ამჟამად ასეთი მდგომარეობაა—აცხადებს ამხ. ბეკზადიანი—ჩრდილო-კავკასიიდან პურის გადმოზიდვა უკვე სისტემატიურად და დაუბრკოლებლად სწარმოებს. პურის გადმოსაზიდ. სატრანსპორტო საშუალებები საკმაოთაა და 15 აგვისტოდან პურის კრიზისი ალმოფხვრილი იქნება".

დ.

მოსპეთ გაფლანგვის კუთხეები

ასეთი კუთხე ბევრია თბილისში, ასეთი კუთხეები მოწყობილია სხვადასხვა ბაღებში, სხვადასხვა სახლებშიც, სადაც გაჩაღებულია კარტის, ბილიარდის და სხვა ათას გვარი სათამაშოები. აქ მოდის ყველა, ვისაც აქვს ფულის მოგების სურვილი დ როგამოშვებით მოხვდება აქ რომელიმე მუშა-მოხელეც და ვაი მისი ბრალი. ის ჯიბე ცარიელი ბრუნდება სახლში.

ამ ბოლო დროს რკინის გზელებმაც გაუგეს გემო ამ კუთხეებს... ეს იქიდან სჩანს, რომ შექუჩდებიან თუ არა რამდენიმე რკინისგზელი ერთად, მაშინვე გაიბმება ლაპარაკი:

— ვანო, მიხვალ ამაღამ არტოში.

— დაიქცა იქაურობა. წუხელის უკანასკნელი ჩერვონეცი დამატოვებინეს იქ.

— წუხელის, მეც წავაგე, მაგრამ ამაღამ იქნება გამოვიბრუნო ხელი და სხვა.

ვისთვის არის ეს მაცდური კუთხეები საჭირო. მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები და დახუროს ასეთი მაცდური სათამაშო — კუთხეები..

დუღაბი.

კულტმუშაობა მოისუსტებს

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბის სამკითხველო არის მოთავსებული დიდ დარბაზში. იქვე სდგას აგრეთვე ნარდის სათამაშო მაგიდები, როიალი და სხ. როცა წიგნს კითხულობ ერთ ყურში „დუ-შაშის" და „დუ-იაქეს" ძახილი გესმის, მეორე ყურში კი როიალი ჩაგბურტყუნებს, რითაც სამკითხველოში კითხვის საშუალება ესპობა მკითხველს.

გარდა ამისა ორშაბათობით და ოთხშაბათობით ბაღში არავითარი პროგრამა არ მიდის და ამ დღეებში ზოგჯერ აწყობენ უფასო კინოს წევრებისათვის. მაგრამ რა, სურათი ყოველთვის ძველია და უშინაარსო. ამასთანავე მუსიკა არ უკრავს. როიალი იქვე სდგას მხოლოდ დამკვრელი არსად არის.

რას იტყვის ამის შესახებ კლუბის გამგეობა.

ალ. გვ—ძე.

საყუდის და სარონოდო ფარეხის მუშა-მოსამსახურეთა კრება

16 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგა საყუდის და სარონოდო ფარეხის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება თბილისის საბჭოს გასულ მუშაობაზე და მომავალის პერსპექტივებზე. კრებას დაესწრო 500-მდე კაცი. კამათში მონაწილეობა მიილო ბევრმა მუშამ.

მოხსენების შემდეგ კრებამ საბჭოს მუშაობა სხვადასხვა დარგებში დამაკმაყოფილებლად სცნო, მასთან ერთად კრებამ საჭიროდ სცნო გატარებულ იქნეს შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებები: 1) აგებულ იქნეს ლენინის რაიონში აბანო, 2) მუშათა რაიონს მიეცეს ელნათლე იაფ-ფასებში, 3) დაჩქარდეს ხიდის გაკეთება ლენინის რაიონსა და დიდუბეს შორის, 4) შეტანილ იქნეს 1927-28 წლების ბიუჯეტში სკოლის აგება ლენინრაიონში, 5) გაძლიერებულ იქნას მილიციის საგუშაგოები განაპირა მუშათა რაიონებში, 7) ელ-სინათლის გაყვანის წესი საჭიროა სწარმოებდეს თანახმად დადებულ პირობებისა რიგობრივად განცხადებების მიხედვით, და აგრეთვე გაცხოველებულ იქნეს მუშაობა რათა არ უხდებოდეს მუშებს ცდა 3-4 თვით, როგორც ამას ადგილი აქვს ეხლა და სხვ.

შემდეგ კრებამ აირჩია 4 ამხანაგი საბჭოს წევრად იმათ მაგიერ, რომლებიც გამოაკლდნენ.

მუშკორი ძია—ღლვან.

გაგვიხსენით კოოპერატიული დუქანი

(მთლიან მუშათა კოოპ. საყურადღებოდ)

ამატუნოვის ქუჩიდან ლაზარევის ქუჩამდე იყო რამდენიმე სავაჭრო დუქნები, სადაც ამ რაიონის მცხოვრებლები ვაჭრობდენ. მიმდინარე თვეში ეს სავაჭროები დაკეტეს. ერთი კოლოფი წუმწუმისათვის, ან ერთი გირვანქა შაქრისათვის ხან ავლაბრის მოედანზე და ხან 19 თიბერვლის ქუჩაზე უხდებათ ხვლა. ურიგო არ იქნება, რომ კოოპერატივმა გახსნას ერთი თავისი განყოფილება აქ, განსაკუთრებით საჭიროა საყასბო. ლიანდაგის გადაღმა ელიის უბნიდან დაწყებული ავლაბრის მოედნამდე და ლაზარევის ქუჩით 19 თებერვ. ქუჩამდე არც ერთი საყასბო არ არის.

იმედი გვაქვს, რომ მუშათა მთლიანი კოოპერატივის გამგეობა ამას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და თავის განყოფილებას მოაწყობს აქ.

მუშკორი ამბალი.

საყურადღებო წვრილმანი

—**წითელი სასადილოა თუ კერძო.** საბაჟოს ქუჩაზე თბილისის სადგურის უკან არის მუშკოოპის წითელი სასადილო, რომელიც კერძო სასადილოებზე ძვირად ჰყიდის სადილებს. ნუ თუ ეს დასაშვებია. თუ ეს სასადილო კერძო კაცს ეკუთვნის, მაშ რატომ არის მუშკოოპისა, და თუ მუშკოოპს ეკუთვნის ფასები რათ არის ძვირი.

სლედოპიტი.

— **სადგურ გურჯაანში** რკინისგზელთა ბინების ახლო - მახლო გამოყვანილია წყლის მილები, რომლებსაც არა აქვთ ონკანები, რის გამო მთელი დღე-ღამის განმავლობაში იქცევა წყალი მილებიდან. როდესაც მთავარი რეზერვუარები დაიცლება ხოლმე წყლიდან, მაშინ მთავარ მილს გადაჰკეტავენ ხოლმე და მთელი 10-11 საათის განმავლობაში წყალი მთელ გურჯაანში აღარ იშოვნება. ეს დაუშვებელია.

საჭიროა ყველა წყლის მილებზე იქმნეს დადგმული ონკანი.

ი. გ.

— **ეს დაუშვებელია.** ხშირია შემთხვევა, რომ სამოცი რონოდისაგან შემდგარი მატარებელი მხოლოდ ორთქლმავალსა და პირველ რონოდას შუა არის გადაბმული ორი გადასაბმელით, დანარჩენი სამოცი რონოდა კი სულ თითო გადასაბმელზეა გადაბმული, რასაც ადვილი შესაძლებელია მოყვეს შემადგენლობის გაწყვეტა.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, რომ თბილისში მატარებელი შემოდის სულ დამუხრუჭებული და ზედ კი ორი, ან სამი მემუხრუჭის მეტი არა სჩანს, ეს ხდება იმის გამო, რომ მემუხრუჭეები, რომელნიც არსენალის მხარეს სცხოვრობენ ამუხრუჭებენ რონოდას, ხტებიან გზაში და მიდიან სახლში სამსახურში გამოუცხადებლად. ეს დიდი დანაშაული არის და დროზე უნდა მოეღოს ბოლო.

სლედ.

მუშათა ქრონიკა

—**ქალ. ჭიათურაში.** ქალ. ჭიათურაში განათლების მუშაკთა სახლის ასაგებათ შორაპნის პროფბიურომ გამოყო საამშენებლო კომისია.

— **მუშათა კლუბების რიცხვი.** საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სტატბიუროს ცნობით საქართველოს რესპუბლიკაში აღრიცხულია 1 თებერვლისათვის სულ 52 მუშათა კლუბი.

— **პლენუმი.** საქ. პროფსაბჭო სექტემბრისთვის შუა რიცხვებში იწვევს ს. პ. კ. მ. მორიგ პლენუმს, რომლის დღის წესრიგში პირველ საკითხად სდგას ჯანსახკომის მოხსენება დაზღვეულთა საექიმო მდგომარეობის შესახებ.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** მეღვინეთა კავშირის ც. გ. დამატებითი გაიღო თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირების" ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 65 მ. 41 კ.

— **ბორჯომი.** ბორჯომის საავადმყოფოთა მდგომარეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით ბორჯომის პროფბიურომ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს პროფკავშირის წინაშე, რათა ბორჯომის საავადმყოფოს ხელმძღვანელობა გადაეცეს ჯანსახკომის საკურორტო ქ.-განს.

— **საქალაქო კრება.** სამშაბათს, აგვისტოს 23, გემო-კვების კავშირის მუშათა კლუბში (მუშ. ცენტრალური კლუბი) მოწვეულია საკლუბო აქტივის საქალაქო კრება. რომელსაც დაესწრებიან კლუბის გამგეობანი, წრეების ბიუროები და მამასახლისთა საბჭოები. კედლის გაზეთების კორესპონდენტები და სარედაქციო კოლეგიის წრეები და აგრეთვე კლუბის აქტიური წევრებიც. კრების დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. მუშათა კლუბების დავალიანების შედეგები და
2. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩატარების გეგმა.

თბილისის საბჭოს მუშაობა

ანგარიშების ჩაბარება ამომრჩეველთათვის

ლითოგრაფიის მუშებში

ლითოგრაფიის მუშებს კრებაზე გამოცხადდენ მუშა-ამომრჩევლების ოჯახის წევრებიც.

კრებაზე გამოსული მომხსენებელი, საბჭოს წევრი **სანდრო საყვარელიძე** ეხება თბილისის საბჭოს და მისი აღმასკომის მუშაობის ყველა მხარეებს—საბინაო აღმშენებლობის 5-წლიანი პერსპექტიული გეგმას, კომუნალური მშენებლობას, ქუჩების გაფართოებას და სხვ.

კრების დასასრულს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია ყველა ის ახალი დავალებანი, რაც უნდა შეასრულოს თბილისის საბჭომ:

— ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან, სკოლების ქსელის გაფართოება, ბრძოლა უმუშევრობასთან—აი რა დაავალეს ამომრჩევლებმა თავიანთ დელეგატებს.

—შეიძლება რეზოლიუციაში ვერ მოვიხსენიეთ ყველაფერი, მაგრამ თქვენც ხომ იცით მუშების საჭიროებანი,—უთხრეს კრების დასასრულს მუშებმა თავის დელეგატს:

— მოსპეთ სპეკულიაცია ოთახების გაქირავებაზე.

— ჩამოართვით სახლები მათ ვინც აწუხებს მდგმურებს და ათასობით ითხოვს ერთ ოთახში, ხოლო ამავე დროს კი სახლების შეკეთებაზე არ ზრუნავს.

— დაჩქარდეს ზაჰესის სინათლის გაყვანა მუშათა ბინებში.

უმუშევრების დავალება

გემო-კვების კავშირის უმუშევარ მუშა-ამომრჩეველთა საზოგადო კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ა. ავეტისოვმა;**

მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ამომრჩეველმა.

— ჩვენ გვაწუხებს უმუშევრობა,—განაცხადეს მუშებმა,—საცხოვრებელი ბინების სიმცირე, უსინათლობა, ხშირათ წყალის ნაკლებობა და სხვა. საჭიროა, ჩვენმა წარმომადგენლებმა ქალაქის საბჭოში, სასტიკათ გაილაშქრონ ბიუროკრატიზმისა და პროტექციების წინააღმდეგ. ამით ხელს შეუწყობთ უმუშევრობის მოსპობას

— საბინაო საკითხი არ მოგვაჩნია მოგვარებულათ, — ამბობდენ სხვები. ზოგ სახლის პატრონს აქვს თავისუფალი ოთახი, რომელსაც ის არ აქირავებს მუშებზე, თუ მათ წინდაწინ არ გადაიხადეს ერთი წლის ქირა, თვეში სამი თუმნის ანგარიშით. მიიღეთ ზომები, რომ მოისპოს ასეთი უმსგავსოება.

კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში მოწონებულია თბილისის საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობა.

რკ. გზის დამცველ რაზმში

რკინის გზის დამცველ რაზმის საერთო კრებას (რაზმის ბინაზე) თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებები გაუკეთეს **ივანე ჭონიაშვილმა და კოზაევმა.**

მოხსენების შემდეგ მომხსენებლებს ეკითხებოდენ:

— რამდენათ შემცირდება კრიზისი იმ შენობების დამთავრების შემდეგ, რომლებიც ამჟამათ შენდება?

— მიღებულია თუ არა ზომები უმაღლეს სასწავლებლის გასაფართოებლათ?

— რა ზომების მიღებას აპირებენ უპატრონო ბავშვების ხეტიალის მოსასპობათ?

— როდის დამთავრდება ტრამვაის მეორე ხაზის გაყვანა მუშათა უბანში?

მიღებულ რეზოლიუციით კრება იწონებს თბილისის საბჭოს და აღმასკომის მიერ გაწეულ მუშაობას და იმედს გამოსთქვამს რომ მომავალში ქალაქის საბჭო მოსპობს უმუშევრობას ფაბრიკა-ქარხნების გაფართოებით, გაამრავლებს საშუალო და უმაღლეს ტიპის სპეციალურ სასწავლებლებს, მეტის ყურადღებით მოექცევა მუშათა უბნის კეთილ მოწყობას და კლასობრივად მტკიცედ დაიცავს მუშათა ინტერესს თავის მომავალ მუშაობაში.

მთავარ სახელოსნოებში

მთავარ სახელოსნოებში

სადურგლო ცეხი

მთავარ სახელოსნოს სადურგლო ცეხის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება შესდგა ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა **იაგორ ტორიკაშვილი.** მოხსენების შემდეგ, მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელზეც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მოიწონა საბჭოს მუშაობა.

ამწყობ ცეხის მუშები

რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს ამწყობ ცეხის მუშების საერთო კრება შესდგა გუშინ პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში. საბჭოს წევრებმა **გიორგი ჯიოევმა და ალ. კუდრავცევმა** გააკეთეს მოხსენებები თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მომხსენებლებს მისცეს შეკითხვები:

— სავალდებულოა თუ არა, რომ სახლის პატრონებმა თავისი ხარჯით აანთებდენ ქუჩას თავისი სახლის წინ?

— შესაძლებელია თუ არა ელ-დენის გამტარის გაყვანის გაიაფება?

— გაიყვანენ ტრამვაის გზას ზაგესამდე თუ არა, და თუ გაიყვანენ რომელი გზით?

შეკითხვების შემდეგ გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ რომ საჭიროა:

— იურიევის, ნაზარეთის, ყუბანის და ბათომის ქუჩების მოკირწყვლა.

— წყლის უფრო მეტი რაოდენობით მიწოდება განაპირა უბნებისათვის და ქუჩების მორწყვა.

— კოოპერატიულ დუქნების და ფარდულების გამრავლება მუშათა და გარე-უბნებში.

— ტრამვაის ვაგონების უფრო სწორი განაწილება უბნებს შორის.

— კანალიზაციის გაყვანა ლენინის უბანში.

— სკოლების გამრავლება მუშათა უბანში.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება იწონებს საბჭოს მუშაობას და სურვილს გამოსთქვამს ძმათა სასაფლაოზე აგებულ იქნას „ცხრათა" ძეგლი.

ამხ. მ. პ. ბარინოვი თბილისში

გუშინ საღამოს საქართველოს სამხედრო გზით კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს (აზნაფთი) უფროსი ამხ. ბარინოვი.

ამხ. ბარინოვი თბილისში ჩამოვიდა გროზნოდან. სადაც მან დაათვალიერა ეხლახან გახსნილი პარაფინის ქარხანა.

პარაფინი აქამდი შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან ამ ქარხნის გახსნის შემდეგ საჭირო აღარ იქნება პარაფინის საზღვარგარეთიდან გამოწერა, გროზნოს ქარხანა სავსებით დააკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას.

თბილისიდან ამხ. ბარინოვი შიემგზავრება გურიაში ნავთის სარეწავების დასათვალიერებლად. მასთან ერთად მიემგზავრებიან გეოლოგები პროფ. გუბკინი და აბრამოვიჩი, რომლებიც დარჩებიან გურიაში გამოკვლევითი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

გურიიდან ამხ. ბარინოვი გაემგზავრება ბათომში, სადაც დაათვალიერებს ნავთის გადასაქაჩავ ქარხანას, რომელიც ეხლა შენდება.

ბათომიდან ორი - სამი დღის შემდეგ ამხ. ბარინოვი გაემგზავრება ბაქოში.

გუშინ, საღამოს 10 საათზე, ამხ. ბარინოვი გაემგზავრა თბილისიდან.

საუბარი ამხ. ბარინოვთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ბარინოვმა განაცხადა შემდეგი:

— ამჟამად მთავარი საკითხია, რამდენად შესძლებს ამიერ - კავკასიის რკინის გზები ჩვენი გადიდებული მოთხოვნილების შესრულებას საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის დარგში.

მიმდინარე წლის საექსპორტო გადაზიდვის პროგრამა, რომელიც გამოიხატება 95 მილიონ ფუთ ნავთის პროდუქტებში, რკინის გზამ შეიძლება შეასრულოს, მაგრამ ამისათვის მას მოუხდება ყველა თავისი ძალების დაჭიმვა. ჩვენი პროგრამის შესასრულებლად გზა იძულებული იქნება შეამციროს სამგზავრო მატარებლების მოძრაობა და შეზღუდოს მშრალი ტვირთების მიღება.

როგორც აღვნიშნე, რკინის გზამ წელს შეიძლება მოახერხოს ჩვენი მოთხოვნილების შესრულება, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას მომავალ წელზე.

მომავალ წელში ნავთის ამოღება 420 მილიონ ფუთიდან გაიზრდება 469 მილიონ ფუთამდე, ამასთან დაკავშირებით გაიზრდება ექსპორტიც.

ამიტომ ჩვენ უნდა გამოვნახოთ ყოველგვარი საშუალება, რომ ნავთის პროდუქტების ეს დიდი რაოდენობა დაუბრკოლებლივ გადაიზიდოს ბათომში.

აზნაფთი ერთადერთ გამოსავალს ხედავს ბაქო - ბათომის მეორე ნავთსადენის აგებაში. ცენტრმა უკვე ნება დაგვრთო ავაგოთ ახალი 10 დიუმიანი ნავთსადენი. ახლო ხანში ჩვენ მივიღებთ საჭირო კრედიტებს, საიდანაც საზღვარგარეთ შეუკვეთავთ 10 მილიონ მანეთის მოწყობილობას ნავთსადენისათვის.

მოწყობილობის მიღების მომენტიდან ნავთსადენის მთავარი ნაწილი ხაშურიდან ბათომამდე ჩვენ განზრახული გვაქვს დავამთავროთ 12-16 თვეში.

შეეხო რა კაპიტალისტურ ნავთის კომპანიებთან ურთიერთობას, ამხ. ბარინოვმა განაცხადა:

— ნავთის სინდიკატს ხელშეკრულება აქვს დადებული „სტანდარტ ოილ კომპანისთან", რომლის ძალით ჩვენ ამ ფირმას 6 წლის განმავლობაში უნდა ჩავაბაროთ 54 მილიონი ფუთი ნავთი, ე. ი. 9 მილიონი ფუთი წელიწადში. ამას გარდა, ამავე ფირმას მიმდინარე წელში ჩვენ მივყიდეთ 100 ტონა (6.150.000 ფუთი) ბუმკერული (სათბობი) მაზუთი.

სკანდალი, რომელსაც ადგილი აქვს „სტანდარტ ოილ კომპანის" და „როიალ დეტჩ შელლს" შორის გამოწვეულია იმით, რომ ორივე ეს ფირმა იბრძვის ინდოეთის ბაზრის დასაპყრობად; წინეთ ინდოეთის ბაზარზე გაბატონებული იყო ინგლისი, ეხლა კი იქ თანდათან ფეხს იკიდებს ამერიკა.

ამერიკელებმა მიიღეს ყველა ზომები ინდოეთის ბაზრის თავის ხელში ჩასაგდებად. საზღვაო გზაზე ინდოეთისაკენ, რომელზედაც წინეთ მხოლოდ ინგლისის გემები დადიოდა, ეხლა მრავლადაა ამერიკის გემებიც.

„სტანდარტ ოილ კომპანიმ" შესძლო მრავლად გამოეყვანა ამ გზაზე თავისი საკუთარი გემები, რომლებითაც გადააქვს ნავთი ინდოეთში.

საუბარის დასასრულს ამხ. ბარინოვმა სთქვა:

— მიუხედავათ ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლისა, ჩვენი ექსპორტი ამით სრულებით არ დაზარალებულა. მთელი რიგი ქვეყნები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ნავთისადმი და დიდის რაოდენობითაც ყიდულობენ მას.

ჩვენი ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

საუბარი პროფ. სუშკინთან

სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციოდ წარმოებულ მუშაობის დასათვალიერებლად გუშინ თბილისიდან გაემგზავრა პროფ. **სუშკინი,** რომელიც მონაწილეობას იღებდა ზაჰესის საბოლოოდ მისაღებად დანიშნულ კომისიაში.

გამგზავრების წინ პროფ. სუშკინმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ჩვენი მოხსენება ზაჰესის საბოლოო მიღების შესახებ ზოგიერთი მიზეზების გამო გადადებულია. ექსპერტთა კომისიის მუშაობა ამჟამად სავსებით დამთავრებულია.

ექსპერტთა კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ ზაჰესის ყველა მოწყობილობანი „მაშინოტრესტის" მიერ დადებულია სავსებით დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სადგური შეიძლება მიღებული იქნეს საექსპლოატაციოთ.

შეეხო რა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას, პროფ. სუშკინმა განაცხადა:

— მთიან ადგილებში ელექტროფიკაცია უეჭველად სასარგებლოა, რადგან ელექტრო-მამოძრავებელის გამოყენება ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ორთქლის მამოძრავებელი.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია სასარგებლოა იმით, რომ იგი ერთდაიმავე დროს ენერგიას მიიღებს ორ მძლავრ სადგურიდან — ზაჰესიდან და რიონჰესიდან. იმ შემთხვევაში, თუ ერთმა სადგურმა რაიმე მიზეზის გამო შესწყვიტა მუშაობა, გზა ენერგიას მიიღებს მეორე სადგურიდან, ამით უზრუნველყოფილი იქნება მატარებლების შეუფერხებელი მოძრაობა.

წინასწარმა გამოანგარიშებამ ნათლად დაამტკიცა, რომ უღელტეხილის ელექტროფიკაცია დიდ სარგებლობას მოუტანს ამიერ - კავკასიის რკინის გზებს.

საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ სუსტათაა გამოყენებული ელექტრო - ენერგია რკინის გზებზე. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში არის მთელი რიგი გზები, რომლებიც ელექტრო-ენერგიით მუშაობენ. ჩვენ ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩით ევროპას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა აგებული ბაქო-საბუნჩის გზა, რომელიც ელექტრონით მუშაობს, და ეხლა დაიწყო მუშაობა სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციოთ. ეს მუშაობა პირველი სერიოზული ნაბიჯია ამ მიმართულებით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მელიორატიული საზოგადოება

ოზურგეთი, 16 აგვისტო. დაიწყო მელიორატიული საზოგადოების შედგენა. საორგანიზაციო მუშაობის შესასრულებლად და სარწყავ მოედნების გეგმის შესადგენად მაზრის აღმასკომმა ცენტრიდან მოიწვია სპეციალისტი ინსტრუქტორები. (ადს)

გზა ქვემო - სვანეთისაკენ

ცაგერი, 17 აგვისტო. ორბელი-ცაგერის შარა გზის დასრულების შემდეგ, აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შეუდგეს 60 კილომეტრის სიგრძე გზის გაყვანას ქვემო-სვანეთისაკენ. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას გლეხების კრებებმა გამოიტანეს დადგენილება, რომლებშიც ნათქვამია: „ჩვენ არ ვცნობთ სავალდებულო შრომის ზღვარას, რომელიც მხოლოდ ხუთი დღით განისაზღვრება. ჩვენ ქუდზე კაცი გამოვალთ სამუშაოთ და ვიმუშავებთ იმ დრომდე, სანამ სამხრეთ სვანეთის მთელი გზის ხაზზე არ აგუგუნდებიან მანქანები". (ადს)

გურიის ეკონომიური გამოკვლევა

ოზურგეთი, 16 აგვისტო. სამაზრო აღმასკომმა სტატისტიკურ ბიუროსათვის გადასდო საჭირო კრედიტი მაზრის ეკონომიურ გამოკვლევის ჩასატარებლად. გამოკვლეული იქნება 7 ტიპიური თემი, რომლებშიც საგლეხო მეურნეობა მისდევს ერთფეროვან კულტურას (სიმინდს), შერეული ტიპის (მემინდვრეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა. მევენახეობა) მეურნეობანი და ისეთი მეურნეობანი, სადაც სწარმობს სუბტროპიკული კულტურა გამოკვლევა ერთ თვეს გაგრძელდება. (ადს)

სამხრეთ-ოსეთი

კავშირი სოფელთან

ცხინვალი, 16 აგვისტო. სამხრეთ - ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჯატიევი ასრულებს ოლქის მორიგ შემოვლას. ის რამდენიმე ხანს ჩერდება რაიონებში და ეცნობა გლეხობის ჭირვარამს და იქვე აძლევს ინსტრუქციებს ადგილობრივ ორგანოებს.

ამჟამად ამხ. ჯატიევი იმყოფება ქსნის ხეობის მთიან რაიონებში. (ადს)

წერილები

სოფ. მჭადი-ჯვარი

რა აკლია ამ სოფელს

მჭადი-ჯვრის თემი შესდგება 15 სოფლიდან. მთელი თემის მცხოვრებთა რიცხვია 3889, კომლთა რიცხვი 642. ამ თემის მოსახლეობა ნახევარი ოსია და ნახევარი ქართველობა.

მთელ თემში არის 3 სკოლა. ამ თემის 11 სოფელი დარჩენილა უსკოლოთ, რადგან თითო სოფელში მცხოვრები არ აღემატება 30 კომლს, ესენიც ერთმანეთზე დაშორებული არიან სამსამი ვერსით. 1925 წლიდან ხსენებულ სოფელში სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. სწავლა იწყება ნოემბრის თვიდან, თავდება მარტში. წარსულ წელს წერა-კითხვა ისწავლა ოთხ სოფელში 150 კაცმა, წელს კი თითქმის 200 აღემატება, ასე, რომ თანდათანობით ეტყობა წინსვლა-წარმატება.

აქ არსებობს აგრეთვე ერთი მომხმარებელი საზოგადოება. 1924 წელს სოფლის აღმასკომის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით აქ დაარსდა გლეხკომი; მას შემოსავლის წყარო არსაიდან არ ჰქონდა და საქმეც არ გაკეთებულა რა. აქ მეცხვარეებს ჩამოუდით ზამთრობით ცხვარი და აყენებენ მჭადი-ჯვრის მიდამოებში, რისთვისაც გლეხკომი ახდევინებს ცხვრის პატრონს საბალახოს ოცზე ერთს ცხვარს და ვისაც ოცზე მეტი არა ჰყავს, მას არაფერს არ ახდევინებს.

აქ არის აგრეთვე ქოხ-სამკითხველო, მაგრამ არ ჰყავს აქტიური ხელმძღვანელი. ლიტერატურა ძლიერ ნაკლებად არის აქ, მოთხოვნილება კი დიდია. არსებობს თეატრი-კლუბი, მაგრამ ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, სცენა [illegible] იარგა, დეკორაციები და სხვა. მოწყობილობა წარმოდგენისათვის სულ არ არის და აღმასკომსაც არა აქვს საშუალება, რომ დაეხმაროს. წარმოდგენების მართვაში ინტელიგენცია არავითარ მონაწილეობას არ იღებს. მთელ თემში არსებობს მხოლოდ ერთი საფერშლო პუნქტი. რაც, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და სწორედ ამას უნდა მიეწეროს, რომ აქ მრავლად მოიპოვებიან ძველებური ექიმ-ბაზები, რომელთაც ვნების მეტი სარგებლობა არ მოაქვთ გლეხობისათვის.

მიწის საკითხი მოწესრიგებულია. წყალი ძლიერ ნაკლებად არის იქ და მიწა კი უწყლობით გლეხს სარგებლობას ვერ მოუტანს. სოფელს არა ჰყავს შეფი და ეს კი აუცილებელია მისთვის, კარგი იქნება, თუ გამოუჩნდება რომელიმე დაწესებულება.

ამბალი.,

ჭორვილა, შორაპნის მაზრა

დაგვინიშნეთ ფასიანი გამგე

ქორეთის თემში არსებობს ერთი ქოხ-სამკითხველო და სამი წითელი კუთხე.

ქოხ-სამკითხველოს არა ჰყავს დაქირავებული გამგე. მის გამგეთ ვირჩევთ ხოლმე დაინტერესებულ ამხანაგებს უჯამაგიროდ, მაგრამ როდემდის უნდა იმსახურონ უსასყიდლოთ. მკითხველები ბევრი ჰყავს და ძლიერაც შეუყვარდათ გლეხებს ქოხ-სამკითხველო. პოლიტგანო დაუნიშნე სამკითხველოს ფასიანი გამგე.

ხ.

სოფ. უჯარმა, თბილ. მაზრა

ჩამორჩენილი სოფელი

ეს სოფელი კულტურულად ჩამორჩენილია. სამკითხველოს მაგიერ აქ არის წითელი კუთხე, რომელიც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მას არ გააჩნია საკმარისი რაოდენობით წიგნები და ჟურნალ - გაზეთები და აგრეთვე მის მუშაობას საგრძნობლად აფერხებს ის, რომ მას არ ყავს ფასიანი ხელმძღვანელი.

სართიჭალის თემაღმასკომმა და თემპოლიტგანმა ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ და ახალ საბიუჯეტო წლის დაწყებიდან აქ არსებული წითელი კუთხე გადაკეთებულ იქნეს ქოხ - სამკითხველოდ და აგრეთვე დაკმაყოფილებული შესაფერი ლიტერატურით და ფასიანი ხელმძღვანელებით. ამას თანავე ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის პირველი საავადმყოფო, რომელსაც აქვს შეფობა აღებული სოფ. უჯარმაზე, თავის მხრივ ეცდება აღმოუჩინოს სათანადო დახმარება თავის საშეფო სოფელს.

შ. გარე-კახელი.

წირქვალის თემი, შორაპნის მაზრა

დავიწყებული რევოლიუციონერი

ბევრი გლეხი რევოლიუციონერები „ინვალიდები" არიან სოფლად, რომლებსაც არავითარი დახმარება არა აქვთ. ერთი ასეთი ინვალიდთაგანია წირქვალის თემის, სოფ. ზედა-უბნის უკიდურესი ღარიბი **ლევანტი სპირდონის-ძე ყაველაშვილი.**

ეს გლეხი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქუთაისში 1905 წ. რევოლიუციაში. ციხიდან გვირაბის გაყვანაში, „ნასაკირალის" შეტაკებაში და მრავალი სხვა. მაგრამ რეაქციის დროს მას ცემა მაზრის უფროსმა ლ. მახარაძემ „პროკლადით" და სამი ტყვია ესროლა. სიკვდილს გადარჩა, მაგრამ მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს. დაბრმავდა ცემით და დაუშავდა ხელი და ფეხიც. იყო გადასახლებული არხანგელის გუბერნიაში. **დღეს ჩარიცხულია ინვალიდთა პირველ ჯგუფში, მაგრამ 1926 წლ. ივნისიდან პენსია არ მიუღია, ეძლეოდა 4 მან. 50 კაპ.**

ჰყავს ავადმყოფი ცოლი. **დაუნიშნეთ პენსია ასეთ ინვალიდ-რევოლიუციონერს.**

საირხელი.

სოფლის ქრონიკა

— **ჩაი.** გურიაში დამთავრდა ჩაის მოკრეფა. მოსავალი დამაკმაყოფილებელია.

ქუთაისი

— **ბაღი.** 1-ლ შვიდწლედის ეზოში გაიხსნა ქუთ. განათლების მუშაკთა კავშირის საზაფხულო ბაღი.

— **ამინდი.** ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ქუთაისში კარგი ამინდები დაიჭირა.

— **ქუჩების შეკეთება.** ქუთ. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქუჩების მოკირწყვლა შეკეთებას.

— **ვენერიულ სენთან** ბრძოლის გაძლიერების მიზნით ქუთაისის ვენერიულ დისპანსერის სალექციო დარბაზში ყოველკვირაობით იკითხება უფასო ლექციები.

— **ტელეფონის ქსელი.** ამ დღეებში მუშაობას დაიწყებს ტელეფონის ახალი ხაზი ქუთაისსა და ბათომს შორის.

— **ქუთაისის მაუდის** ქარხანა ყოველდღიურად ამზადებს 450 მეტრ მაუდს. ქარხნის ნაწარმოებზე ფასები დაკლებული იქნება 20 პროც.

ამხ. იაკო შარიქაძე, [illegible]

დაუვიწყარი ამხანაგი

კვირას, 14 აგვისტოს კომუნისტურ პარტიის რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ძველი მებრძოლი, მუშებისა და გლეხკაცობის საქმისათვის თავდადებული ამხ. იაკო კონსტანტინესძე შარიქაძე.

ამხ. იაკო გამოვიდა გლეხის ოჯახიდან.

ის იყო გულწრფელი, პირდაპირი, დაუღალავი მუშაკი.

მას ყოველთვის პატივს სცემდა გლეხობა და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები. ის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით თავის ამხანაგებში.

ამხ. იაკოს არასოდეს არ დაივიწყებს ხარაგოულის თემის გლეხკაცობა. ის თავდადებულ მუშაობას ეწეოდა ხარაგოულის თემის გლეხკაცობის საქმის გაუმჯობესებისათვის, მისი ინიციატივა და ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ მუშაობაში ცნობილი იყო არა მარტო თემის და რაიონის, არამედ მთელი შორაპნის მაზრის გლეხკაცობისათვის.

დღეს ამხ. იაკო ჩვენს რიგებს არ ამშვენებს, ის ველარ გაუძღვება წინ საზოგადოებრივ საქმიანობაში გლეხკაცობას. ამხ. იაკო მოკვდა უდროოდ, ხელიდან გამოგვეცალა, მაგრამ იდეა და საქმიანობა მისი არ მომკვდარა, ჩანერგილია მისი ამხანაგების და ხარაგოულის თემის გლეხების და მუშების გულში. ამხ. იაკოს საქმეს განაგრძობენ მისი ამხანაგები და საერთო ძალღონით იბრძოლებენ მისი იდეის—კომუნისტურ საზოგადოების შექმნისათვის.

მშვიდობით ამხ. იაკო, მშვიდობით.

ტ. შარიქაძე.

ამხ. იაკო შარიქაძე

დღეს მიწას მიაბარებენ ძვირფას იაკოს გვამს. ძნელია ამაზე ფიქრი, მაგრამ მწარე სინამდვილე ასეთია.

დიდია ამხ. იაკოს ღვაწლი იმ სოფლისადმი, სადაც ის დაიბადა და სცხოვრობდა. ის იყო ხარაგოულის თემის გლეხების თვალის ჩინი, როგორც ამას ამბობენ თვით გლეხები, რომელთათვისაც ამხ. იაკო არ ზოგავდა ენერგიას. ის ყოველთვის მშრომელთა ბედნიერებაზე ზრუნავდა.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ამხ. იაკოს რკინის გზაზედ. ის პირველად შედის რკინის გზაზე უბრალო ელმწერლად და თავისი ენერგიული შრომით და საქმის დაინტერესებით სათანადო ყურადღებას იმსახურებს. მას მრავალი ტანჯვა და წვალება გადაუღახავს თვითმპყრობელობის დროს. არა ნაკლები სიმწვავე განუცდია მენშევიკების დიქტატურის დროს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იაკომ მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებს და ბოლოს ინიშნება გზათა სახალხო კომისრის ამიერ-კავკასიის რწმუნებულის პირველ რაიონის წარმომადგენლად და აი ამ ხნის განმავლობაში ამხ. ეწეოდა მძიმე საპასუხისმგებლო მუშაობას. ამხ. იაკო დაუღალავად თავს დასტრიალებდა რკინის გზას.

თუ სადმე ცუღლუტობა და სადმე გაუგებრობა იქნებოდა, ისიც იქ იყო გაჩენილი და ასწორებდა ყოველივეს. იაკო არ ფიქრობდა თავის თავზედ და ყოველთვის საზოგადოებრივ საქმისათვის იყო თავდადებული.

ასეთმა დაუღალავმა მუშაობამ მოქანცა, და აღუნა იაკოს სხეული და ის სამუდამოდ გამოგვეთხოვა. იაკოს ვერ დაივიწყებს ვერც ერთი ამხანაგი, ვინც—კი იცნობდა მას. მშვიდობით იაკო,, შენ დაწყებულ საქმეს ჩვენ დავაბოლავებთ, შენი ხსნება ჩვენს შორის უკვდავი იქნება.

ალ. ცაგარელი.

კურორტებზე

ბალნეოლოგიური კურორტების კეთილმოწყობა

თანხა, რომელიც უნდა დაიხარჯოს ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ყველა კურორტების კეთილმოწყობაზე, უდრის—10.937.000 მანეთს. სხვათა შორის, გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს ორი მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური კურორტის — წყალტუბოსა და ახტალის კეთილმოწყობა.

თავისი რადიო - აქტიური წყაროებით შესანიშნავი და საუკეთესო ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო კეთილმოწყობისათვის საჭიროებს დაახლოვებით 739.000 მანეთს. ამ თანხიდან სამკურნალო დაწესებულებებს (50 აბაზანის, 50 საწოლიან სანატორიუმის და სხვ.) ასაგებათ განზრახულია დაიხარჯოს 294.500 მანეთი; წყალსადენის, ელექტრო - სადგურის, კურზალის და რესტორანის ასაგებად გამოთხოვილია 319.500 მანეთი; საბინაო ფონდის გასაფართოებლად (ახალი სახლების ასაგებად და ძველი შენობების შესაკეთებლად) საჭიროა—125.000 მანეთი.

მეორე ბალნეოლოგიური კურორტის — ახტალის კეთილ-მოსაწყობათ გეგმით გათვალისწინებულია 494.000 მანეთის დახარჯვა. ამ თანხიდან სამკურნალო დაწესებულებები (ტალახის სამკურნალოების, 50 საწოლიან სანატორიუმის ასაგებად და სხვ.) საჭიროა 200.000 მანეთი; წყალსადენის გასაყვანად. კანალიზაციის მოსაწყობად, რესტორანის ასაგებად და სხვა მსგავს კეთილმოწყობისათვის საჭიროა 109.500 მანეთი. საბინაო ფონდის გასაფართოებლად (ახალი სახლების ახაგებად და ძველი შენობების შესაკეთებლად) 185.000 მანეთი.

მდგომარეობა კურორტებზე

მთავარ საკურორტო სამმართველოში მიღებული ცნობებით რესპუბლიკანურ მნიშვნელობის კურორტებზე ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

გასული კვირის განმავლობაში კურორტებზე ცუდი დარი დაიჭირა. მოდიოდა განუწყვეტელი წვიმები და ხშირად ადგილი ჰქონდა სეტყვასაც. ამინდი უკანასკნელ დღეებში გამოკეთდა.

პურის კრიზისი შესამჩნევი გახდა მხოლოდ პარასკევს, შაბათს და კვირას. აცხობდენ უმთავრესად შავ პურს, რომელსაც ურიგებდენ კერძო მოაგარაკეებს. სანატორიუმებს და პანსიონატებს პური არ შემოკლებიათ. პურის კრიზისი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ბორჯომში, წაღვერში და ნაწილობრივ აბასთუმანშიაც. ორშაბათიდან კურორტებზე მიღებულ იქნა პურის ფქვილის ახალი პარტიები და ამჟამად ყველა კურორტებზე ცხვება პურის საკმაო რაოდენობა.

კურორტებზე ჯერ - ჯერობით არაა თავისუფალი ადგილები. გასაქირავებლათ იშოვება მხოლოდ კერძო ბინები, რომელთაც სტოვებენ ცუდი ამინდებისაგან შეწუხებული მოაგარაკეები. რამოდენიმე ადგილი მოიპოვება ამჟამად მხოლოდ ცემის სანატორიუმში. 1-ლი სექტემბრიდან კი ადგილები განთავისუფლდება თითქმის ყველა სანატორიუმებსა და პანსიონატებში.

საზაფხულო საგარაკო სეზონი დასრულდება — ცემში და წაღვერში 15 სექტემბერს, ბორჯომში 1-ლ ოქტომბერს და აბასთუმანში 1-ლ ნოემბერს.

აგარაკის მოწყობა ფუნიკულიორზე

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების სატყეო სექცია შეუდგა ტყის გაშენების საქმეს ფუნიკულიორზე. ტყის გასაშენებელი მიდამოები უკვე დაგეგმილია და შემოღობილია ეკლიან მავთულით.

იმ მიზნით, რომ ფუნიკულიორის მიდამოებს მიეცეს აგარაკის სახე, განზრახულია ამ ადგილებზე გაშენებული ტყეები შეუერთონ კოჯორის ტყეებს.

ფუნიკულიორზე ტყის გაშენებასთან დაკავშირებით, აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახვა აქვს ფუნიკულიორი აქციოს აგარაკათ. ამ მიზნით ფუნიკულიორზე მომავალწლიდან შეუდგებიან საგარაკო სახლების აგებას, პირველ დახმარების საექიმო დაწესებულებების მოწყობას, წყალსადენის გამოყვანას და სხვ.

განზრახულია ამასთან ერთად ფუნიკულიორზე მოეწყოს საზაფხულო თეატრი, კინო, ფიზკულტურის მოედანი, კოოპერატივი და სხვ.

პროფ. ადლერის ექსპედიცია აფხაზეთში

პროფ. **ადლერის** ანტროპოლოგიურმა და მედსანიტარულმა ექსპედიციამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა აფხაზეთში. კოდორის მაზრაში ექსპედიციამ გამოიკვლია მთელი რიგი სოფლები. სოხუმის მიდამოებში შესწავლილია გერმანელი კოლონისტები.

ექსპედიციის მუშაობამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. ანტროპოლოგიურად შესწავლილი არიან ზანგები, გერმანელები, მეგრელები ქართველები და აფხაზები. გამოკვლევის მასალების დამუშავება რამდენიმე თვეს გასტანს. დამუშავება მოხდება როგორც მოსკოვში, ისე სოხუმში. მიმდინარე წლის დასასრულში მზად იქნება გამოკვლევის შედეგები და დაიბეჭდება რომელიმე სამეცნიერო ორგანოში.

პროფ. ადლერის ექსპედიციამ თავისი მუშაობით საძირკველი ჩაუყარა აფხაზეთის ანტროპოლოგიურად შესწავლას.

საგლეხო სესხი

მე-3-ე საგლეხო სესხის ობლიგაციების განაწილება

მე-3-ე საგლეხო სესხის ობლიგაციები 160.000 მან. რაოდენობით საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა გაანაწილა შემდეგნაირად: ქუთაისის განყოფილებას—45.600 მან.; სიღნაღის განყოფილებას — 38.000 მან.; აჭარისტანის სას. სამ. ბანკს, ოზურგეთის რაიონში მყოფ საკრედიტო ამხანაგობათა შორის გასანაწილებლათ — 15.000 მან.; ბანკის გამგეობის წევრებს კლიენტთა შორის გასავრცელებლად —8.000 მან.; თელავის, თბილისის, დუშეთის, ბორჩალოს, გორის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრების და სამხრეთ ოსეთის სას. სამ. საკ. ამხანაგობებს გაუნაწილა სულ 53.400 მან.

ლითონის ახალი ქარხანა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. ს. საგეგმო - ეკონომიურ სამმართველოს რწმუნებული ა.-კ. რესპუბლიკების მრეწველობის შესწავლის საქმეში ინჟ. ლ. ბალდასაროვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსებული იყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა თბილისში ახალი დიდი ლითონის ქარხნის აგების საკითხი და საქართველოს ლითონტრესტის ფინანსიური მდგომარეობა. კომისიამ განიხილა საქ. ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილი მასალები ხსენებულ საკითხის შესახებ და პრინციპიალურათ მიიღო, რომ თბილისში არსებული ყველა ლითონის გადამამუშავებელი ქარხნები გაერთიანებულ იქნას ერთ დიდ ქარხანაში.

მიუხედავათ კომისიის ხანგრძლივი მუშაობისა. მაინც დარჩა გამოურკვეველი რამოდენიმე საკითხი და ამ საკითხების შესასწავლად გამოგზავნილი ვარ ამჟამად საქართველოში. ჩემს ამოცანას შეადგენს გამოვარკვიო: რამდენად მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული ქარხნების გაერთიანება, გამოდგება თუ არა ახალი ქარხნისათვის ძველი მანქანები და მოწყობილობანი და რა და რა მანქანები უნდა იქნას შეძენილი.

აღნიშნული მუშაობის დასრულების შემდეგ დავალებული მაქვს აგრეთვე შევისწავლო საქართველოში ამჟამად მიმდინარე ახალი ქარხნების მშენებლობა უპირველესად ყოვლისა შეუდგები თბილისის მაუდის ფაბრიკის აშენების საქმის შესწავლას და შემდეგ აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების და ტყავის ახალი წარმოების და სხ. ფაბრიკა - ქარხნების აგების საქმის გამოკვლევას.

ყველა აღნიშნული სამუშაოების დასრულებას ჩემის ვარაუდით მოვასწრებ ორ კვირაში.

სახლთმფლობელთა ეკონომიური გამოკვლევა

თბ. აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან შეთანხმებით ამჟამად თბილისში აწარმოებს სახლის მფლობელთა ეკონომიურ გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია, გამოარკვიოს თუ სახლის პატრონები როგორ უვლიან სახლებს და რამდენს ხარჯავენ ქირიდან შემოსულ თანხებიდან სახლების შესაკეთებლად და სხვ.

ამჟამად კერძო პირების ხელშია 11.768-მდე სახლი, თბილისის აღმასკომის გამგებლობაში იმყოფება 289 მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლი, ამის გარდა საბინაო - საიჯარო ამხ-ბებს გადაცემული აქვთ 214 სახლი. გამოკვლევა შეეხება, როგორც კერძო სახლის მფლობელთ, ისე საბინაო - საიჯარო ამხ-ბებს.

ხე-ტყის რეალიზაცია

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა საბჭოთა კავშირის უცხოეთის და აგრეთვე ადგილობრივ ბაზარზე გასაღა 2.259.988 მანეთის პროდუქცია. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გასაღებულია 22,6 პროცენტით მეტი ხე-ტყის მასალა. კერძოთ ადგილობრივი წიწვიანი ხე-ტყე გასაღებულია 602.462 ვერშოკი, სულ 737.650 მანეთის ღირებულებისა; რუსეთიდან შემოზიდული ხე-ტყე 111.899 ვერშოკი 146.994 მანეთისა. ამჟამად საქართველოს სატყეო ტრესტი ადგილობრივ ხეტყის ბაზრის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს 70 პროც.-ით. საოპერაციო გეგმის მიხედვით მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე ნახევარში განზრახულია გასაღებულ იქნეს 2.932.500 მანეთის პროდუქცია.

სასოფლო სამ. ბანკში

სესხი მევენახეობისათვის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაანაწილა გრძელ ვადიანი სესხი მევენახეობისათვის 20.000 მანეთის რაოდენობით. სესხი განაწილებულია შემდეგნაირად: სას. სამ. ამხ-ბა „ახალ კახეთს", თელავის სას. სამ. საკ. ამხ-ბის მეშვეობით — 6.000 მან.; ძვ. გავაზის სას. სამ. საკ. ამხ-ბა „ბეჟანიანს" — 3.000 მან.; ახმეტის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობას—2.000 მან.; სას. სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებისათვის გადასაცემათ გამოყოფილია 9.000 მან. გამგეობას მიზანშეწონილათ მიაჩნია ამ თანხის თანაბრათ განაწილება ჰრებალოს, გორას და კაცხის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობების შორის.

5.000 მან. სესხი გორის ს. ხ. საკ. ამ-ას

საქართველოს სას. სამ. ბანკმა დააკმაყოფილა გორის სას. სამ. საკ. ამხ-ბის შუამდგომლობა — მუშა - საქონლის შესაძენათ და ბოსტან - ბაღ-ვენახების დასამუშავებლად 5.000 მან. სესხის მიცემის შესახებ.

ვადის გაგრძელება

ა. კ. და საქართველოს სას. სამ. ბანკებმა დაადგინეს: გაუგრძელონ სას. სამ. საკ. ამხანაგობებს მათთვის ძირითად თანხების გასაძლიერებლათ მიცემულ სესხის გადახდის ვადა.

20.000 მან. თხილის დასამზადებლათ

საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკმა დაადგინა მისცეს სესხი 20.000 მან. რაოდენობით დასავლეთ საქართველოს იმ სას. სამ. საკ. ამხანაგობებს, რომელთაც ხელშეკრულება აქვთ დადებული „სოფლის კავშირთან" თხილის დამზადების შესახებ.

ჯანმრთელობის საქმე

ქუთაისის მაზრაში

ჯანსახკომის ქუთაისის განყოფილებამ გასულ თვეში მოახდინა ამავე მაზრის მოსახლეობის გამოკვლევა და ადგილებზე მომუშავე სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ სამკურნალო პუნქტები ვერ არიან უზრუნველყოფილნი საჭირო სამკურნალო იარაღებით, ამავე დროს ბევრი მათგანი იმ ყოფება უვარგის შენობებში.

მიუხედავათ ამისა, ექიმები დიდ ენერგიას იჩენენ, და გლეხებშიაც დიდი ნდობა აქვს დამსახურებული ექიმების მუშაობის წყალობით გლეხებმა ზურგი აქციეს ექიმბაშებს და ყოველ შემთხვევის დროს მიმართავენ ექიმს.

გასულ წელთან შედარებით, წელს მაზრაში გაზრდილია პატარა საავადმყოფოების რიცხვი, რომლებიც სათანადოთ არიან მოწყობილი. მომავალ წელში განზრახულია მაზრაში დამატებით გაიხსნას 10 ახალი საავადმყოფო. (ამჟამად არის 30 საავადმყოფო) და სათანადოთ იქნეს ყველა საექიმო პუნქტები ხმოწყობილი.

რკინის გზებზე

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ ექსპერტებათ მიიწვია პროფ. **სუშკინი და სიროტინსკი.**

გუშინ ექსპერტები სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების უფროსთან, ინჟ. **გ. შახბუდაგოვთან** ერთად გაემგზავრენ საუღელტეხილო უბანზე მუშაობის მიმდინარეობის გასაცნობად.

ნავთის აუზის გადაცემა

ა.-კ. რკ. გზამ ცეკავშირს იჯარით დაუთმო ერთი ნავთის აუზი სად. მცხეთაში.

ამ აუზში ცეკავშირს განზრახვა აქვს შეინახოს ნავთი, რომელსაც იგი შემდეგ მიაწვდის მახლობელ სოფლის გლეხობას.

მეორე ხაზი მცხეთა - ავჭალას შუა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გადასწყვიტა მცხეთა-ავჭალას შუა გაიყვანოს მეორე რკ. გზ. ლიანდაგი. მიწის სამუშაოები ხაზის გასაყვანად მიენდო მშრომელთა არტელ „მარდს".

მინდობილ სამუშაოების ღირებულება უდრის 28.500 მანეთს

გზის წალეკვა

16 აგვისტოს აბაშაში მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ წალეკა სად. აბაშასთან რკ. გზ. ხაზი ორი კილომეტრის მანძილზე.

ამის გამო მატარებლების მოძრაობა შესწყდა.

მიღებულ ზომებით მოძრაობა აღდგენილ იქნა ორი საათის შემდეგ.

გზაში გაჩერდა სახალხო და საქონლის მატარებელი.

გრიგალი

16 აგვისტოს ჯულფას მიდამოებში ამოვარდა ძლიერი გრიგალი. სად. ჯულფის სარემონტო ხაზიდან ქარმა გაიტაცა 14 ვაგონი.

მოტაცებული ვაგონები დაეჯახენ საყრდენობ ძელს. რომელიც ამოგლიჯეს და გაჩერდენ.

ქრონიკა

ინჟ. გ. ჭიჭინაძის დეპეშა

ახალქალაქის მაზრაში რძის ნაწარმოებთა გადასამუშავებელი ქარხნის საფუძვლის ჩაყრის გამო ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. **გ. ჭიჭინაძემ** შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს და ქარხნის აგების სამუშაოთა ხელმძღვანელს:

„გულითად სალამს უძღვნი ჯავახეთის გლეხობას და ახალქალაქის სამაზრო ორგანოების ხელმძღვანელებს ძველ ჯავახეთში პირველი ქარხნის საძირკვლის ჩაყრის გამო. გულწრფელი სალამი აგრეთვე ქარხნის ამგებ მუშებს, ინჟენრებს და ტეხნიკოსებს. დაე, ეს პირველი ნაბიჯი იყოს ახალქალაქის მაზრის მრეწველობის ზრდისა და ინდუსტრიალიზაციისაკენ გადადგმული, რომ ამით გაიზარდოს საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა.

ვსწუხვარ, რომ ავათმყოფობამ ხელი შემიშალა დავსწრებოდი თქვენს ზეიმს.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ.
გ. ჭიჭინაძე.

მოქ. ეფენდიარის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან კავკავში გაემგზავრა სპარსეთის ბაქოელი გენერალური კონსული მოქ. ეფენდიარი.

საქონლის მიღება

საქ. სახელმწიფო ვაჭ. საპაიო საზ-ბის გამგეობის სახელზე თბილისში მიღებულია შემდეგი საქონელი — 4 ვაგონი ფანჯრის მინები, 1 ვაგონი თეთრი თუნუქი, 4 ვაგონი სახურავის თუნუქი და 1 ვაგონი რკინეულობა.

გარდა ამისა მიღებულია ფეხსაცმელების დიდი პარტია და სახურავების საღებავი.

მიღებული საქონელი ნაწილდება საზოგადოების მაღაზიებსა და კოოპერატიულ სავაჭროებს შორის.

გარდა ამისა, საზოგადოების გამგეობამ ფეხსაცმელების მოხელეთა არტელს შეუკვეთა ფეხსაცმელების დიდი პარტიის დამზადება.

ახალი საბავშვო ახალშენი

ცაკთან არსებული ბავშვთა დაცვის კომისიის მიერ 15 აგვისტოდან მცხეთაში გახსნილია საბავშვო შრომის ახალშენი, რომელშიაც ჯერჯერობით მოთავსდება 50 ბავშვი. ახალშენში მიღებული არიან ბავშვები სხვადასხვა მაზრებიდან.

ლეჩხუმის მაზრიდან—5, დუშეთის—10. ოზურგეთიდან—5 და ბორჩალოდან—5 ბავშვი. გარდა ამისა, მიღებული არიან ბავშვები ბავშვთა მეგობრების თბილისის საზოგადოებიდან—5, კოლექტორებიდან—5 და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარიდან—17.

უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი გაუქმებულია 15 აგვისტოდან.

ფსიქო-ნევროლოგიური გამოკვლევები

ჯანსახკომის მიერ თელავის მაზრაში მივლინებული იყო ფსიქო-ნევროლოგიური რაზმი მაზრის მოსახლეობის საექიმო შესამოწმებლათ.

რაზმის ხელმძღვანელათ დანიშნულია ექ. **ა. ზურაბაშვილი.** ამჟამად რაზმი უკვე დაბრუნდა თელავის მაზრიდან, სადაც მან დაასრულა დავალებული მუშაობა. ახლო ხანში აღნიშნული რაზმი გაემგზავრება ოზურგეთის მაზრაში იმავე ამოცანების შესასრულებლათ.

12 პროცენტიანი სესხი

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაავალა ბანკის საფინანსო-საკრედიტო განყოფილებას შეუდგეს 1927 წლის საბინაო 12 პროცენტიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციას, ამ მიზნისათვის საფინანსო-საკრედიტო განყოფილებამ ა.-კ. ფინსახკომიდან უნდა გამოითხოვოს საჭირო რაოდენობა ობლიგაციებისა.

ბანკის საინსპექციო განყოფილებას დავალებული აქვს დაუყოვნებლივ აცნობოს რესპუბლიკანურ ბანკებს ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ და წინადადება მისცეს მათ, შეუთანხმდენ თავის რესპუბლიკების ფინსახკომებს და მოაწყონ თავის მხრივ ობლიგაციების რეალიზაცია.

ჭაობების ამოშრობა

დაიწყო მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად ახალ-სენაკში. შემუშავებული გეგმით ამოშრობილი იქნება 160 ათასი დესეტინა ჭაობიანი მიწა. პირველ ხანებში მუშაობა იწარმოებს მდ. რიონსა და მდ. ხოპის შუა 24 ათასი დესეტინა ჭაობის ამოსაშრობად, ახლო ხანში ჭაობების ამოშრობა დაიწყება ფოთის რაიონშიაც, სადაც ამოსაშრობია 3000 დესეტინა ჭაობი.

საბინაო გადასახადი

საბინაო კრიზისთან ბრძოლის მიზნით და საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა, მომავალ წელში გაადიდოს საბინაო ტარიფი. ამჟამად თბილისის საბინაო ტარიფი მოსკოვის საბინაო ტარიფზე 70-80 პროც. ნაკლებია, ხოლო ბაქოს ტარიფზე 60-70 პროცენტით.

ქარხნების გადაცემა

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თბილისის განყოფილებას გადასცა შემდეგი ქარხნები: ხოშტარიასეული საპნის ქარხანა, ყოფ. „მიწის კავშირი"-ს—საპნის ქარხანა, კოჩიევისეული საპნის ქარხანა, ეფრკეტისეული—მაკარონის ქარხანა,„ გალეტის" ქარხანა და სხ.

მცხოვრებთა მოძრაობა

სამოქალაქო აქტების ჩამწერ განყოფილების მიერ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში აღრიცხული იქნა—719 ქორწინება, 205 განქორწინება, 2154 დაბადება, 1052 გარდაცვალება.

თბილისის აღმასკომში

◆ **სასოფლო-სამეურნეო საქმის** გასაძლიერებლად თბილისსა და მის მაზრაში აღმასკომმა გადასდო 74.000 მანეთი.

◆ **ახალი წარმოებათა მოსაწყობათ** აღმასკომი მომავალ საანგარიშო წელში სპეციალური სახსრებიდან გაიღებს 2.186.000 მანეთს.

◆ **შუშის ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა თბილისში ააგოს შუშის ქარხანა.

◆ **საუტილიზაციო ქარხანა.** თბ. აღმასკომმა დაადასტურა ადგილობრივი მრეწველობის განყოფ. დადგენილება თბილისში ერთი საუტილიზაციო ქარხნის აგების შესახებ. ქარხნის აგებას შეუდგებიან მომავალ საანგარიშო წლიდან.

◆ **ლ. სუხიშვილის სახელობის მილიციელთა** სკოლა დაამთავრა 80 კაცმა.

◆ **მაზრის ყოველ აგრონომიულ** რაიონში წელს მოეწყო გლეხებისათვის საჩვენებელი ნაკვეთები, რომლებზედაც დეთესა სიმინდი და ხორბლეული მწკრივად.

◆ **საამშენებლო მასალის** გასაიაფებლად აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს საამშენებლო მასალების დამამზადებელი ორგანიზაციები.

◆ **შრომის ბირჟაში** თბ. აღმასკომი აწყობს სალოდინო დარბაზს.

შრომ. სახ. კომისარიატში

◆ **ახალი კოლექტივი.** ახლო ხანში უმუშევარ ახალგაზრდობისათვის მოეწყობა მეჩექმეთა ახალი კოლექტივი.

◆ **ახალი საზოგადო სამუშაოების** მოსაწყობად შრ. სახ. კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია.

◆ **უმუშევართა სასადილოში** ყოველდღიურად უფასო სადილი ეძლევა 600 უმუშევარს.

◆ **საბჭოთა მუშაკების კავშირის** უმუშევარ წევრთათვის დახმარების გასაწევად გადაიდო 1000 მანეთი.

◆ **შრომის პირობების შესასწავლად** მაზრებში დაიგზავნებიან შრომის დაცვის ექსპედიციები.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობაში

◆ **თათბირი.** პოლიტგანათლების მთავარმმართველობა სექტემბრის პირველ რიცხვებში იწვევს თბილისში მაზრების პოლიტგანათლების განყოფილებების გამგეების თათბირს.

◆ **25 აგვისტოს თბილისში** შესდგება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთა თათბირი.

◆ **ლექტორების კურსები.** თბილისში ამ დღეებში გაიხსნება პოლიტგანათლების სკოლების ლექტორთა მოსამზადებელი კურსები.

◆ **მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები** წელს თბილისში დაამთავრა 1637 კაცმა.

◆ **მეთოდიური ბიურო.** წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებელთათვის ხელმძღვანელობის გასაწევად თბილისში დაარსდა მეთოდიური ბიურო.

განათლების კომისარიატში

◆ **გლეხები აგებენ სკოლას.** სოფ. სალაურის (ოზურ. მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს თავიანთი საშუალებით ააგონ 4-წლედისათვის სკოლის შენობა.

◆ **სოფლის ახალგაზრდობისათვის** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება საცდელ-საჩვენებელი სკოლა.

◆ **კოლოკვიუმები** თბილისის ყველა სკოლებში დაიწყება პირველ სექტემბრიდან.

◆ **ელექტრო-ტეხნიკურ კურსებზე** შემსვლელებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ საზოგადოებათმეცნიერებაში, ქართულში, მათემატიკაში, გეოგრაფიაში და ფიზიკაში.

ჯანსახკომში

◆ **უფასო ექიმობა.** ყველა შრომის უუნარობაკლებულს და უმწეო მოქალაქეს, რომლებიც ღებულობენ პენსიას, შეუძლიათ უფასო ექიმობით ისარგებლონ ჯანსახკომის სამკურნალო დაწესებულებებიდან.

◆ **რაიონულ ექიმების** მუშაობის მოსაწესრიგებლად ჯანსახკომმა შეიმუშავა ახალი გეგმა.

◆ **კურორტ წყალტუბოში** საკურორტო სამმართველო აგებს 67 ოთახიან სასტუმროს.

◆ **ახალი საავადმყოფოები.** ჯანსახკომი უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისში გახსნის 5 ახალ საავადმყოფოს.

სხვადასხვა

◆ **ლენინის უბანში** ამ დღეებში გაიხსნება დედათა და ბავშვთა სახლი.

◆ **ლითონის ქარხანა.** ახლო ხანში დიდუბეში შეუდგებიან ლითონის ქარხნის აგებას.

— **240 მანეთი თვითმფრინავის ასაშენებლად.** თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებელ ფონდის გაძლიერების მიზნით „სამშენი"-ს ადგილკომმა გაიღო 240 მანეთი.

ავიაქიმში

საბჭოთა კონსტრუქციის ნიღბები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა მოსკოვიდან მიიღო 50 ცალი საბჭოთა კონსტრუქციის ნიღაბი. აქედან 40 ნიღაბი შეიძინა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ პირველ დახმარების წრეებისათვის, ორი გორის თავდაცვა-ავიაქიმმა და ერთი— საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატმა.

მსურველებს ნიღბების შეძენა შეუძლიათ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში. თითეული ნიღაბი ღირს 10 მან. 57 კაპეიკი.

თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად

ა. კ. რკინის გზის საგზაო კომიტეტმა საკავშირო თანხებიდან, ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 2.000 მანეთი.

ამასთანავე საუბნო კომიტეტებს მიეცათ წინადადება, უბნებზე ჩაატარონ კამპანია თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

საუბნო კომიტეტებს მიეცათ წინადადება ჩაატარონ მუშაობა რკინის გზელებს გასამხედროების დარგში. ამ მიზნისათვის მათ ადგილებს უნდა დაუგზავნონ ინსტრუქციები სასროლო წრეების, ტირების და სამხედრო-ფიზიკური გუნდების მოწყობის შესახებ.

თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო კუთხეები

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში სასროლი ტირების და სამხედრო კუთხეების მოწყობამ თბილისში ფართო ხასიათი მიიღო. მუშათა კლუბებში და წარმოებებში მოწყობილია უკვე 33 სასროლი ტირი და სამხედრო კუთხე, სადაც პროფსაბჭოს კულტგანყოფილება სისტემატიურად მუშაობას აწარმოებს. კულტგანყოფილება ტირებს აწვდის ვინტოვკებს, ვაზნებს, სამხედრო ლიტერატურას და სხვ.

ახალი მუშათა კლუბი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს კლუბების წევრების ჩასაბმელად სამხედრო წრეებში. სამხედრო მეცადინეობის ხელმძღვანელად ამ კლუბის სამხედრო წრეებში მოწვეულნი არიან კავკასიის წითელდროშოვან არმიის ინსტრუქტორ - თანამშრომლები. ახალ მუშათა კლუბის წევრებს ნება დართული აქვთ აგრეთვე ივარჯიშონ კავკასიის წითელ დროშოვან შტაბთან არსებულ მსროლელთა ტირში.

სავაჭრო და საბჭოთა მუშაკების კლუბში კარგად არის დაყენებული სამხედრო თეორიული მეცადინეობა. ამავე კლუბში ინტენსიურად მუშაობს აგრეთვე მსროლელთა ტირი.

ყველაზე უფრო მოისუსტებს სამხედრო უჯრედების მუშაობა ცენტრალურ მუშათა კლუბში. ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ უჯრედებს არ ყავს გამოცდილი ხელმძღვანელები.

საბჭოთა სასამართლო

ქუთაისელ თავდამსხმელების საქმე უზენაეს სასამართლოში

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბოცვაძის** თავმჯდომარეობით ქუთაისში გაარჩია ყაჩაღების: **გიორგი ალექსანდრეს ძე თევზაძის, ვასილ არსენის ძე თევზაძის, ესაია მიხეილის ძე მინაშვილის, გიორგი სოლომონის ძე თევზაძის, ეზეკია მოსეს ძე ადეიშვილის, არსენ თედორეს ძე გიორგაძის, კალისტრატე სოფრომის ძე კაცაძის, პორფირე ბესარიონის ძე მეფარიშვილის და გიორგი ილარიონის ძე თევზაძის** საქმე.

რამოდენიმე წლის წინად ამ ცხრა კაცმა შეკრა პირობა და დაიწყეს ყაჩაღობა. ყაჩაღები სიკვდილის მუქარით აწარმოებდენ გლეხების ოჯახების აწიოკებასა და დარბევას.

ამას წინად სამტრედიის მილიციის უფროსმა **ნადირაძემ** შენიშნა. რომ სოფ. ტობანიერის მცხოვრები ესაია მინაშვილი კოჭლობდა. ნადირაძე შეეკითხა, თუ რა დაემართა მას ფეხზე. მინაშვილმა უპასუხა, რომ ღობეზე გადმოსვლის დროს იღრძო. ნადირაძემ სასწრაფოდ გაჩხრიკა მინაშვილის ბინა და აღმოაჩინა ნაძარცვი ნივთები. იქვე აღმოაჩინეს ბარათი, რომელშიც მინაშვილი სწერდა თავის ყაჩაღ ამხანაგებს:

„თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ მე გაძარცვის დროს დავიჭერი, მაგრამ არც ერთი თქვენგანი არ მოსულა დასახმარებლად. გიცხადებთ, რომ თუ თქვენ არ გამიწევთ დახმარებას ფეხის მორჩენაში, მთავრობასთან გაგამხელთ".

ამ წერილმა ყველაფერი გამოარკვია. მალე დააპატიმრეს დანარჩენი ყაჩაღებიც.

ოლქის სასამართლომ გიორგი ალექსანდრეს ძე თევზაძეს, ვასილ არსენის ძე თევზაძეს, ესაია მინაშვილს, გიორგი სოლომონის ძე თევზაძეს და ეზეკია ადეიშვილს **მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით.**

არსენ გიორგაძეს, კალ. კაცაძეს, პ. მეფარიშვილს და გიორგი ილარიონის ძე თევზაძეს **მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და სამი წლით სამოქალაქო უფლების შეზღუდვა.**

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ ამხ. **შომახიას** თავმჯდომარეობით.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ გიორგი ალექსანდრეს ძე თევზაძის და ვასილ არსენის ძე თევზაძის **საკასაციო საჩივარი დასტოვა უშედეგოთ, მათ მიმართ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა მიზანშეწონილად სცნო და დაამტკიცა.**

ესაია მინაშვილს, გიორგი სოლომონის ძე თევზაძეს და ეზეკია ადეიშვილს უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა **შეეცვალათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით თვითეულს, სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.**

დანარჩენ მსჯავრდადებულთა მიმართ სასამართლომ ძალაში დასტოვა ოლქის სასამართლოს დადგენილება.

ძმისშვილის მკვლელი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით დაიწყო **დიმიტრი ოთარაშვილის** საქმის გარჩევა.

ოთარაშვილს ბრალდება ძმისშვილის მოკვლა.

ბრალს სდებს პროკურორი **ქავთარაძე,** ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ი. ბარათაშვილი.**

დიმიტრი ოთარაშვილსა და მის ძმას ზურაბს შორის ჩხუბი და დავიდარაბა არსებობდა იმის გამო, რომ ზურაბს დიმიტრის ემართა 10 მანეთი. ა. წ. 1-ლ იანვარს, დიმიტრი ეწვია სტუმრათ ზურაბს. ქეიფის დროს ძმები წალაპარაკდენ. დიმიტრიმ პირისსახე დაუსისხლიანა ზურაბს. ამ სურათს უყურებდა დიმიტრის ძმისშვილი კირილე, რომელმაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი მისი მამის გალახვის გამო. ამის შემდეგ ბიძა—ძმისშვილს შორის გამწვავებული მდგომარეობა დარჩა.

ერთხელ დიმიტრი ოთარაშვილი სტუმრად იყო ვინმე დემეტრაშვილის ოჯახში, სადაც მივიდა კირილე და მოინდომა ბიძასთან შერიგება.

— „მე შენ გეუბნები, სადაც მე ვიქნები, იქ არ გამოჩნდეო" — მიაძახა დიმიტრიმ თავის ძმისშვილს და საცემად წაიწია. დიმიტრის მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს სახლში. გზაში სულ იმას იძახოდა:

„რაც არ უნდა დამიჯდეს კირილე უნდა მოვკლაო".

დიმიტრი არ ისვენებს... საღამოს იგი გამოდის ლეჩხუმის შესახვევში, ქუჩის მეორე მხარეს უცაბედათ გამოჩნდა კირილე, რომელიც დოლს უკრავს და თავის ამხანაგებთან ერთად მოიმღერის. დიმიტრი სწრაფად მივარდება კირილესთან და გულში ჩასცემს დანას.

— ბიძაჩემო, რა დაგიშავე, რომ მომისპე სიცოცხლე, — ამოიკვნესა კირილემ და იქვე გარდაიცვალა.

დ. ოთარაშვილი დააპატიმრეს.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული, რომელმაც განაცხადა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა არა წინასწარი განზრახვით, არამედ სიმთვრალის გამო.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

მტრედების გამოფენის და შეჯიბრის შედეგები

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ წ. ა. ფ; ს.-ის საზაფხულო ბაღში მოწყობილი პირველი გამოფენა და შეჯიბრი დამთავრდა 16 აგვისტოს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 371 მტრედი. აქედან 179 საფოსტო, 182—მოყვარულების და 10—საფოსტო-მოყვარულების.

მოყვარულ მტრედებისაგან გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა.

გამოფენაზე ამასთანავე წარმოდგენილი იყო გაწვრთნილ მტრედების ოთხი მოძრავი სადგური, აქედან ერთი სადგური აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმის იყო.

15 აგვისტოს გაიმართა მტრედების შეჯიბრი, რაც გაგრძელდა დღე-ნახევარს.

შეჯიბრში პირველი ფასიანი ჯილდო მიიღო № პოლკის საკავშირო ოცეულმა. მეორე ფასიანი ჯილდო მიიღო საკავშირო ბატალიონმა.

ქების სიგელი მიიღო № ქართული დივიზიის საკავშირო ასეულმა, № მსროლელთა დივიზიის საკავშირო ოცეულმა და № სომხის დივიზიის საკავშირო ასეულმა.

საუკეთესო ექსპონანტებისათვის პირველი ფასიანი ჯილდო მიიღო სალაშქრო მოძრავმა სადგურმა. ქების სიგელი კი № ქართული და № სომხეთის საკავშირო ასეულებმა.

ჯიშიან მტრედების წარმოდგენისათვის მოყვარულთაგან პირველი ფასიანი ჯილდო მიიღო ს. აშჩიანცმა, მეორე ჯილდო საუკეთესო საფოსტო მტრედებისათვის—შკანინმა.

პრემიების სახით მიეცათ თითო წყვილი საფოსტო მტრედები: **ჰეილისს, დეიტინს, ნ. პოპოვს, ნევზოროვს, ტ. ბაგრატუნს, გ. ყორღანოვს, ს. არუთინოვს, მ. რახმანოვს, ნ. სემიონოვს და მირზოიანს.**

ქების სიგელები მიეცათ მემტრედეებს: **ა. სტეფანოვს, ს. ბუჯიაშვილს, ი. შკინინს, მ. მანჩაროვს, ლ. ალიშანოვს, ბალახოვსკის (ბათომიდან) ვ. მეიბომს და მამედოვს.**

მტრედების გამოფენისა და შეჯიბრის შედეგების შესახებ კ. წ. ა. შტაბის საკავშირო ნაწილის უფროსმა ამხ. **ბაჩმანოვმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

— ამ გამოფენამ ფართო მასებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ყოველ დღიურად გამოფენას საშუალოდ 200-ზე მეტი კაცი ესწრებოდა. უკანასკნელ დღეს კი გამოფენა ინახულა წითელ-არმიელთა ექსკურსიამ 1.500 კაცის შემადგენლობით.

ჩვენს მიზანს შეადგენდა ფართო მასებში მემტრედეობისადმი ინტერესის გამოწვევა და ამ მხრივ ჩვენ მივაღწიეთ მიზანს მით, რომ ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმთან დაარსდა მემტრედეობის სექცია, რომელშიაც უკვე ჩაეწერა 24 მემტრედეობის მოყვარული.

ეს პირველი ცდა კარგად ჩატარდა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგში უფრო უკეთეს შედეგებს მივაღწევთ.

შემთხვევები

თვითმკვლელობა მამის შიშით

კვირას, 14 აგვისტოს, ღამით, სისხლის სამართლის მილიციას აცნობეს, რომ პეროვსკაიას (ყოფ. ანასტასიევსკაია) ქუჩაზე (სახლი № 3-ში), თავი მოიკლა ვილაც ახალგაზრდა ქალმა.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები და მორიგე გამომძიებელი **მ. ნოზაძე.**

დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ქალის გვამი მოთავსებული იყო პირაღმა ლოგინზე, გვამის მარჯვენა ხელიდან დაახლოვებით ერთი მეტრის მანძილზე იატაკზე ეგდო ნაგანის სისტემის რევოლვერი.

გამოირკვა, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას.

ქალი აღმოჩნდა **ტატიანა ნიკოლოზის ასული ბარანოვსკაია (22 წლისა).**

თვითმკვლელობას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება: რამოდენიმე დღის წინათ ტატიანა ბარანოვსკაიას უსიამოვნება მოსვლია მამასთან იმის გამო, რომ მამას შეუნიშნავს იგი ახალგაზრდა ვაჟებთან. მამამ წინადადება მისცა შვილს თავი დანებებია „ხეტიალისათვის".

ბარანოვსკაიას ქალი დაშინებული იყო და როცა ვაჟებთან სეირნობის დროს მამას დაინახავდა—გარბოდა.

ა. წ. 13 აგვისტოს, მამამ დაინახა, რომ ტატიანა ვილაც ვაჟს მიჰყვებოდა ქუჩაში. ქალი მამის დანახვაზე ძლიერ შეკრთა და შეეცადა დამალულიყო. ამ მიზნით მან სწრაფათ აირბინა პეროვსკაიას ქუჩაზე მდებარე მე-4-ე ნომერ სახლის 1-ლ სართულზე. ამ სახლის აივანზე ქალი ამოეფარა მახლობელ ოთახს. აივანზე დამალული ქალი უეცრივ შენიშნა იმავე ოთახის მდგმურმა ნ. პ.. ამ უკანასკნელის შეკითხვაზე, თუ რა უნდა იქ მას, ბარანოვსკაიას ქალმა ათრთოლებული ხმით უპასუხა:

—„გაჩუმდით, კრინტიც არ დასძრათ, მომდევენო"...

ნ. პ. მართლაც შენიშნა ვილაც უცნობი კაცი, რომელიც სახლის კიბესთან იცდიდა.

ნ. პ—მ ბარანოვსკაიას ქალი, მისივე თხოვნით, შეიყვანა ოთახში. შემდეგ ნ. პ. წავიდა საქმეების გამო, ხოლო ქალი დასტოვა ბინაზე. დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ ნ. პ. დაბრუნდა სახლში და ნახა მკვდარი ქალი.

გუშინ, ამხ. ნოზაძემ ამ საქმის გამო დაკითხა მთელი რიგი მოწმეები. მდგმურებმა აღნიშნეს, რომ როცა მათ ოთახიდან მოესმათ რევოლვერის ხმა, ნ. პ. 15 წუთით ადრე გასული იყო ოთახიდან.

ბარანოვსკაიას მამამ დაადასტურა, რომ შვილს ძლიერ ეშინოდა მისი და როცა ვაჟებთან სეირნობის დროს სადმე შენიშნავდა მას, იმალებოდა.

ავტომობილის დაჯახება

გუშინ, დილის 10 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე (№ 31 სახლის პირდაპირ მოქ. შალვა ნესტორის ძე სვანიძეს დაეჯახა კერძო ავტომობილი და მძიმედ დააშავა.

სვანიძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

შოფერი **ნიკოლოზ ფუტურიძე** დაპატიმრებულია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **საკანდიტეროს გაქურდვა.** 16 აგვ. კახეთის ქ., № 1, გაქურდეს სოფიო ელისბაროვის საკანდიტერო.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 16 აგვ. არხანგელის ქ., № 26. სუმბატ კატანჯიანცის ბინიდან მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ **ცეცხლი.** 16 აგვ. 19 თებერ. ქ., № 73, ბეტიაშვილის სასადილოს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ **ტრამვაის რონოდაში** სადგურის ჭუჩაზე ევგენია პეტროვას მოპარეს სხვადასხვა წვრილმანით სავსე კალათა.

ხელოვნება

ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი

ალორძინების გზაზე შემდგარ ქართულ მუსიკალურ ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით ცოტა მოიპოვება ნამდვილი სიმფონიური (საკონცერტო) ხასიათის ნაწარმოები. ახალგაზრდა კომპოზიტორთა პლეიადიდან მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს უმთავრესად სიმფონიური მუსიკის დარგში. ახალგაზრდა მუსიკოსების ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი იმყოფება ძიების პერიოდში და მათი შემოქმედების ხასიათი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული სრული სახით. ცნობილ ქართველ კომპოზიტორთაგან სიმფონიური მუსიკის დარგში განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობს კონსერვატორიის რექტორი **დ. არაყიშვილი.** მუშაობა ამ მიმართულებით დაიწყო **დოლიძემაც,** რომელმაც სინტერესო და შინაარსიანი ნაწარმოები შექმნა „ივერიადა"-ს სახით.

13 აგვისტოს კონცერტი სავსებით მიძღვნილი იყო არაყიშვილის ნაწარმოებისადმი. საზოგადოების ფართო ფენებში საკმაოდ იცნობენ მის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე", (რომელსაც სამწუხაროდ ძალიან იშვიათად სდგამენ, საკონცერტო შესრულებითაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებს უდავო ღირსებანი აქვს). ამ კონცერტზე შესრულებული იქნა სიუიტა მისი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", შესავალი და საბალეტო მუსიკა. მაგრამ კონცერტის პროგრამის უმთავრესი ინტერესი მიქცეული იყო კომპოზიტორის ახალ ნაწარმოებზე, მის ახალ კომიკურ ოპერაზე „სიცოცხლე სიხარულია" (ეს ოპერა მომავალ სეზონში დადგმება საოპერო თეატრში). შესრულებულ იქნა მუსიკალური პოლიფონიური შესავალი და საბალეტო მუსიკა. ამ ოპერის ბალეტის ნომრებიდან საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა ორიგინალურ სტილით შესრულებულმა ცეკვის ხასიათმა (განსაკუთრებით პირველი ცეკვის მელოდიურმა სურათმა). ლამაზად იყო შესრულებული მეორე ნაწილიც.

კონცერტი დამთავრდა მეორე საკონცერტო სიუიტის შესრულებით. მისი ნომრებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „ჰიმნი ორმუზდს" (ორმუზდი აღმოსავლეთის მითოლოგიით სინათლის დასაწყისის წყაროა). აქ ლამაზია მელოდია და ხმის თანდათანობითი ზრდა (დინამიკა).

ცეკვათაგან განსაკუთრებით ლამაზია ცეკვა-ფარონგიზი (აღმოსავლური კოლორიტი), მაგრამ ცეკვა ესმერალდა (ესპანური ცეკვის სტილზე დაწერილი ცეკვა) ძალიან მოეწონა საზოგადოებას; იგი გაამეორებინეს სამჯერ.

არაყიშვილის შემოქმედება უფრო ნათლად გამომჟღავნდა ვოკალური მუსიკის (განსაკუთრებით რომანსის) დარგში და ეს მუსიკა მართლაც მშვენივრად შეასრულეს მსახიობებმა **ექსანიშვილის ქალმა** და **ხოფერიამ,** ექსანიშვილის ხმა მეტად მუსიკალურია. ლამაზი ლირიული ბარიტონი აქვს და შესრულების ინტელიგენტობა ეტყობა ხოფერიას, რომელიც ძალიან კარგად ასრულებს ქართული ლირიკის შემოქმედებას.

პ. ბ.

„პროლეტარული მწერლობა" № 7

გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანოს მე-7-ე (ივლისის) ნომერი,

შინაარსი: საბჭოთა მწერლების ფედერაცია—**რედაქცია.** მხატვრული ლიტერატურა: **აკოფ აკოპიანი**—„ქნთერ-ჰორს" (მოთხრობა), **კალე ბობოხიძე**—ლტოლვილი, **სანდრო ეული**—ამბები წარსულიდან, **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—ერთი ახალგაზრდის დღიური (მოთხრობა), **იონა ვაკელი**—ცხოვრების მდინარევ, **კონსტან. ლორთქიფანიძე**—მორიგი მეხანძრე, **ელ. პოლუმორდვინოვი**—ხანძარი (მოთხრობა), **ფრიდონ ნაროუშვილი**—ტყაჩო, თეორია და კრიტიკა; **ს. ამაღლობელი**—პროლეტარული მორალი და პროლეტარული პოეზია. **ბენიტო ბუაჩიძე**—ქართული პროლეტარული პოეზია, **მიხ კახიანი**—კომკავშირი იდეოლოგიურ ფრონტზე. **ვ. ლუარსამიძე**—კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიისათვის. ბიბლიოგრაფია: ვ. ლ—ძე—„ქართული მწერლობა" № 5, **ალ. სულავა**—ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობები, **ბ. ბ—ძე**—სულეიმან თალაკვაძის რომანი „ბრძოლის დიდ გზაზე", **ხ. მამედოვი**—სულეიმან რუსტამის ლექსები.

წიგნი შეიცავს 100 გვერდს და ღირს 70 კაპ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება დიდი კონცერტი იულინას, ლ. კავსაძის და ს. დოლონაძის მონაწილეობით.

— **მედსანშრომის კლუბში** დღეს გაიმართება იუმორისტთა შეჯიბრი.

დღეს კინოებში

აპოლოში—„ძველი ცხოვრებისაკენ".
ეთერში—„ოკეანეს მონები".
დარბაზში—„ეშმაკი ქალაქში".
პალასში—„უსულო".
მინიონში—„ყვითელი პრინცი".
არფასტოში—„ოკეანეს მონები".

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ:

საწარმოო კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია: ციცინო ჩახვაძეს, ალექსანდრე ჯანიაშვილს, ვარვარა ღარიბოვს, სოფიო ჩიტაშვილს, სოფიო გორანაშვილს, მარიამ ხარებავას, არევაკ არაგცოვს, ვართანუშ აგროხოვას, არვენიკ აკოფოვას, ლიდა ბერნშტეინს, სოფიო გიორგაძეს, ერგო ბარკყანიშვილს, აიკანუშ კარამიანს, მარიამ იაშვილს, მლიკერია იაკოვლევას, აგასიმ ავაქოვს, ევდოკიმ სილეხტინს, ვარვარა ხაჩატუროვას, ევა ხანაგოვას, ელენე ბერეკოვას, ელისაბედ ბანიკოვას, სოფიო შიშინას, ანნა ძამოევას, ვართანუშ აბრამიანს, ოლღა ბაგდავაძეს, ანასტასია რამიშვილს, ვერა გაგნიძეს, ელისაბედ ჩერნიშევას, ეკატერინე აკოპოვას, ნიკო ჯინჭველაძეს, თამარა აკოპოვას, გალინა ოგანესოვას, ვერა ობოლაძეს, დავით ბალდასაროვს, ანასტასია ჩიტაიშვილს.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: ალექსანდრე ხუციშვილს, გრიგოლ დომაზოვს, ედუარდ ბეკერს, ვლადიმერ სირაძეს, ვლადიმერ ბეკარევზოვს.

შავ მუშათა მესამე სექცია: ვ. ჯანიბაშვილს, ნ. ტერ-მოსესოვს, პანომეროვს, ს. თანდილოვს, მ. გევორქოვს, ხ. პასტენკოს, ს. საროიანცს, ვ. კოკოევს, ს. პაპიანცს, ს. ალაბაბოვს, ა. ჯიოევს, ტ. ჯიოევს, თ. სვანიძეს, ს [illegible]იხოვს, ე. კოკუევს, შ. ჯეირანაშვილს, ა. კოკოევს, ბ. კოკოევს, ბ. სიმონიანცს, ვ. გრიგოლაშვილს.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექცია: ალექსანდრე გეტმანოვს, ეგნატე ვორობიოვს, არშაკ [illegible]აქოევს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. გ. დოლიძეს და იასონ ბარამიძეს (რომლებმაც დაასრულეს საკავშირო კომპარტიის ცეკასთან არსებული სამაზრო პარტმუშაკების კურსები) ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა შესდგება ხუთშაბათს 18 აგვისტოს, საღამოს სრულ ექვს საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-საგანმანაწილებლო განყოფილების შენობაში.

მიმღებ კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაუგვიანებლად გამოცხადდენ.

დღეს, 18 აგვისტოს, დილის სრულ ცხრა საათზე, საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება იმ კომისიის სხდომა, როემლიც არჩეულია ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამხედრო მოსამზადებელ სკოლაში შემსვლელთა მისაღებად. ყველა ის ამხანაგები, რომლებსაც განცხადებები აქვთ შემოტანილი ზემო აღნიშნულ სკოლაში შესასვლელად. ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდენ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო- საპროპაგანდო განყოფილება რაიონის უჯრედებში მოხსენებების ჩასატარებლად „წითელ არმიაში გაწვევის წესისა და მისი მზადების შესახებ" მომხსენებლად გზავნის შემდეგ ამხანაგებს:

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბა—მომხსენებელი ამხ. **ნამერზელი.** ლიტოგრაფია **იაგნეტინსკი.** პოლიგრაფტრესტის მეოთხე სტამბა **პავერმანი.** გრეხილ ავეჯეულობის უჯრედში **იევლიევი,** პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბა **სოკოლოვი.** თბილისის აღმასკომის პირველი სტამბა **ადამაძე** „ტემქა"-ის უჯრედში **ლივშიცი.** ლენინის სახელობის ფაბრიკა **რახმანი.** სახკომსაბჭო **სუტირინი.** „ზარია ვოსტოკა" **ალაფუზო.** ქალაქის აღმასკომის უჯრედში **ხელაშვილი.** მშენებელთა უჯრედში **ნიკოლაევი.** აგურის ქარხნის უჯრედში **მანუციანი.** ცეკავშირის სტამბის უჯრედში **ხმელევსკი.** თბილისის აღმასკომის მეორე სტამბა **აბაშიძე.** მეხანძრეთა რაზმის უჯრედში **ოლინი.** სახელმწიფო ოპერის უჯრედში **ს. გედევანიშვილი.** ტრანსპორტზე მომუშავეთა უჯრედში **მელნიკოვი.** გემო კვების უჯრედში—**მაკლაკოვი.** პარიკმახერთა უჯრედში **სახარჩუკი.** იუსტიციის სახალხო კომისარიატში **საყვარელიძე.** მიწათმოქმედების სახალხო კომის. **მამულიანი.** ქალაქის ბანკის უჯრედში **სელეზნევი.** „მაშინოტრესტის" უჯრედში **მარკოვინი.** ტელეფონზე მომუშავეთა უჯრედში **ბელიაევი.** ტელეგრაფზე მომუშავეთა უჯრედში **შედრინსკი.** ფოსტა **ეგიკოვი.** გზათა სახალხო კომ. რწმუნ. სამართველოში **ივანოვი.** „რეზინოტრესტის" უჯრედში **კუჩინსკი.** ამ. კ. წყალთა მეურნეობის სამ. უჯრ. **ხარჩეკო.** სოფლის კავშირის უჯრედში **ციხმანი.** „მუზპრედ"-ის უჯრედში **კობზევი.** „მიასტორგი" **პოპოვი.** ბანკების უჯრედში **მარჩენკო.** მუშფაკის უჯრედში **კარაგეზოვი.** „კრასნი ვოინის" უჯრედში **ლიპატოვი.** „საშენი"-ს უჯრედში **ბარინოვი.** სახელმწიფო ბანკის უჯრედში **დიმიტრიევი.** ამ. კ. ფინსახკომის უჯრედში **გავრიში.** სამომხ. საზოგადოება „ბოეც" **კუზნეცოვი.** სახ. უნივერსიტ. და მუშფაკი **ტალახაძე.** ამ. კ. დამზღვევ სალარის უჯრედი **ლიტვაკი.**

ინსტრუქციების მისაღებად მომხსენებლები უნდა გამოცხადდენ ქალაქის რაიკომში 18 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 18 აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების საქალაქო-რაიონულ საბჭოს პლენუმი. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ფუნტაკოვი, კერესელიძე, ხმელევსკი, კალნიცკი, იევლევი, კაპეცკი, ეერემსკი, კარნალო, (ლიტოგრაფია) არაქელოვი, იაცენკო, ნინა ასათიანი, კობეცი, ობიდკო, დიმიტრიევი, მოროზოვი, იანიჩოვი, კუფელი, კაპელნიცკი, სიტნიკოვი, დოვლად-ბეკოვი, ლეჟავა, (ამ. კ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველო), ართლაკვა, ს. პირუმოვი, ჩოჩია, კანცელმახერი, გაზალავა (მილიცია) ბელოკოპიტოვი და ნასარიძე.

დღეს, 18 აგვისტოს, საღამოს 6 ნახ. საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია აგიტ-პროპ-კოლეგიის სხდომა რომელზედაც მოწვეული არიან: ამხ. **გ. ყურულაშვილი, არ. მიქაძე, მარ. ორახელაშვილი, არუთინოვი, ანდღულაძე, ვ. ჯაფარიძე, ფირალოვი, შუშანია, ულენტი, სნეგიროვი, ადამაძე, ასრიბეკოვი, მუშიშვილი, ჟუჟულაძე.**

აღნიშნულ ამხანაგებს ვთხოვთ დროზე გამოცხადდენ.

ცოფის წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში თბილისში გახშირდა ცოფიანი ძაღლები და მათ მიერ მოქალაქეთა დაკბენის შემთხვევები. ამის გამო თბილისის აღმასკომმა შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება, რომლის მიხედვით სასტიკათ აკრძალულია ქუჩებში ძაღლების გამოშვება პირაუკრავათ.

ძაღლებს პირი აკრული უნდა ქონდეს მავთულის ბადით. აგრეთვე პირაუკრავათ ძაღლის გაშვება არ შეიძლება ეზოშიაც, თუ ის დაბმული არ არის.

ქუჩებში პირაუკრავათ გამოშვებული ძაღლები დაჭერილნი იქნებიან და მათი პატრონები პასუხს აგებენ ადმინისტრატიულ წესით.

ქუთაისის რკინის გზის კვანძის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველას ძველი რევოლიუციონერ ბოლშევიკის, გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, პირველ რაიონის წარმომადგენლის

ამხ. იაკობ კონსტანტინეს ძე
შარიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 18 აგვისტოს, ძმათა სასაფლაოზე დაბა ხარაგოულში. (შ)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები—ოლია, ქსენია, ეკატერინე, თალიკო, ნატაშა, მიშა, საშა და გრიშა, რძლები ეკატერინე, ლიდა და ბებე, სიძეები ვანო მაჭავარიანი, ნიკოლოზ ხომერიკი და მიშა ქვარიანი, შვილიშვილები—თინა, ნონა, [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელი და მუდამ დაუვიწყარ

ალექსანდრე გიორგის-ძე
ქუთათელაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში ა-წ. 20 აგვისტოს შაბათს საღამოს 5 საათზე. 1—1 3592

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

11—0 ნ. 1388

ლამაზი ქალი ბარბარა ბერფორდი მხატვრულ შედევრში
„ოკეანეს მონები"
სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით.
ანონსი: ამ დღეებში საუკეთ. სურათი—„გიგანტთა ჭიდილი"

ლეონ მატო (სურათ „გრაფ მონტე-კრისტოს" გმირი) მხატვრულ კინო-პიესაში
„ეშმაკი ქალაქში"
ანონსი: ამ დღეებში საუკეთ. სურათი—„გიგანტთა ჭიდილი"

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა
„ძველი ცხოვრებისაკენ"
შენიშვნა: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, „არტოს" ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდის.
ანონსი: მზად. საუკეთ. სურათი „სკარამუში", რომელმაც პრემია მიიღო ამერიკაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის

ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების

მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) განათლების მოწმობა არა ნაკლებ 7 წლედისა.
2) წლოვანობის მოწმობა, (მიიღება არა ნაკლებ 17 წ.)
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.

მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.

კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—9 ნ. 3478

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ს. მ. უ. ს. სამთო ქიმიურ კომბინატის „სამთო ქიმი"-ს
დასკვნითი ბალანსი

აქტივი — 1925—26 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის — პასივი

აქტივი

განყოფილება	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1		**ქ ო ნ ე ბ ა:**		
		შენობანი და ნაგებობანი:		
	ა	შენობანი საწარმ. დამხმ. და სავაჭრო მნიშვნელობის.	122.669—02	
	ბ	საცხოვრებელი ბინები.	21.096—58	
	გ	ნაგებობანი.	13.741—53	
		მანქანები და მოწყობილობანი:		
	ა	ძალოვანი მოწყობილობა.	24.514—00	
	ბ	ტეხნიკური გაწყობილ. და მანქანები.	31.717—55	
		იარაღი.	3.160—77	
		ინვენტარი.	24.096—94	
		ტრანსპორტი.	13.177—00	254.173—39
2		**ძირითად კაპიტალის შეფასების შემცირება.**		3.115—50
3		**დაუმთავრებელი შენობები.**		43.937—04
4		**დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი.**		46.414—75
5		**მ ა ს ა ლ ა:**		
		ნედლეული და ძირითადი მასალა.	58.199—64	
		დამხმარე მასალა.	16.041—39	
		სათბობი სასალა.	3.060—89	
		სარემონტო საამშენებლო მასალა.	44.916—31	
		მასალა და სათბობი გზაში.	170—00	122 388—23
6		**ნახევარ-ფაბრიკატები:**		
		საწყობებში.		34.528—17
7		**საქონელი და მზანაწარმი:**		
		ქარხნების საწყობებში.	34.072—34	
		საკომისიოთ გადაცემული.	336—90	34.409—24
8		**ფულადი სახსარი:**		
		კ ა ს ა.	8.224—21	
		მიმდინარე ანგარიშები.	3.638—99	11.863—20
9		**ფასიანი და % % ქაღალდები**		160.335—00
10		**სამისალებო თამას. და საბუთები.**		
	ა	პორთფელში.	30.784—62	
	ბ	გადაგზავნილი (ინკასსო).	610—00	
		განაღდებული თამასუქები.	136.754—60	
		ფასდადებული ამანათები და სამისალებო დოკუმენტები.	2 756—15	170.905—37
11		**ანგარიშ-სავალდებულო თანხები.**		6.417—01
12		**დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ი:**		
		მუშა-მოსამსახურენი.	2.072—07	
		მომწოდებლები და მონარდენი.	1.246—61	
		მყიდველები.	130 870—28	
		სხვადასხვა დებიტორები.	29.587—43	
		საეჭვო დებიტორები.	1.041—70	164.818—09
13		**მომავალ წლების ხარჯები:**		
		საერთო საადმინისტრაციო.	1.511—50	
		სხვადასხვა ხარჯები.	18.233—50	19.745—00
		ბ ა ლ ა ნ ს ი . . .		1.073.049—99
		ბალანსის გარეშე მუხლები:		
		1. მიწა 181.891 კვ. საჟ.		32.280—00
		2. წიალი		25.000—00
		ჯ ა მ ი . . .		57.280—00

პასივი

განყოფილება	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1		**კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი:**		
		საწესდებო.	260.198—68	
		საამორტიზაციო.	30.757—00	
		სარეზერვო.	8.248—57	299.204—25
2		**ფ ო ნ დ ე ბ ი:**		
		მუშა-მოსამ. ყოფა-ცხ. გაუმჯობესობის ფონდი:		
	ა	თავისუფალი ნაშთი.		5.777—57
3		**რ ე ზ ე რ ვ ე ბ ი:**		
		საეჭვო ვალების.		1.041—70
4		**სესხები და კრედიტები:**		
	ა	უზრუნველ-ყოფ. საქონლ. და დოკუმენტ.	14.665—12	
	ბ	უზრუნველ-ყოფ. % % ქაღალდებით.	43.489—68	
		ბანკების სესხები:		
	ა	უზრუნველ-ყოფ. საქონლით.	12.210—63	
	ბ	უზრუნველ-ყოფ. % % ქაღალდებით.	8.067—05	
		ბ ა ნ კ ე ბ ი ს ს ე ს ხ ე ბ ი:		
		მეურნეობ. აღსადგენ სესხით.	160.000—00	238.432—48
5		**ბანკები განაღდებ. თამასუქებით.**		136.754—60
6		**კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ი:**		
		მუშა-მოსამსახურენი.	11.757—07	
		მომწოდებლები და მონარდენი.	96.537—64	
		მყიდველები	20.437—17	
		გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:		
	ა	სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.	20.733—48	
	ბ	სოციალური დაზღვევის	4.544—24	
	გ	წიაღის გადასახადი.	3.520—49	
		სხვადასხვა კრედიტორები.	53.452—81	210.982—90
7		**საწესდებო კაპიტალის გადიდება.**		16.891—11
8		**ქონების შეფასების შემცირება.**		3.115—50
9		**შ ე დ ე გ ე ბ ი:**		
		მოგება საანგარიშო წლისა.		160.849—88
		ბ ა ლ ა ნ ს ი . . .		1.073.049—99

მოგების განაწილება

მოგება 160.849 მან. 88 კაპ. საშემოსავლო გადასახადის—10% 16.084 მ. 99 კ. გამოკლებით 144.764 მან. 89 კ. განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის ფონდში 10%—14.476—49
2. სარეზერვო ფონდში 20 „ —28.952—98
3. საწარმოთა ხელმძღვანელ პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში 0,25 „ — 361—91
4. საბრუნავ კაპიტალის გასაძლიერებლად 34,75 „ —50.305—80
5. ხაზინის სასარგებლოდ 35 „ —50.667—71

ს უ ლ 100% 144.764—89

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 1 და 4, 1927 წ. 16 მაისის და 11 ივლისის თარიღ.)

საქ. ს. მ. უ. ს. მთავარი ბუჰხალტერი ჯანელიძე

ზარალ—მოგების ანგარიში

ზ ა რ ა ლ ი: მუხლების დასახელება	ჯამი: კერძ	ჯამი: საერთო	მ ო გ ე ბ ა: მუხლების დასახელება	ჯამი: კერძ	ჯამი: საერთო
1. სავაჭრო ხარჯები		13.536-57	1. მოგება საქონლის და ნახევარ-ფაბრიკატ. რეალიზაციიდან.		182.162 20
2. საერთო საადმინისტრაციო ხარჯები		78.673-71	2. მოგება მასალის რეალიზაციიდან		62.705-34
3. გაცემული პროცენტები		9.307-12	3. მიღებული პროცენტები.		28.677-93
4. დახაკლისი მასალის, ნახევარ ფაბრიკატების და საქონლისა		8.901-35	4. მეტობა მასალის, ნახევარ-ფაბრიკატ. და საქონლისა		727-36
5. უიმედო ვალების ჩამოწერა		204-10	5. საიჯარო შემოსავალი		6.643-87
6. საეჭვო ვალების რეზერვი		1.041-70	6. სხვადასხვა და შემთხვევითი შემოსავალი		3.933-20
7. გაცემული საურავი, ჯარიმა და სხვა		3-703-83			
8. კონსერვაცია [illegible] საწარმოთა შენახვა		1.298-78			
9. ზარალი სტიქიურ მოვლენათაგან		6.243-43			
10. სხვა და სხვა შემთხვევითი ხარჯები		1.089-43			
ჯ ა მ ი		124.000-02	ჯ ა მ ი		284.849-90
ნაშთი: წმინდა მოგება		160.849-88	ნაშთი: წმინდა ზარალი		—
ბ ა ლ ა ნ ს ი		284.849-90	ბ ა ლ ა ნ ს ი		284.849-90

სამთო-ქიმის გამგეობის თავმჯდ. ი. გ. ელბაქიძე.
მთ. ბუჰხალტერი ა. თ. მასტიცკი. ნ. 1581

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
დღეს, 18 აგვისტოს გაიმართება
დიდი კონცერტი
მონაწილეობას იღებენ: **იუდინა,** იმიტატორი **ნადიროვი, ჩიკვაიძე, დიმიტრიევი.**
როიალთან **გორდონი.**
დასაწყისი 9 საათზე
გამგეობა. ნ. 1586.

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 23 აგვისტოს 1927 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში, ლენინის ქუჩაზე სახლი № 31 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ამბაკო სულაქველიძის ქონებას: ერთი დასადგამი დიდი სარკის, კუშეტკის, ნოხის, ფარდაგის, შკაფების, ძაგიდების, სამოვრის და სხვების, შეფასებულის 155 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ტიტი ჩიქვანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1579

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლო აღმასრულებელი ქ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 აგვისტოს 1927 წ. დღის 11 საათზე სოფელ ალბულახში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი შიოს-ძე აფციაურის მოძრავ ქონებას: ერთი მუშა ხარს, შეფასებულს 70 მანეთად, ალბულახის საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ალბულახ—ასურეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 მარტის 1927 წ. თარიღით № 635 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 3590

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1123 კონსტანტინე გალაქტიონისძე მდივნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3591

დავკარგე სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა № 291 ომის ინვალიდ ანტონ ანდრონის-ძე ბუნტურის სახელზე, ჩ. გ. 3588

დავკარგე თბილისის ლომბარდის ქვითარი № 15541 ჩ. გ. 3596

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1608 გიორგი სიმონის-ძე ბეჟანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3583

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2725 ბიძინა სიდომონ-ერისთავის სახელზე, ჩ. გ. 3586

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 794 გაცემული თბილისის დამზღვევ სალაროდან დომნა იერემიას ასულ მარგალიტაძის სახელზე, ჩ. გ. 3597

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1397 არტიშევის სახელზე 3589

დავკარგე ვინაობის მოწმობა № 14134 და საანგარიშო წიგნაკი № 364 ბესარიონ პავლეს-ძე ესებუას სახელზე ჩ. გ. 3594

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 212 ნიკოლოზ პეტრეს-ძე დოლაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3587

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი არტაშა ოქროკვერცხოვის სახელზე ჩ. გ. 3595

დავკარგე სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 1099 გაცემული გორის სამხედრო მაგიდის მიერ შალიკო სარდიონის-ძე ტაბატაძეს სახელზე, ჩ. გ. 3595

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 39 გაცემული გურჯაანის აღმასკომის მიერ სიკო ზაქროს-ძე პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3595

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ელენე ქართველიშვილის სახელზე ჩ. გ. 3593

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68